

გ ა ნ ა ც ხ ა დ ი

2023-2024წლის საუკეთესო პრაქტიკის პროგრამაში მონაწილეობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტი

1. პრაქტიკის/ინიციატივის სათაური:

ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი(2024-2027წ.წ.) სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის (2024-2025წ.წ.) შემუშავება

2. თემატიკა:

ადგილობრივ დონეზე საშუალოვადიანი განვითარების დაგეგმვა;

3. პრაქტიკის/ინიციატივის ავტორი/ინიციატორი:

ხაშურის მუნიციპალიტეტი.

4. მუნიციპალიტეტის ზოგადი მონაცემები:

5. ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის ვაკეზე მდებარეობს. მისი ფართობია 585,2 კმ² და საქართველოს მთლიანი ფართობის 0,84 %-ს შეადგენს. აღმოსავლეთით და ჩრდილოეთით ესაზღვრება ქარელის მუნიციპალიტეტი, ჩრდილოეთით საზღვრავს საჩხერის მუნიციპალიტეტი, სამხრეთით და დასავლეთით - ბორჯომის მუნიციპალიტეტი, დასავლეთით კი ხარაგაულის მუნიციპალიტეტი. მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე 118 კილომეტრია. მანძილი დედაქალაქიდან ხაშურამდე 120 კმ, ხოლო რეგიონული ცენტრიდან 47 კმ. მუნიციპალიტეტში არის ერთი ქალაქი - ხაშური, ერთი დაბა - სურამი და 11 სასოფლო ადმინისტრაციული ერთეული (ალი, გომი, ოსიაური, ფლევი, ქვიშხეთი, ცოცხნარა, ცხრამუხა, წაღვლი, წრომი, ხალები, ხცისი), რომელთა შემადგენლობაშიც კიდევ 84 სოფელი შედის. მოსახლეობა 65 ათასამდეა, მისი ძირითადი ნაწილი ქალაქსა და დაბაში ცხოვრობს.

6. მუნიციპალიტეტის მახასიათებლები:

(გარემოებები, რომლებიც გავლენას ახდენს მუნიციპალიტეტის საქმიანობაზე)

- **შიდა ფაქტორები** - სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ინიცირებით, რომლის 02.03.2023 წლის N884.842306113 ბრძანებით შეიქმნა სამუშაო ჯგუფი 24 წევრის (16 კაცი; 8 ქალი) შემადგენლობით (დოკუმენტის მონაწილეობითი წესით შემუშავების მექანიზმი). სამუშაო ჯგუფში გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭოს, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო სექტორი. მუშაობის პროცესში მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობა. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტში მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოფდნენ

ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობასა და დასახლებების ინტერესების ასახვას.

- **გარე ფაქტორები** - მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა განსაზღვრულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020- 2025 წლების სტრატეგიაში; სტრატეგიის დოკუმენტი, ასევე, კავშირშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებთან; ამასთან, მუნიციპალიტეტის თემებში, რომლების განყოფი ხაზის მიმდებარედ არიან განლაგებული, საქმიანობას შეუდგა USAID ძლიერი სოფლის პროგრამა, რომელთანაც მჭიდრო თანამშრომლობით, შესაძლებელი გახდა სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების საკითხებში საექსპერტო ცოდნისა და გამოცდილების მოძიება და თანამშრომლობის განვითარება.

7. პრაქტიკის/ინიციატივის მოკლე აღწერა:

(მაქსიმუმ ერთი გვერდი. მნიშვნელოვანია, რომ შინაარსი მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო საკითხებს)

სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების საჭიროება განაპირობა მუნიციპალიტეტში გრძელვადიანი პერსპექტივით განვითარების მიმართულებათა დადგენის საჭიროებამ, ასევე არსებული რესურსების სტრუქტურული იდენტიფიცირების მნიშვნელოვნებამ; ამასთან, მუნიციპალიტეტმა მნიშვნელოვნად ჩათვალა შემუშავებულიყო დოკუმენტი, რომელიც ერთად მოუყრიდა თავს ინფორმაციას ყველა იმ რესურსების, შესაძლებლობების, პოტენციალის შესახებ, რაც არის მუნიციპალიტეტში და შესაბამისად, შექმნიდა საფუძველს მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარებისთვის, როგორც მუნიციპალური სერვისების და მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შემუშავებისა თუ გაუმჯობესების მიმართულებით, ისე ხელს შეუწყობდა მუნიციპალიტეტში მდგრადი საინვესტიციო გარემოს ჩამოყალიბებას და ამის შესახებ ინფორმაციის გავრცელებას, ასევე ტურიზმის, სოფლის მეურნეობის და სხვა დარგების მდგრად განვითარებას, შესაძლო ინტერვენციების განხორციელებისთვის მკაფიო სურათის შექმნას და ზოგადად, განვითარების ხელშეწყობას.

მიუხედავად იმისა, რომ მუნიციპალიტეტში არსებობდა ზოგადი ინფორმაცია სხვადასხვა მიმართულებით არსებული მდგომარეობის შესახებ, აღნიშნული ინფორმაცია არ იყო სტრუქტურირებული და უმთავრეს შემთხვევაში არ იყო ხელმისაწვდომი ფართო საზოგადოებისთვის, რამდენადაც ინახებოდა სხვადასხვა სამსახურების არქივებსა და ფაილებში. შესაბამისად, დაინტერესებულ ინვესტორებს თუ კერძო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლებს უწევდათ მათთვის მნიშვნელოვან საკითხებზე ინფორმაციის მიღება მუნიციპალიტეტისთვის წერილობითი მომართვის გზით, რაც თავისთავად არ არის შემაფერხებელი ფაქტორი ინფორმაციის მიღებისთვის, მაგრამ ატარებს ინდივიდუალურ ხასიათს და არ არის თანაბრად ხელმისაწვდომი ყველა დაინტერესებული პირისთვის.

მეორე მხრივ, სოციალური, ეკონომიკური, კულტურული თუ სხვა მიმართულებებით მუნიციპალიტეტში არსებული პროგრამების ანალიზი მნიშვნელოვანი საშუალებაა პროგრამების გაუმჯობესებისა და ბენეფიციარებზე მორგებული მიდგომების დანერგვისთვის.

ამასთან, სტრატეგიაზე მუშაობის ფორმატი ითვალისწინებდა საჯარო და კერძო ინსტიტუციების, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენელთა ერთობლივ, თანამშრომლობით ჩართულობას საერთო მიზნის მისაღწევად, რაც ხელს უწყობს დიალოგს სხვადასხვა უწყებების წარმომადგენლებს შორის, ხაზს უსვამს კონსენსუსის მნიშვნელობას და სხვადასხვა პერსპექტივების დაახლოებას.

8. განხორციელებული პრაქტიკის/კონკრეტული ინიციატივის დეტალური აღწერა:

(გამოწვევის გამკლავების მიზნით გაწეული სამუშაო. გთხოვთ, პრაქტიკის აღწერისას თანმიმდევრულად მიყვეთ ქვემოთ ჩამოთვლილ პუნქტებს)

- **პროექტის შინაარსი;**
- ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტს და განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი ხელს უწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მიმდინარე გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას; მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. სტრატეგიის დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი მთავარი მიზანია ხაშურის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. სტრატეგიის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის) ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.
- **აქტივობათა გეგმა/გრაფიკი (გთხოვთ წარმოადგინოთ ცხრილის სახით);**

N	აქტივობა	ჩატარების ვადა	შენიშვნა
1	სტრატეგიულ დოკუმენტის მომზადების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნა	2023 წლის მარტი	
2	სამუშაო-საკონსულტაციო შეხვედრები სხვადასხვა მიზნობრივ ჯგუფებთან	აპრილი-ივნისი, 2023	
3	სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავების პროცესი	ივლისი - სექტემბერი, 2023	
4	სტრატეგიული დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის დამტკიცება მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ	დეკემბერი, 2023წ.	
5	ინფორმირების კომპონენტი	მარტი-დეკემბერი, 2023წ.	

- პროექტის განხორციელებისათვის მიღებული/გაფორმებული გადაწყვეტილებების, ან პროექტთან დაკავშირებული დოკუმენტების ჩამონათვალი**

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება # 84. 842306113. 02/03/2023 ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება # 84. 84230601101/03/2023 ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების, საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრირების, გათვალისწინების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ/თაობაზე

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 დეკემბრის N52 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;

ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 დეკემბრის N53 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის შესაბამისი მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
- ინფორმაცია მოქალაქეების, სხვადასხვა ორგანიზაციებისა და ინსტიტუციების პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფში გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო სექტორი. მუშაობის პროცესში მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობა. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოფდნენ ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობასა და დასახლებების ინტერესების ასახვას. მუნიციპალიტეტი უზრუნველყოფდა მოქალაქეთა მაღალ ინფორმირებულობას პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების პროცესის მიმდინარეობის შესახებ. საჯარო შეხვედრები გაიმართა როგორც ქალაქ ხაშურში, ისე სოფელ ფლევიში. პროცესი ინტენსიურად შუქდებოდა მუნიციპალიტეტის მერიის ფეისბუქის ოფიციალური გვერდის საშუალებით.**
- ინფორმაცია პროექტისთვის გამოყენებული რესურსის შესახებ. მ.შ.:**

ა) სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტის ადამიანური რესურსი, ასევე მოწვეული ექსპერტი, რომელიც ჩართული იყო USAID ძლიერი სოფლის პროგრამის მხარდაჭერით.

ბ) საჯარო შეხვედრების ფარგლებში ტრანსპორტირების, ადმინისტრაციული და სხვ. ხარჯი გაწეული იყო მუნიციპალიტეტის მიერ; მოწვეული ექსპერტის ანაზღაურება USAID ძლიერი სოფლის პროგრამის მხარდაჭერით.

გ) გამოყენებული იყო მუნიციპალიტეტის მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, როგორცაა საკონფერენციო დარბაზი და პროექტორი, მუნიციპალური შენობები საჯარო შეხვედრებისთვის, ასევე ფლევის საჯარო სკოლის შენობა ფლევში ჩატარებული საჯარო შეხვედრისთვის. მუნიციპალიტეტის კუთვნილი ფოტო და ვიდეო ტექნიკა პროცესის გასაშუქებლად.

- **პროექტის განხორციელების პროცესში გამოკვეთილი პრობლემებისა და მათი გადაჭრის გზების აღწერა;**

სტრატეგიული დოკუმენტისა და სამოქმედო გეგმის შემუშავებაში ჩართული ყველა მონაწილე მხარე საკითხს მიუდგა მაღალი პასუხისმგებლობით და მოტივაციით. ამიტომ, მუშაობის პროცესში განსაკუთრებული პრობლემები არ წარმოქმნილა. მეტ-ნაკლებად გამოწვევას წარმოადგენდა კონსენსუსის მიღწევა სხვადასხვა პერსპექტივებს შორის განსახილველ საკითხებთან მიმართებაში, ვინაიდან თითოეული ჩართული მხარე ცდილობდა განსაკუთრებული აქცენტი გაეკეთებინა იმ პრობლემების გამოკვეთაზე, რომელთა გადაწყვეტაზე უშუალოდ თვითონ იყო პასუხისმგებელი (მაგ: სოციალური, ინფრასტრუქტურული, სოფლის მეურნეობის საკითხები და ა.შ.) თუმცა, სწორი ფასილიტაციის შედეგად, შემუშავდა კონსენსუსზე დაფუძნებული ვერსია, რომელიც დამტკიცდა მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ. ამასთან, დოკუმენტზე მუშაობისას თითოეულ მონაწილე მხარეს გააზრებული ჰქონდა, რომ მიზნები, ამოცანები და ინდიკატორები, რაც შეტანილი იქნებოდა დოკუმენტში, უნდა ყოფილიყო მაქსიმალურად რეალისტური და ამ მიმართულებითაც მხარეებმა კონსენსუსს მიაღწიეს.

- **ინფორმაცია იმ პარტნიორების შესახებ, ვინც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვის, ან განხორციელების ეტაპზე;**

პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავებაზე პასუხისმგებელ სამუშაო ჯგუფში გაერთიანდნენ მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები, კერძო სექტორი. მუშაობის პროცესში მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობა. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტში შემავალ ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოფდნენ ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობასა და დასახლებების ინტერესების ასახვას. სტრატეგიული დოკუმენტის შემუშავებაში უმნიშვნელოვანესი წვლილი შეიტანა USAID ძლიერი სოფლის პროგრამამ და ექსპერტმა შოთა მურღულიამ.

9. მიღწეული შედეგი და დადებითი გავლენა:

(დეტალური, დოკუმენტირებული ინფორმაცია მიღწეული შედეგების შესახებ)

თითქმის რვათვიანი მუშაობის შედეგად მუნიციპალიტეტმა მიიღო საშუალოვადიანი სტრატეგიული განვითარების დოკუმენტი 2024–2027 წლებისთვის და შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2024–2025 წლებისთვის.

პროექტის უმნიშვნელოვანესი შედეგია მუნიციპალიტეტში მოქმედი სხვადასხვა ინტერეს ჯგუფების – კერძო, საჯარო, არასამთავრობო სექტორის და საერთაშორისო ორგანიზაციის წარმომადგენლების თანამშრომლობის ინიცირება და ხელშეწყობა. გეგმაზე მუშაობის შედეგად, შესაძლებელი გახდა შექმნილიყო სივრცე, სადაც სხვადასხვა ინტერესების მქონე ადამიანები ახერხებენ თანამშრომლობას, კონსენსუსს და იღებენ ერთობლივ გადაწყვეტილებებს, რაც ხელს უწყობს მუნიციპალიტეტის განვითარებას.

10. მიღებული გამოცდილება და გაკეთებული დასკვნები:

(ამ ნაწილში მოცემული უნდა იყოს პროექტის განმახორციელებლის რჩევები და მოკლე გზამკვლევი იმათთვის, ვინც ეცდება აღნიშნული წარმატებული პრაქტიკა დანერგოს თავის მუნიციპალიტეტში)

- **წარმატების განმსაზღვრელი ფაქტორები** სტრატეგიული გეგმისა წარმატებული შემუშავება განაპირობა მუნიციპალიტეტის ოფიციალური პირების (მერი, საკრებულოს თავმჯდომარე და ა.შ.) ინიციატივამ და მალაღმა მოტივაციამ; განმსაზღვრელი ფაქტორი იყო საერთაშორისო ორგანიზაციის ჩართულობა მათ ნიერ მოზიდული და საექსპერტო გამოცდილება; წარმატების მნიშვნელოვან ფაქტორს წარმოადგენდა ასევე სხვადასხვა ინტერეს ჯგუფების ერთობლივი თანამშრომლობა და USAID ძლიერი სოფლის პროგრამის ექსპერტის მიერ გაწეული კვალიფიციური ფასილიტაცია, რამაც ხელი შეუწყო სხვადასხვა პერსპექტივების დაახლოებას და კონსენსუსური გადაწყვეტილებების მიღებას.
- **ინფორმაცია პრაქტიკის/ინიციატივის მდგრადობის შესახებ** (გთხოვთ, მიყვეთ პუნქტობრივად):

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (შემდგომში „სტრატეგიის დოკუმენტი“) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტს და განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო 4 წლის განმავლობაში. ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი ხელს შეუწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგრადობის გაუმჯობესებასა და მიმდინარე გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას; მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. სტრატეგიის დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი მთავარი მიზანი არის ხაშურის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. სტრატეგიის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის ყველა დაინტერესებულ მხარის (მათ შორის, საჯარო, კერძო და

სამოქალაქო სექტორის) ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.დ) შეტანილია თუ არა პროექტი მომავალი წლის ბიუჯეტში;

11. საკრებულოს როლი:

- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო აქტიურად იყო ჩართული სტრატეგიული განვითარების დოკუმენტის და სამოქმედო გეგმის შემუშავების ყველა ეტაპზე. მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე უშუალოდ უწევდა კოორდინაციას სტრატეგიის შემუშავების პროცესში ჩართული სამუშაო ჯგუფის წევრებს შორის განაწილებული დავალებებისშეთანხმებულ შესრულებას.
- სტრატეგიული დოკუმენტი და მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმა განხილულ იქნა მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიებისა და ფრაქციების მიერ, მომზადდა დადებითი დასკვნები, რის შემდგომაც, მუნიციპალიტეტის საკრებულოს შესაბამისი განკარგულებით დამტკიცდა როგორც საშუალოვადიანი განვითარების (2024–2027წწ) დოკუმენტი, ისე მისი შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2024–2025 წლებისთვის.

12. პრატიკასთან/ინიციატივანსთან ან ამავე საკითხთანდაკავშირებული, სამომავლო გეგმების მოკლე მიმოხილვა;

გარდა იმისა, რომ სტრატეგიული დოკუმენტი და შესაბამისი სამოქმედო გეგმა წარმოადგენს აღსასრულებლად სავალდებულო დოკუმენტებს, მუნიციპალიტეტი გეგმავს სამოქმედო გეგმის ვადის ამოწურვასთან ერთად შეიმუშავოს და დამტკიცოს საშუალოვადიანი სტრატეგიის შესაბამისი სამოქმედო გეგმა 2026–2027 წლებისთვის, რაზე მუსაობაც დაიწყება 2025 წლიდან; შემდგომ კი, უკვე მიღებული გეგმის შესრულების ანალიზის საფუძველზე შეიმუშავოს შემდგომი საშუალოვადიანი სტრატეგიული გეგმა.

13. საკონტაქტო ინფორმაცია:

- განაცხადის შევსებაზე პასუხისმგებელი პირის მონაცემები: სახელი, გვარი, თანამდებობა, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელეფონი, ელ-ფოსტა); ნინო სუბიაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მეორადი სტრუქტურული ერთეულის – საზოგადოებასთან ურთიერთობისა და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი. (ტელ: 577951750 nsukhiashvili@gmail.com)
- პროექტის საკონტაქტო პირების მონაცემები: იმ პირთა სახელი, გვარი, სამსახურებრივი პოზიცია, ტელეფონი, ელ.ფოსტა, რომლებიც ჩართულნი იყვნენ პროექტის დაგეგმვასა და განხორციელებაში და, საჭიროების შემთხვევაში, შეუძლიათ პროექტის შესახებ დამატებითი ინფორმაცია მიაწოდონ დაინტერესებულ პირებს.
- ნინო ლიპარტელიანი – ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე (ტელ: 599568344; nliparteliani69@gmail.com)
- ლელა მაჭარაშვილი – ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი (ტელ: 577954955 x.safinanso@yahoo.com)

14. თანდართული დოკუმენტების/მასალების სია

- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება # 84. 842306113. 02/03/2023 ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე;

- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის ბრძანება # 84. 84230601101/03/2023 ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების, საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრირების, გათვალისწინების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ/თაობაზე
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 დეკემბრის N52 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის დამტკიცების შესახებ;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2023 წლის 7 დეკემბრის N53 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის შესაბამისი მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ.
- <https://www.facebook.com/share/p/1DeYwvSKCi/> – საშუალოვადიანი სტრატეგიის საჯარო განხილვის ლინკი
- <https://www.facebook.com/share/v/17q96JND1o/> – საშუალოვადიანი სტრატეგიის საჯარო განხილვის ლინკი

განაცხადის მიღების ვადაა 2024 წლის 1 ოქტომბერი - 20 ნოემბერი.

შევსებული განაცხადი და თანდართული დოკუმენტაცია გთხოვთ ატვირთოთ ვებ-პორტალზე bestpractice.nala.ge

* შენიშვნა: განაცხადის შევსებასთან დაკავშირებით კითხვების არსებობის შემთხვევაში დაუკავშირდით ნინო ზურაბიშვილს ტელ.: 595 577734 nzurabishvili@nala.ge



ხაშურის მუნიციპალიტეტი
 ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
 KHASHURI MUNICIPALITY
 KHASHURI CITY HALL



ბრძანება:ბ84. 842306113
 თარიღი:02/03/2023

ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ მე-19 მუხლის „ბ“ პუნქტის, 54-ე მუხლის პირველი პუნქტის „ე.გ“, „ე.ე“ და „ე.ვ“, ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის პირველი პუნქტის და მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით დამტკიცებული „ მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ მოთხოვნათა შესაბამისად

გბრძანებ:

1. ინიცირებული იქნეს ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის-სამუშაოგადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების პროცესი;
2. სამუშაოგადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავება და პოლიტიკის დაგეგმვასთან დაკავშირებული სხვა ღონისძიებები წარიმართოს საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულებით დამტკიცებული „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს“ შესაბამისად;
3. ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუშაოგადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი შემდეგი შემადგენლობით:
 - ა) თენგიზ ჩიტიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, ჯგუფის ლიდერი;
 - ბ) ნინო ლიპარტელიანი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე, ჯგუფის წევრი;
 - გ) ზვიად ქურდაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე, ჯგუფის წევრი;
 - დ) ლევან გამრეკელი - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე, ჯგუფის წევრი;
 - ე) ცოტნე ნოზაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე, ჯგუფის წევრი;
 - ვ) დავით კიკნაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი ;
 - ზ) ლელა მაჭარაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;
 - თ) დავით ღვალაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული

უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;

ი) სერგო ლალიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;

კ) გიორგი პაპიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის, განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;

ლ) გიგა ცერცვაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვის და სოციალური უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;

მ) კოტე ფრუიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;

ნ) თინათინ კაპანაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ბავშვისა და ოჯახის სოციალური მუშაკი, ჯგუფის წევრი; მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე სამუშაო ჯგუფის თავმჯდომარე;

ო) გიორგი გაჩეჩილაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სათათბირო ორგანო სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს წარმომადგენელი;

პ) ჯემალ გელაშვილი - ა(ა)იპ სოფლის განვითარების სააგენტოს შიდა ქართლის რეგიონული სამსახურის ხაშურის საინფორმაციო საკონსულტაციო ცენტრის მთავარი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;

ჟ) ნანა შარაშიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის გენდერული საბჭოს წევრი, ინდ/მენარმე, „საოჯახო მეურნეობა დომკანა“-ს მფლობელი, ჯგუფის წევრი;

რ) სოფიო გოგინაშვილი - მუნიციპალიტეტში მოღვაწე მიკრომენარმე, (პროდუქტი „ხემსი“) ჯგუფის წევრი;

ს) ილია მაჭარაშვილი - შ.პ.ს. „LOVOL Construction“-ის (საქმიანობის სფერო: სოფლის მეურნეობის, სამშენებლო და სპეციალური დანიშნულების ტექნიკის რეალიზაცია) მენეჯერი/მექანიზატორი; ფერმერი, ჯგუფის წევრი;

ტ) გიორგი მაჭარაშვილი - ა(ა)იპ ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“ დირექტორი, ჯგუფის წევრი;

უ) თორნიკე თოთლაძე - მუნიციპალიტეტში დასაქმებული ფერმერი, ჯგუფის წევრი;

ფ) ეკატერინე გიგიტაშვილი - მუნიციპალიტეტში დასაქმებული ფერმერი, ჯგუფის წევრი;

ქ) მაია ნინიაშვილი - მუნიციპალიტეტში დასაქმებული ფერმერი, ჯგუფის წევრი;

ღ) მორის დანდურიშვილი - სსიპ ქალაქ ხაშურის №1 საჯარო სკოლის დირექტორი, ჯგუფის წევრი;

ყ) ასმათ ბერიძე-კობაძე - სსიპ ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ცხრამუხის საჯარო სკოლის დირექტორი, ჯგუფის წევრი;

4. ჯგუფის მუშაობაში მონაწილეობა ეთხოვოს ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძლიერი სოფლის პროგრამის წარმომადგენლებს;

5. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლებს დაევალოთ მჭიდრო თანამშრომლობა სამუშაო ჯგუფთან. წარმომადგენლებმა უზრუნველყონ სამუშაო ჯგუფისათვის წინადადებების წარდგენა შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში არსებული პრობლემების და მათი შესაძლო გადაწყვეტის გზების შესახებ, გაუწიონ ჯგუფს დახმარება მის სამოქმედო ტერიტორიაზე სტატისტიკურ და სხვა მონაცემთა შეგროვებაში, მონაწილეობა მიიღონ ადმინისტრაციულ ერთეულში

მოსახლეობის გამოკითხვასა და სახალხო განხილვების ჩატარებაში და ა.შ;

6. სამუშაო ჯგუფის ლიდერის გადაწყვეტილებით, ჯგუფის შეხვედრებზე დასასწრებად და ცალკეული საკითხების განხილვაში მონაწილეობის მიზნით შესაძლოა მოწვეულ იქნენ სხვა პირებიც;
7. დოკუმენტის შემუშავების პროცესის ორგანიზაციულ-ტექნიკური უზრუნველყოფის მიზნით შეიქმნას ტექნიკური ჯგუფი შემადგენლობით;
 - ა)ივანე ლოლაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის მერის წარმომადგენლების საქმიანობის კოორდინაციის განყოფილების ხელმძღვანელი, ჯგუფის უფროსი;
 - ბ)მარი მახაჭაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სახაზინო და ბუღალტრული აღრიცხვა ანგარიშგების განყოფილების ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;
 - გ)თინათინ ხაჩიძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციული სამსახურის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის განყოფილების ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;
 - დ) ნინო სუხიაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის საზოგადოებასთან ურთიერთობის და საინფორმაციო განყოფილების ხელმძღვანელი, ჯგუფის წევრი;
 - ე)არჩილ შალიბაშვილი - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახურის მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი, ჯგუფის წევრი;
 - ვ)ავთო ტაბატაძე - ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების სამსახურის ქონების აღრიცხვისა და მართვის განყოფილების ხელმძღვანელის მოვალეობის შემსრულებელი, ჯგუფის წევრი;
8. სამუშაო ჯგუფის და ტექნიკური ჯგუფის შემადგენლობა შესაძლოა შეიცვალოს პოლიტიკის დოკუმენტის შემუშავების კვალდაკვალ, შესწავლის/დაგეგმვის პროცესის დახვეწის მიზნით და სხვა შემხვედრი საჭიროებების გათვალისწინებით. ამგვარი ცვლილება უნდა გაფორმდეს მერის ბრძანებით.
9. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ადმინისტრაციულმა სამსახურმა უზრუნველყოს ბრძანების გაცნობა 3-5-ე მე-7 პუნქტებით განსაზღვრული პირობისათვის;
10. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;
11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს კანონით დადგენილი წესით მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში (მისმართი: ხაშური, მ. კოსტავას ქ. №15);

თენგიზ ჩიტაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ხაშურის მუნიციპალიტეტი
ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია
KHASHURI MUNICIPALITY
KHASHURI CITY HALL



ბრძანება:ბ84. 842306011
 თარიღი:01/03/2023

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების, საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრირების, გათვალისწინების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ/თაობაზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.ე“ და „ე.ვ“ ქვეპუნქტების, 61-ე მუხლის მე-3 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, „საქართველოს საბიუჯეტო კოდექსი“-ს 76-ე და 77-ე მუხლების საფუძველზე: ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების და მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრირების გათვალისწინების მიზნით შეიქმნას სამუშაო ჯგუფი და მისი შემადგენლობა ჩამოყალიბდეს დანართი 1-ის შესაბამისად

1. დამტკიცდეს:

- ა) ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადების, პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების და მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინების მიზნით სამუშაო ჯგუფი დანართი N1 - ის შესაბამისად;
- ბ) 2023-2024 წლების მუნიციპალიტეტის შიდა საბიუჯეტო კალენდარი პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების და მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინების თაობაზე დანართი N2, N2_ა), N2_ბ) -ის შესაბამისად;
- გ) საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ წარმოსადგენი განაცხადის ფორმები N3-6-ე დანართების შესაბამისად;

2. დაევალოს საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის ხელმძღვანელს ერთი თვის ვადაში შეადგინოს:

- ა) საბიუჯეტო კალენდართან (დანართი N2, N2_ა), N2_ბ) შესაბამისი, საბიუჯეტო ორგანიზაციებთან შეხვედრების განრიგი;
- ბ) ადგილობრივი თვითმმართველობის პრიორიტეტების ნუსხა;
- გ) კითხვარი მოქალაქეთა გამოკითხვისთვის (რისთვისაც შესაძლებელია მოწვეული იქნეს ექსპერტი);

დ) ინსტრუქცია მოქალაქეებისაგან ახალი პროგრამების ინიცირების უზრუნველსაყოფად;

ე) რეკომენდაციები ახლად შემოთავაზებული პროგრამების პრიორიტეტულობასა და ხელმისაწვდომობასთან დაკავშირებით) წლიური ბიუჯეტისა და პროგრამების შესრულების ანგარიშის ფორმები N7-8 დანართის შესაბამისად.

3. სამუშაო-საბიუჯეტო სამსახურმა, ადმინისტრაციულ სამსახურთან ერთად უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტის შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია და საბიუჯეტო ორგანიზაციებისთვის შესაბამისი სწავლების ორგანიზება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირმა და მდგრადი განვითარების მიზნებისათვის საბჭომ უზრუნველყოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლის პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში პილოტურ პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების შემუშავებასთან დაკავშირებით სამუშაო ჯგუფის კოორდინაცია.

4. სამუშაო ჯგუფს დაევალოს მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტისა და 2024 წლის ბიუჯეტის მომზადების პროცესში პროგრამებსა და ქვეპროგრამებში გენდერული ასპექტების და მდგრადი განვითარების მიზნების გათვალისწინებისთვის საჭირო სამუშაოების დაგეგმვა, განხორციელება და მონიტორინგი.

5. სამუშაო ჯგუფმა, გენდერული ბიუჯეტის დანერგვის პროცესში, აქტიურად ითანამშრომლოს მუნიციპალიტეტის გენდერული თანასწორობის საბჭოსთან, მერიაში გენდერზე პასუხისმგებელ პირთან და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციებთან, ასევე მდგრადი განვითარების მიზნებისათვის შექმნილ - საბჭოსთან.

6. დაევალოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიაში გენდერზე პასუხისმგებელი პირს სამუშაო ჯგუფის სხდომებზე, გენდერული ბიუჯეტის საკითხების განხილვის დროს, უზრუნველყოფილ იქნას გენდერული თანასწორობის საბჭოს წარმომადგენლების (თავმჯდომარე, მდივანი და სხვა დაინტერესებული პირები) და გენდერული თანასწორობის საკითხებზე მომუშავე არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლების მოწვევა და მონაწილეობა.

7. ბრძანება გაეგზავნოს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სტრუქტურულ ერთეულებს და ხაშურის მუნიციპალიტეტის მიერ დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიულ პირებს, დაინტერესებული მხარეებისათვის კანონმდებლობით დადგენილი წესით გაცნობა უზრუნველყოს - ხაშურის მერიის ადმინისტრაციული საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელმა ნინო სუხიაშვილმა;

8. ბრძანება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე და შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ხაშურის რაიონულ სასამართლოში (ქ.ხაშური, მერაბ კოსტავას ქ.);

თენგიზ ჩიტაშვილი

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია-მერი


გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი





ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 52



2023 წლის 07 დეკემბერი

ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის დატკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე-გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილების „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს;


1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტი - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტი დანართი N1-ის შესაბამისად.

2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე;

3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ.გვერდზე www.khashuri.org.ge ;

1. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15)

საკრებულოს თავმჯდომარე ნ.



ნინო ლიპარტელიანი

**ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტი - საშუალოვადიანი
განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტი**

სარჩევი

1. შესავალი	4
1.1 დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, მოქმედების ვადა.....	4
1.2 დოკუმენტის შემუშავების პროცესი.....	4
1.3 დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები	5
1.4 დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან.....	5
1.5 საჯარო კონსულტაციები.....	7
1.6 დოკუმენტის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა.....	8
2. არსებული მდომარეობის მიმოხილვა.....	10
2.1 ძირითადი სოციალური, გეოგრაფიული და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა 10	
2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა.....	18
2.2.1 სოფლის მეურნეობა.....	18
სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“ ..	22
მწვანე საგრანტო პროგრამა	22
2.2.2 ტურიზმი	24
2.2.3 მრეწველობა.....	29
2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა.....	33
2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა.....	43
2.4.1 ჯანდაცვა.....	43
2.4.2 სოციალური მომსახურება.....	46
2.5 განათლება, კულტურა და სპორტი.....	47
2.5.1 განათლება	47
2.5.2 კულტურა	52
2.5.3 სპორტი.....	55
2.6 გარემოს დაცვა	57
2.7 მუნიციპალური სერვისები	63
3. მიზნები და ამოცანები.....	76
ხედვა	76
2.9.1 საჯარო მმართველობა.....	77
2.9.2 ინფრასტრუქტურა	78

2.9.3	ეკონომიკა	80
2.9.4	გარემოს დაცვა	82
2.9.5	განათლება	83
2.9.6	სპორტი.....	84
2.9.7	კულტურა	85
2.9.8	ტურიზმი	87
2.9.9	ახალგაზრდობა.....	88
2.9.10	ჯანდაცვა-სოციალური.....	88

1. შესავალი

1.1 დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, მოქმედების ვადა

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტი (შემდგომში „სტრატეგიის დოკუმენტი“) წარმოადგენს მუნიციპალიტეტის სოციალური და ეკონომიკური განვითარების მიზნით შემუშავებულ დოკუმენტს და განსაზღვრავს ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების კურსს მომდევნო 4 წლის განმავლობაში.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი ხელს შეუწყობს სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებასა და მიმდინარე გამოწვევებზე მუნიციპალიტეტის ორგანოების მიერ სწორი გადაწყვეტილებების მიღებას; მუნიციპალიტეტში არსებული ეკონომიკური, სოციალური, ჯანდაცვის, გარემოს დაცვის, საჯარო სერვისებისა და ინფრასტრუქტურის განვითარებასთან დაკავშირებული პრობლემების გადაჭრას; მუნიციპალური ფინანსებისა და მატერიალური რესურსების ეფექტიან მართვასა და ადგილობრივი პოტენციალის მაქსიმალურ გამოყენებას. სტრატეგიის დოკუმენტი ორიენტირებულია ადგილობრივ ეკონომიკურ განვითარებაზე და მისი მთავარი მიზანი არის ხაშურის, როგორც ტერიტორიული ერთეულის, გაძლიერება და მდგრადი განვითარების ხელშეწყობა. სტრატეგიის დოკუმენტი ასახავს მუნიციპალიტეტის ყველა დაინტერესებული მხარის (მათ შორის, საჯარო, კერძო და სამოქალაქო სექტორის) ხედვას, მიზნებს, ამოცანებსა და მათი მიღწევის კონკრეტულ მექანიზმებს.

1.2 დოკუმენტის შემუშავების პროცესი

ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტი შემუშავებულია საქართველოს მთავრობის 2022 წლის 14 თებერვლის N264 განკარგულების შესახამისად, ამერიკის შეერთებული შტატების საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) ძლიერი სოფლის პროგრამის მხარდაჭერით.

სტრატეგიის დოკუმენტი მტკიცებულებებზე დაფუძნებულ და დაინტერესებულ მხარეთა თანამონაწილეობით შემუშავებულ დოკუმენტს წარმოადგენს. სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავების ინიციატორია ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 02 მარტის N 84. 842306113 ბრძანების „ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე“ საფუძველზე შეიქმნა სამუშაო ჯგუფი (დოკუმენტის მონაწილეობითი წესით შემუშავების მექანიზმი). სამუშაო ჯგუფში გაერთიანებულია მუნიციპალიტეტის მერი, საკრებულოს თავმჯდომარე, მუნიციპალიტეტის საჯარო მოხელეები, სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო, გენდერული თანასწორობის საბჭო, ა(ა)იპ „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირი“, ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისათვის“, კერძო სექტორი. სამუშაო ჯგუფი შედგება 24 წევრისაგან,

რომელთაგან 8 ქალია. მუშაობის პროცესში მონაწილეობდა ადგილობრივი თვითმმართველობა. დოკუმენტის შემუშავების პროცესში, ასევე, ჩართულნი იყვნენ მუნიციპალიტეტში მდებარე ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლები, რომლებიც სამუშაო ჯგუფთან მჭიდრო კოორდინაციით, უზრუნველყოფდნენ ადმინისტრაციული ერთეულის დონეზე პოლიტიკის დოკუმენტის შექმნაში მონაწილეობასა და დასახლებების ინტერესების ასახვას.

1.3 დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძვლები

ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის სამართლებრივ საფუძველს ქმნის საქართველოს კონსტიტუცია, რომლის მიხედვით მუნიციპალიტეტი საკუთარ უფლებამოსილებებს ახორციელებს დამოუკიდებლად და საკუთარი პასუხისმგებლობით¹, ასევე, საქართველოს ორგანული კანონი „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“, რომლის თანახმად, მუნიციპალიტეტის ორგანოები მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებათა განხორციელებისას, საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, შეიმუშავენ, ამტკიცებენ და ახორციელებენ შესაბამის პროგრამებს, სტრატეგიებს, სამოქმედო გეგმებსა და პროექტებს². ამავე კოდექსის თანახმად, მერი უფლებამოსილების ფარგლებში უზრუნველყოფს შესაბამისი სოციალურ-ეკონომიკური განვითარებისა და პროგრამების, სტრატეგიებისა და გეგმების მომზადებას, საკრებულოსთვის დასამტკიცებლად წარდგენასა და განხორციელებას³. თავის მხრივ, მუნიციპალიტეტის საკრებულო განიხილავს და ამტკიცებს ადგილობრივი სტრატეგიებს, პროგრამებსა და გეგმებს, აგრეთვე, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტს⁴.

მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის არსებობის მნიშვნელობა, ასევე ხაზგასმულია საქართველოს მთავრობის მიერ დამტკიცებული დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიაში⁵.

ხაშურის მუნიციპალიტეტის საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის შემუშავების სამართლებრივი საფუძველია საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულება „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ და ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 02 მარტის N 84. 842306113 ბრძანება „ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის ინიცირების და სამუშაო ჯგუფის შექმნის თაობაზე.“

1.4 დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი სხვა ეროვნულ თუ მუნიციპალურ პოლიტიკის დოკუმენტებთან

¹ საქართველოს კონსტიტუცია, 75-ე მუხლის მე-3 პუნქტი.

² ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, მე-19 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი.

³ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე.გ“ ქვეპუნქტი.

⁴ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი, 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტი.

⁵ საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტის მიზნები და ამოცანები კავშირშია „საქართველოს განვითარების სტრატეგია - ხედვა 2023“-ის მიზნებსა და ამოცანებთან. მათ შორისაა, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე სოფლებში მცხოვრები მოსახლეობის ადამიანის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა, საინვესტიციო საქმიანობის ხელშეწყობა, ადგილობრივი ინვესტიციების ხელშეწყობა, მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების ხელშეწყობა, ენერგოეფექტურობის ხელშეწყობა, სატრანსპორტო-ლოგისტიკური ინფრასტრუქტურისა და ქსელის განვითარება, ტურიზმის მდგრადი განვითარების ხელშეწყობა და სხვა. სტრატეგიის დოკუმენტი, ასევე, კავშირშია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მდგრადი განვითარების მიზნებთან და შემდეგ დოკუმენტებთან:

- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 20 აგვისტოს N1750 განკარგულება „რეგიონული განვითარების სტრატეგიების სამოქმედო გეგმების შემუშავების სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2015 წლის 15 თებერვლის N264 განკარგულება „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის N678 დადგენილება „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 12 ნოემბრის N2328 განკარგულება „მდგრადი განვითარების მიზნების ეროვნული დოკუმენტის თაობაზე“;
- საქართველოს მთავრობის 2019 წლის 18 ივლისის N343 დადგენილება „საქართველოს მაღალმთიანი დასახლებების განვითარების 2019-2023 წლების სტრატეგიის დამტკიცების შესახებ“;
- საქართველოს მთავრობის 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №160 „ნარჩენების მართვის 2016-2030 წლების ეროვნული სტრატეგიისა და 2016-2020 წლების ეროვნული სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ „2024 – 2027 წლების ქვეყნის ძირითადი მონაცემებისა და მიმართულებების დოკუმენტის შედგენის მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ“;
- „ტურიზმის სტრატეგია 2025“;
- საქართველოს მთავრობის 2014 წლის 30 მაისის დადგენილება №365 „აწარმოე საქართველოში“ სახელმწიფო პროგრამის დამტკიცების შესახებ;
- „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესთან“. საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის #629 დადგენილებასთან;
- „საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების სტრატეგიასთან 2021-2015“. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- „საქართველოს სოფლის მეურნეობისა და სოფლის განვითარების სტრატეგია 2021-2027-თან“;

- „ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტის პირველადი ვარიანტი 2024-2027 წლები“;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლი 05 დეკემბრის N72 განკარგულება „ხაშურის მუნიციპალიტეტის მდგრადი განვითარების დღის წესრიგის შესახებ“;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 01 სექტემბრის ბრძანება N84. 84232449 „ ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების საშუალოვადიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მერის 2023 წლის 14 აგვისტოს ბრძანება N84. 842322622 „ხაშურის მუნიციპალიტეტის 2024-2027 წლების პრიორიტეტების დოკუმენტის მომზადებისა და პროგრამულ ბიუჯეტში გენდერული ასპექტების საქართველოში მდგრადი განვითარების მიზნების (SDG) ინტეგრირების გათვალისწინების მიზნით განსახორციელებელ ღონისძიებათა შესახებ/თაობაზე“ მომზადების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის შედგენილი პირველადი პრიორიტეტის დოკუმენტის დამტკიცების შესახებ“;
- ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2021 წლის 06 აპრილის N7 დადგენილება „ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმის დამტკიცების თაობაზე“
- ხაშურის მუნიციპალიტეტში, სოფელ ალექსანდრესწყაროს განაშენიანების გეგმის კონცეფცია, 7 აგვისტო 2023 წ.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდული პოლიტიკის 2023-2026 წლის სტრატეგია. 01 ივნისი 2023 წ.
- ხაშურის მუნიციპალიტეტის მუნიციპალური ნარჩენების მართვის ხუთწლიანი გეგმა 2023-2027 წლები (მუშა ვარიანტი);

სტრატეგიის დოკუმენტის შემუშავებისას, ასევე, გათვალისწინებული იყო ხაშურის მუნიციპალიტეტის პრიორიტეტების დოკუმენტით განსაზღვრული ფისკალური ჩარჩო.

1.5 საჯარო კონსულტაციები

სტრატეგიის დოკუმენტის საჯარო განხილვების დაწყება-დასრულების თაობაზე, ინფორმაცია გავრცელდება:

- მუნიციპალიტეტის და საკრებულოს ოფიციალური ვებგვერდით;
- სოციალური ქსელებით;
- მედიასაშუალება-ინტერნეტტელევიზია „TV ივერია“;
- ყოველკვირეული გზითი „ხაშურის მოამბე“

ადგილობრივი მოსახლეობის ინფორმირებულობის გაზრდის მიზნით, საჯარო განხილვებზე მოწვეული იქნება ადგილობრივი მედიის წარმომადგენლებიც.

შეხვედრის/კონსულტაციების ტიპი	დაინტერესებული მხარეები	მიღებული ინფორმაცია	შენიშვნა
-------------------------------	-------------------------	---------------------	----------

სამუშაო/საკონსულტაციო შეხვედრა	ფორმალური ორგანიზაციები: ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები, ახალგაზრდული, გენდერული თანასწორობის, შშმ პირების და სხვა ორგანიზაციები,	სიტუაციის ანალიზი, SWOT ანალიზი, მიზნებისა და ამოცანების შემუშავება	ინტერესისა და ჩართულობის მაღალი ხარისხი
სამუშაო/საკონსულტაციო შეხვედრა	ფორმალური ორგანიზაციები: კერძო სექტორი (მ.შ. ფერმერები და სასოფლო სამეურნეო კოოპერატივები, მეწარმეები) ასოციაციები	სიტუაციის ანალიზი, SWOT ანალიზი, მიზნებისა და ამოცანების შემუშავება	ინტერესისა და გავლენის მაღალი ხარისხი; ჩართულობის შედარებით დაბალი ხარისხი;
ფოკუს ჯგუფი/ჯგუფური ინტერვიუ	დაინტერესებული მხარეები (ქალები და ახალგაზრდები)	სამიზნე ჯგუფების კონკრეტული საჭიროებები და პრიორიტეტები	მაღალი ინტერესი და მცირე გავლენა
ფოკუს ჯგუფი	შშმ პირები, განსაკუთრებით მოწყვლად დასახლებებში მცხოვრები პირები	სამიზნე ჯგუფების კონკრეტული საჭიროებები და პრიორიტეტები	მაღალი ინტერესი და გავლენა
სიღრმისეული ინტერვიუ	ექსპერტები და ინფორმაციის მქონე სხვა პირები; დიდი გავლენისა და ინტერესის მქონე ჯგუფები (ადგილობრივი მსხვილი მეწარმეები), შშმ პირები და სხვა მოწყვლადი ჯგუფების წარმომადგენლები	სამიზნე ჯგუფების კონკრეტული საჭიროებები და პრიორიტეტები	ინტერესის, გავლენისა და ჩართულობის სხვადასხვა ხარისხი

1.6 დოკუმენტის სტრუქტურის მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიის დოკუმენტის პირველ თავში განმარტებულია დოკუმენტის არსი, მიზანი და მნიშვნელობა, ასევე, მოქმედების ვადა, შემუშავების პროცესი. ამავე თავში მიმოხილულია სამართლებრივი ჩარჩო და დოკუმენტის მიზნებისა და ამოცანების ჰარმონიზაცია და კავშირი

სხვა ეროვნული თუ მუნიციპალური პოლიტიკის დოკუმენტებთან. აქვე, მოცემულია ინფორმაცია გამართული საჯარო კონსულტაციების შესახებ.

სტრატეგიის დოკუმენტის მეორე თავი არსებული მდგომარეობის მიმოხილვას ეთმობა. აღნიშნული თავი აღწერს ბოლო 5-10 წლის განმავლობაში ხაშურის მუნიციპალიტეტში გამოვლენილ ტენდეციებსა და გამოწვევებს, რომელიც ადგილობრივ სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას უკავშირდება. ამასთან, ის აანალიზებს მუნიციპალიტეტის პოტენციალს რესურსების მხრივ, მის კონკრეტულ უპირატესობებსა და შესაძლებლობებს.

მესამე თავი ხაშურის მუნიციპალიტეტის განვითარების ხედვას, მიზნებსა და ამოცანებს ეხება. ამასთან, წარმოდგენილია გავლენისა და ამოცანის შედეგების ინდიკატორები.

მეოთხე თავში საუბარია დოკუმენტის განხორციელებაზე, მონიტორინგსა და შეფასებაზე. კერძოდ, განმარტებულია განხორციელების მექანიზმი - სამუშაო ჯგუფი და წევრები, მონიტორინგისა და შეფასების ჩარჩო, მონიტორინგის ანგარიშების წარდგენის პერიოდულობა, მონიტორინგის კოორდინაცია, შეფასების პერიოდულობა და მაკოორდინირებელი უწყება, დოკუმენტის (სამოქმედო გეგმის) განხორციელების პერიოდულობა.

დოკუმენტის მე-5 და მე-6 თავები დაინტერესებულ მხარეთა ჩართულობასა და სამოქმედო გეგმას ეხება. ეს უკანასკნელი აღწერს იმ ღონისძიებებსა და რესურსებს, რაც ხაშურის მუნიციპალიტეტის სტრატეგიის დოკუმენტით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად საჭირო.

2. არსებული მდომარეობის მიმოხილვა

2.1 ძირითადი სოციალური, გეოგრაფიული და ეკონომიკური მონაცემების მიმოხილვა

გეოგრაფიული მდებარეობა. ხაშურის მუნიციპალიტეტი საქართველოს ცენტრალურ ნაწილში, შიდა ქართლის რეგიონში მდებარეობს.⁶ მუნიციპალიტეტს აღმოსავლეთით ქარელის, დასავლეთით ხარაგაულისა და ბორჯომის, ჩრდილოეთით საჩხერისა და ქარელის, ხოლო სამხრეთით ბორჯომის მუნიციპალიტეტები ესაზღვრება. ხაშური ზღვის დონიდან 690 მეტრზე მდებარეობს და მისი ფართობი 585,2 კვ. კილომეტრია (ქვეყნის მთლიანი ფართობის 0,84%). ხაშურის მუნიციპალიტეტის საზღვრების საერთო სიგრძე 118 კილომეტრია.



ხაშურის მუნიციპალიტეტი თვითმმართველი თემია. ის ერთ ქალაქს (ხაშური), ერთ დაბასას (სურამი) და 82 სოფელს აერთიანებს. მართვის ოპტიმიზაციისათვის ხაშურის

⁶ ქალაქის ტიპის დასახლებას ხაშურში საფუძველი ჩაეყარა XIX საუკუნის 60-იანი წლებიდან, რასაც ხელი შეუწყო საქართველოში რკინიგზის ხაზის გაყვანამ, 1921 წლიდან ხაშური, საქართველოს ახალი ადმინისტრაციულ-ტერიტორიული დაყოფით, ისევ გორის მაზრაშია, ხოლო 1930 წლიდან დამოუკიდებელ რაიონს წარმოადგენს.


მუნიციპალიტეტი დაყოფილია 13 ადმინისტრაციულ ერთეულად⁷. საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 25 სოფელს მინიჭებული აქვს მაღალმთიანი დასახლების სტატუსი⁸.

2008 წელს რუსეთის ფედერაციის მიერ საქართველოს წინააღმდეგ განხორციელებული აგრესიის შედეგად, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიღმა აღმოჩნდა თიღვის მუნიციპალიტეტი, რომელიც ესაზღვრება ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებს. შესაბამისად, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარედ ხაშურის მუნიციპალიტეტის ალის, ფლევისა და წალვლის ადმინისტრაციული ერთეულების 22 სოფელი უსაფრთხოებისა და სოციალურ-ეკონომიკური ხასიათის დამატებითი გამოწვევების წინაშე დადგა.

მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ცენტრია ქალაქი ხაშური, რომელიც მდინარე სურამულას ნაპირზე, ზღვის დონიდან 700 მ. სიმაღლეზე მდებარეობს. მისი ტერიტორია მოიცავს 1703,5 ჰექტარს. მანძილი ქალაქ ხაშურსა და დედაქალაქ თბილისს შორის 130 კმ-ია.

დემოგრაფია. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის 2023 წლის 1 იანვრის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა 50.3 ათასი კაცია, საიდანაც 31.9 ათასი (63.4%) საქალაქო ტიპის დასახლებებში, 18.4 ათასი (36.6%) კი სოფლად ცხოვრობს.⁹

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის დინამიკა ბოლო ათი (2013-2023) წლის განმავლობაში¹⁰



მოსახლეობის რიცხოვნობა ასაკობრივი ჯგუფების, საქალაქო-სასოფლო დასახლებების და სქესის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (2014 წლის 5 ნოემბრის მდგომარეობით)¹¹

	სულ	საქალაქო დასახლება	სასოფლო დასახლება

⁷ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 ივლისის #49 დადგენილება ხაშურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციული ერთეულების შექმნისა და მათი საზღვრების დადგენის შესახებ

⁸საქართველოს მთავრობის 2015 წლის 30 დეკემბრის N671 დადგენილება მაღალმთიანი დასახლებათა ნუსხის დამტკიცების შესახებ

⁹ მოსახლეობის უმრავლესობა ქართველები არიან, მცირე რაოდენობით ცხოვრობენ სომხები, ებრაელები, რუსები, ოსები, ბერძნები, უკრაინელები და სხვ.

¹⁰ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ასაკობრივი ჯგუფები	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი	ორივე სქესი	კაცი	ქალი
სულ	52,603	25,519	27,084	33,627	16,101	17,526	18,976	9,418	9,558
0-4	3,442	1,809	1,633	2,203	1,160	1,043	1,239	649	590
5-9	3,239	1,697	1,542	2,238	1,175	1,063	1,001	522	479
10-14	3,074	1,665	1,409	2,086	1,121	965	988	544	444
15-19	2,975	1,589	1,386	1,903	1,004	899	1,072	585	487
20-24	3,096	1,701	1,395	1,926	1,040	886	1,170	661	509
25-29	3,562	1,848	1,714	2,331	1,170	1,161	1,231	678	553
30-34	3,436	1,682	1,754	2,293	1,093	1,200	1,143	589	554
35-39	3,513	1,732	1,781	2,403	1,171	1,232	1,110	561	549
40-44	3,607	1,788	1,819	2,412	1,185	1,227	1,195	603	592
45-49	3,511	1,751	1,760	2,210	1,100	1,110	1,301	651	650
50-54	4,074	1,952	2,122	2,543	1,184	1,359	1,531	768	763
55-59	3,863	1,760	2,103	2,401	1,054	1,347	1,462	706	756
60-64	3,249	1,443	1,806	2,054	890	1,164	1,195	553	642
65-69	2,384	1,010	1,374	1,496	620	876	888	390	498
70-74	1,843	759	1,084	1,057	425	632	786	334	452
75-79	2,044	773	1,271	1,151	414	737	893	359	534
80-84	1,085	385	700	592	196	396	493	189	304
85+	606	175	431	328	99	229	278	76	202

2014 წლის მოსახლეობის საყოველთაო აღწერის მონაცემების მიხედვით, მოსახლეობის მედიანური ასაკი 39 წელია, 65 წლის და უფროსი ასაკის მოსახლეობის წილი 15.1%-ი, ხოლო შრომისუნარიანი ასაკის მოსახლეობის წილი მუნიციპალიტეტის მთლიან მოსახლეობაში 81.5%-ია. ბოლო ხუთი წლის მონაცემების მიხედვით, შობადობის ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1000 კაცზე) საშუალოდ 10-11 შეადგენს, ხოლო მოკვდაობის ზოგადი კოეფიციენტი (მოსახლეობის 1000 კაცზე) საშუალოდ 14-15-ია¹².


მოსახლეობის მედიანური ასაკი¹³

	ორივე სქესი	კაცი	ქალი
მედიანური ასაკი ხაშურის მუნიციპალიტეტში	39	37	42
მედიანური ასაკი შიდა ქართლის რეგიონში	39	36	41
მედიანური ასაკი საქართველოში	37	34	40

¹² წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹³ 2014 წლის მონაცემებით; წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ცოცხლად დაბადებულთა რიცხოვნობა სქესის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში¹⁴




მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე¹⁵

	2018	2019	2020	2021	2022	2023
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე ხაშურის მუნიციპალიტეტში	89.1	88.4	87.7	87.2	86.0	85.9
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე შიდა ქართლის რეგიონში	75.6	75.0	74.4	74.1	73.1	72.9
მოსახლეობის სიმჭიდროვე 1 კვ.კმ-ზე საქართველოში	65.2	65.1	65.0	65.2	64.5	65.3

¹⁴ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

¹⁵ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



კლიმატი და ბუნებრივი საფრთხეები. ხაშურის მუნიციპალიტეტში ჰავა ზომიერად სუბტროპიკულია. მუნიციპალიტეტის კლიმატი ხასიათდება ზომიერად ტენიანიდან ზომიერად თბილისკენ გარდამავალი ჰაერით და ხანგრძლივი ნაკლებად ცხელი ზაფხულით. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურაა 15C, შესაძლებელი მაქსიმუმია 40C, ხოლო შესაძლებელი მინიმუმია -18C-ს შეადგენს. რელიეფი ერთფეროვანია, მცირე გამოწვევებით. ზედაპირის უმეტესი ნაწილი ვაკეებსა და ბორცვებს უჭირავს, სამხრეთი და დასავლეთი ნაწილი კი მთიანია. ძირითადი მდინარეებია მტკვარი და სურამულა, რომლებიც მუნიციპალიტეტის ტერიტორიას კვეთენ. მტკვრის შენაკადების ნაწილი თრიალეთის, ხოლო ნაწილი ლიხის ქედებიდან ჩამოედინება. მცენარეული საფარი მრავალფეროვანია, სტეპურიდან დაწყებული სუბალპურით დამთავრებული.

ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის ბუნებრივი საფრთხეებიდან დამახასიათებელია ძლიერი ქარი, ძლიერი წვიმა, წყალდიდობები და მეწყერი, არის გვალვისა და ხანმოკლე სეტყვის შემთხვევები. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებსა და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა განსაკუთრებით საფრთხეს უქმნის მდინარე სურამულასა და შოლას ნაპირებზე განთავსებულ სახლებს, საკარმიდამო ნაკვეთებსა და გზებს. იშვიათად ფიქსირდება წყალდიდობები მდინარე ჭერათხეულაზეც. ნაპირსამაგრი სამუშაოების მოცულობის გაფართოების და ინტენსივობის გაზრდის შედეგად, 2011 წლის შემდეგ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალდიდობის შედეგად, მნიშვნელოვანი ზარალი არ დაფიქსირებულა. მუნიციპალიტეტში

არ არის საკანალიზაციო კოლექტორები და წყალგამწმენდი ნაგებობები, რის გამოც ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩადის მდინარეებში¹⁶.

მინერალური რესურსები. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე სახის მინერალური რესურსია, მათ შორის, კირქვა, სააგურე თიხა, კვარც-მინდვრის შპატიანი ქვიშა, რკინა და სხვა. მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში არსებობს მინერალური და თერმული წყლების რესურსი¹⁷.

მინერალური რესურსები ხაშურის მუნიციპალიტეტში

#	რესურსი	საბადოს სახელი	მუნიციპალიტეტი	ადგილმდებარეობა	რაოდენობა	ერთეული	გამოყენება
1	ტალკი	ჩორჩანის ჯგუფის ტალკი	ხაშური	ჩორჩანა	245000	ტ	ქიმიური მრეწველობა
2	კირქვა	ბრილი	ხაშური	ბრილი		ტ	კირისთვის
3	სუსპენტიტი	თეთრი მინდორი	ხაშური			მ ³	ღორღი
4	გაბრო	უწლევი II	ხაშური	უწლევი		მ ³	მოსაპირკეთებელი ქვა
5	კვარცმინდვრის შპატიანი ქვიშა	ქემფერი	ხაშური	ქემფერი		მ ³	სამშენებლო ნედლეული
6	კირქვა	ალი	ხაშური	ალი	2114000	ტ	კირისთვის
7	სააგურე თიხა	ხცისი	ხაშური	ხცისი		მ ³	სააგურე თიხა
8	დოლომიტი, საფლუსე კირქვა	აბანო	ხაშური	სოფელი წაღვლი		მ ³	მასალის დასამზადებლად
9	რკინა	ძამა	ხაშური	ძამის ხეობა			მეტალურგია
10	მოლიბდენი	ღართა	ხაშური	ღართა			მეტალურგია

თერმული და მინერალური წყლები

#	თერმული/ მინერალური წყალი	ადგილმდებარეობა	სასარგებლო თვისებები
1	მინერალური წყალი (რკინის წყალი)	სურამი ¹⁸	გამოიყენება ანემიისა და სისხლნაკლებობის სამკურნალოდ
2	მინერალური წყალი	ჩუმათელეთი	სახსრების დაავადების სამკურნალოდ

¹⁶ აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის ევროკავშირისა და საფრანგეთის განვითარების სააგენტოს მხარდაჭერით მიმდინარეობს წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების რეაბილიტაციის პროექტი. პროექტის შესახებ დეტალური ინფორმაცია მოცემულია მუნიციპალური ინფრასტრუქტურის ქვეთავში.



¹⁷ წყარო: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

¹⁸ დაბა სურამი ხასიათდება სულფიდური მინერალური წყლებით, ქ.ხაშურის ჩრდილო-დასავლეთით 4 კმ-ზე, ზღვის დონიდან 900-1000 მეტრზე. 1948 წელს დაბა სურამი გამოცხადდა რესპუბლიკური მნიშვნელობის კურორტად.

3	მინერალური-თერმული წყალი	ქვიშხეთი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ
4	მინერალური წყალი (ღარიბადელი)	სურამი/ხაშური	კუჭის წყლულის და კანის დაავადებების სამკურნალოდ
5	თერმული წყალი	წრომი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ
6	თერმული წყალი	მიწობი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ

ძირითადი ეკონომიკური მონაცემები. ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორი ძირითადად სამშენებლო, სამრეწველო და ფერმერული ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი. 2022 წლის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში 9904 ბიზნეს-სუბიექტია რეგისტრირებული. ბოლო წლების განმავლობაში, რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა ყოველწლიურად საშუალოდ 400-ით იზრდება. 2021 წლის მონაცემების მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა 3.8 ათას კაცს, ხოლო დასაქმებულთა საშუალო ხელფასი 656.3 ლარს შეადგენდა.

2021 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორის დამატებულმა ღირებულებამ 64.7 მილიონი ლარი, ხოლო, ბიზნეს სექტორის ბრუნვამ - 395.6 მლნ ლარი შეადგინა.¹⁹



2021 წელს ბიზნეს-სექტორის მიერ პროდუქციის გამოშვების მაჩვენებელმა 128,4 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წელთან შედარებით დაახლოებით 20 მილიონი ლარით მეტია.²⁰

¹⁹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

²⁰ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

დამეგობრებული ქალაქები. ხაშურის მუნიციპალიტეტი 7 ქვეყნის 9 ქალაქთანაა დამეგობრებული. მას პარტნიორობის შესახებ მემორანდუმი გაფორმებული აქვს შემდეგ ქალაქებთან:

- ბელარუსი: გორკი
- ისრაელი: რამლა
- ლატვია: ბაუსკა
- ლიეტუვა: რადვილიშკისი
- პოლონეთი: ტარნუვი, შრემი
- უკრაინა: ზვიაჰელი, ობუხოვი
- შვედეთის სამეფო: ჰედემორა

დამშობილებულ ქალაქებთან თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმები ითვალისწინებს ოფიციალური დელეგაციების, ტურისტული ჯგუფების, საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კულტურის სფეროს წარმომადგენლების, სპორტსმენების და სხვა პირების გაცვლით ვიზიტებს. ასევე, გამოცდილების გაზიარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა მუნიციპალური სერვისები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიების მოწყობა, დეცენტრალიზაცია, გარემოს დაცვა, მრეწველობა, ტრანსპორტი, ჯანმრთელობის დაცვა, განათლება, ვაჭრობა, კულტურა, სპორტი, სოციალური დაცვა და დასვენების ორგანიზება.

არასამთავრობო სექტორი. ხაშურის მუნიციპალიტეტში არასამთავრობო სექტორი ფართოდ წარმოდგენილი არ არის. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ფუნქციონირებს. მათ შორისაა:

- არასამთავრობო ორგანიზაცია „ძალადობისაგან დაცვის ეროვნული ქსელის ხაშურის რაიონული კომიტეტი“, რომლის მიზანია ძალადობის მსხვერპლთა დაცვა და დახმარება სამთავრობო უწყებებთან, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციებთან თანამშრომლობით;
- ახლად დაფუძნებული ა(ა)იპ „ახალგაზრდები ხაშურის განვითარებისთვის“, რომლის მიზანია მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების აქტიური ჩართვა რეგიონის განვითარებაში, მათი დასაქმების ხელშეწყობა და მათთვის ახალი შესაძლებლობების გაჩენა;
- ა(ა)იპ „ხაშურელ მეწარმე ქალთა კავშირი“, რომლის მიზანია ქალი მეწარმეების ხელშეწყობა, რეგიონში მცხოვრები ქალების აქტიური მონაწილეობა მუნიციპალიტეტის განვითარებაში, მათი ჩართვა ეკონომიკური პოლიტიკის შემუშავებაში.


მედია. ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მედია ორგანიზაციები მწირი სახითაა წარმოდგენილი, მათ შორისაა გაზეთი „ხაშურის მოამბე“, რომელიც ხაშურის მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ-ს წარმოადგენს, მუნიციპალიტეტის მასშტაბით მაუწყებლობს ონლაინმედია TV-ივერია (კერძო სექტორი).

2.2 მუნიციპალიტეტის ეკონომიკა


ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორი ძირითადად სამშენებლო, სამრეწველო და ფერმერული ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი, განვითარებულია ინერტული მასალების მოპოვება, უალკოჰოლო და ალკოჰოლური სასმელების წარმოება, ხორბლის დაფქვა, მეტ-ნაკლებად დაწინაურებულია კვების მრეწველობა, პურის საცხობები, ლიმონათის საამქროები. ეკონომიკური განვითარებისთვის მნიშვნელოვანია მუნიციპალიტეტის ტურისტული და სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება, მცირე და საშუალო საწარმოების განვითარება.

2.2.1 სოფლის მეურნეობა

სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივად გამოყენება ხაშურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ადგილობრივი მოსახლეობის უდიდესი ნაწილი ამ სფეროშია დასაქმებული და მათი შემოსავლის ძირითად წყაროს სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება-რეალიზაცია წარმოადგენს.



ხაშურის მუნიციპალიტეტის მიწის საერთო ფართობია 585 260 ჰა., საიდანაც 20 308 ჰა (3,5%) სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებისაა. აქედან, სახნავ-სათესი სავარგულები - 11 032 ჰა-ს (სავარგულების 54%), ხეხილის ბაღები - 3 036 ჰა-ს(15%), სათიბ-სამოვარი - 6240 ჰა-ს (31%) შეადგენს.




ხაშურის მუნიციპალიტეტში სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი

6 362 ჰა-ს შეადგენს, ხოლო კერძო საკუთრებაშია 13 946 ჰა. მათ შორის, კერძო საკუთრებაა სახნავი ფართობების 99%-ი, მრავალწლიანი ნარგავების 99%-ი. რაც შეეხება სათიბებსა და სამოვრებს, კერძო საკუთრებაშია 12%-ი. ბოლო წლებში, მუნიციპალიტეტში სახნავ-სათესი მიწები 30 ჰექტარით შემცირდა, რაც მოდიდებული მდინარეების ნაპირების ჩარეცხვითაა გამოწვეული. ამასთან, ადგილი აქვს სასოფლო-სამეურნეო მიწების დეგრადაციას, რაც წყლისმიერ და ქარისმიერ ეროზიას უკავშირდება (ამ მიზეზით დეგრადირებულია სახნავ-სათესი სავარგულების 1 000 ჰა, რაც მთლიანი სავარგულების 5%-ის შეადგენს).

ხაშურის მუნიციპალიტეტში გასარწყავებელია 1 914 ჰა სახნავი მიწის ფართობი. მუნიციპალიტეტს კვეთს ტაშისკრის მაგისტრალური სარწყავი არხი, რომლითაც წყალი მიედინება მეზობელ ქარელის მუნიციპალიტეტში. შიდა სარწყავი სისტემების დიდი ნაწილი მწყობრიდანაა გამოსული, შესაბამისად, სარწყავი წყლით მოსახლეობის მცირე ნაწილი სარგებლობს. ძველი სარწყავი სისტემები მოშლილია მტკვრის მარჯვენა სანაპიროზეც, აღარ ფუნქციონირებს ხცისის სატუმბი სადგური. ასევე, გადამქაჩი სადგურით „ქართლი“ წყალი მიეწოდებოდა მდინარე ჭერათხევის ხეობას, მათ შორის, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე სოფლებს წალვლსა და ჩორჩანას. დღეს ეს სისტემა აღარ არსებობს. შესაბამისად, ხაშურის მუნიციპალიტეტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დიდი ნაწილი არ ირწყვება. ეროზიისა და დეგრადირების გამო გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობი შეადგენს 122 ჰა-ს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სატყეო ფონდის მთლიანი ფართობია 26 444 ჰა, ტყით დაფარულია 23 460 ჰა, მათ შორის, წიწვოვანი 6 000 ჰა, ფოთლოვანი 4 500 ჰა. ტყის ფონდი მოიცავს წიფელის, მუხის, ნაძვის და რცხილას ჯიშებს, რომელთაც მცირე რაოდენობით ერევა ფიჭვი, წაბლი, ვერხვი, მურყანი და სოჭი. ერთ ჰექტარზე ტყის საშუალო შემატება შეადგენს 3,5 კგ.მ-ს. ხელოვნურად კულტურების გაშენება არ ხდება. მიმდინარეობს ბუნებრივი განახლების ხელშეწყობა, ტყის მოვლა-აღდგენის ღონისძიებებიდან ხორციელდება მხოლოდ ბუნებრივი



განახლების ხელშეწყობის ღონისძიებები. მაგალითად სურამის სატყეო ფონდში დაზიანებული მუხის საბურველის ქვეშ დაირგო 4000 ცალი მუხისა და იფნის ნერგი. 1 ჰა-ზე აღმონაცენი მოზარდის საშუალო რაოდენობა შეადგენს 3 500 ცალს. ტყით მოწყობა ხაშურის სატყეო სექტორში არ ჩატარებულა 1989 წლის შემდეგ. შესაბამისად, ეს მონაცემები არ არის დადასტურებული ტყის ახალი

ინვენტარიზაციის მმონაცემებით²¹.

მუნიციპალიტეტში ხდება სხვადასხვა სამკურნალო მცენარეებისა²² და ტყის არამერქნული რესურსების დამზადება. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ამ საქმიანობას ახორციელებს კომპანია „იბერია ფრუტსი“.

2018-2022 წლების განმავლობაში ერთწლიანი მარცვლეული კულტურების ფართობები (ჰა) და მოსავლიანობა (ტ)²³

ფართობი (ჰა)

ერთწლიანი მარცვლეული კულტურები	2018	2019	2020	2021	2022
ხორბლის კულტურა	2255	1445	1560	1580	1960
ქერის კულტურა	475	290	320	350	440
შვრიის კულტურა	710	740	760	700	700
სიმინდის კულტურა	2685	3020	3040	3120	3195

მოსავლიანობა (ტ)

ერთწლიანი მარცვლეული კულტურები	2018	2019	2020	2021	2022
ხორბლის კულტურა	6765	3720	4036	3792	5500
ქერის კულტურა	1078	576	601	595	900
შვრიის კულტურა	781	740	760	980	1100
სიმინდის კულტურა	12888	16120	13984	12833	14200

მარცვლეული კულტურებიდან, ყველაზე დიდი წილი სიმინდის კულტურაზე მოდის, რადგან ის განეკუთვნება შედარებით ადვილად მოსავლელ და შენახვად პროდუქტს და ხასიათდება სტაბილური სარეალიზაციო ფასით. თუმცა, ბოლო წლებში შეინიშნება ნათესი ფართობების კლების ტენდენცია, რადგან დიდია მავნებელი ავადმყოფობებით გამოწვეული ზარალი, ამასთან, დაბალია სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე ხელმისაწვდომობა.

ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგებია: მიწათმოქმედება, მეხილეობა, მებაღეობა, მებაღჩეობა, მებოსტნეობა, მებოცვრეობა, მევენახეობა, მეთევზეობა, მეთესლეობა, მეკარტოფილეობა, მემცენარეობა, მონადირეობა, მეტყვეობა, მეფრინველეობა, მეფუტკრეობა, მეღორეობა, მეცხენეობა, მეცხვარეობა.²⁴

სოფლის მეურნეობის პერსპექტიული დარგები ადმინისტრაციული ერთეულების მიხედვით

ადმინისტრაციული ერთეული	წამყვანი (დომინანტი) დარგები
-------------------------	------------------------------

²¹ წყარო: ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახური

²² გავრცელებულია: მოცვი, კრაზანა, ტყის ქონდარი, თეთრი გვირილა, უკვდავა, თავშავა, მახველი, ღიღილო, ასკილი.

²³ წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

²⁴ წყარო: მუნიციპალიტეტის შეფასება

ალი	მევენახეობა; მარცვლეული კულტურები; მესაქონლეობა.
წაღვლი	მევენახეობა; მარცვლეული კულტურები; მესაქონლეობა.
ფლევი	მარცვლეული კულტურები; მევენახეობა; მეხილეობა; მესაქონლეობა.
გომი	მეხილეობა; მებოსტნეობა; მარცვლეული კულტურები; მესაქონლეობა.
წრომი	მარცვლეული კულტურები; მესაქონლეობა
ხცისი	მარცვლეული კულტურები; მესაქონლეობა
ცხრამუხა	მარცვლეული კულტურები; ბოსტნეული; მესაქონლეობა
ქვიშხეთი	მევენახეობა; მეხილეობა; მესაქონლეობა.
სურამი	მევენახეობა; მარცვლეულის წარმოება.
ცოცხნარა	მესაქონლეობა; მარცვლეულის წარმოება
ხალები	მესაქონლეობა
ხაშური	მარცვლეულის წარმოება; მეხილეობა

მევენახეობა ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ ტრადიციულ დარგად ითვლება და მას მუნიციპალიტეტის უმეტეს სოფლებში მისდევენ. დღეისათვის, ვენახების საერთო ფართობი 593 ჰექტარს შეადგენს. ბოლო წლებში, ადგილობრივ ყურძნის ჯიშებზე (პინო, ჩინური, გორული მწვანე, ძელშავი, ქვიშხურა, შავკაპიტო) მოთხოვნა და ფასიც სტაბილური გახდა.

მესაქონლეობა მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის შემოსავლის ერთ-ერთი ძირითადი წყაროა. უნდა აღინიშნოს, რომ შეინიშნება პირუტყვის სულადობის კლება, თუმცა ხაშურის მუნიციპალიტეტის მიწის რესურსი (ბუნებრივი სათიბები, საძოვრები) პირუტყვის სულადობის რამდენჯერმე გაზრდის საშუალებას იძლევა. ამასთან, საჭიროა მოსახლეობის ცნობიერების დონის ამაღლება პირუტყვის ვაქცინაციის საჭიროების საკითხზე.

პირუტყვის სულადობა (ათასი ცალი) და პროდუქტიულობა წლების მიხედვით ²⁵	2018	2019	2020	2021	2022
მსხვილფეხა პირუტყვი	10635	10063	9070	9228	8315
წველადობა(ლიტრი)	9871	9920	8688	9382	7994
ხორცპროდუქტები	642	638	544	553	498
ცხვარი	1237	648	655	725	2545
წველადობა (ლიტრი)	62	32	33	36	127
ხორცპროდუქტები	16.30	8	8	9	33
მატყლი (კგ)	3092.5	1500	1600	1800	6100

²⁵ წყარო: სოფლის განვითარების სააგენტოს ხაშურის საინფორმაციო-საკონსულტაციო ცენტრი

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი შემოსავლიანი დარგია **მეფუტკრეობა**. ბოლო წლებში, დარგისადმი ადგილობრივი მოსახლეობის ინტერესი განსაკუთრებით გაიზარდა. დღეისათვის მუნიციპალიტეტში აღრიცხულია 2360-ზე მეტი ფუტკრის ოჯახი. ამ საქმიანთა დაკავებული 12 მოყვარული და 59 პროფესიონალი მეფუტკრე. მეფუტკრეთა თითქმის ნახევარი (29 მეფუტკრე) ხაშურისა და გომის ადმინისტრაციულ ერთეულებშია განლაგებული. ყოველწლიურად იწარმოება 33 ტონა მაღალხარისხიანი თაფლი, მუნიციპალიტეტში არსებობს მეფუტკრეობის მიმართულებით მოქმედი 4 კოოპერატივი. თაფლის გასაღება შიდა ბაზარზე ხორციელდება. რეგიონის მასშტაბით არ არსებობს თაფლის ხარისხის კვლევის ლაბორატორია.

ბოლო პერიოდში განვითარდა და ზრდის პერსპექტივა გაუჩნდა **მეთევზეობას**. ამ ეტაპისათვის, იწარმოება 12 ტონაზე მეტი კალმახი (წელიწადში). საკალმახე მეურნეობებს ინდივიდუალური მეწარმეები ფლობენ.

ხაშურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი, ნიადაგური და კლიმატური პირობები საუკეთესოა **მეხილეობის** განვითარებისათვის. ადგილობრივი ტყეები მდიდარია გარეული ხილით (პანტა, მაჟალო, მოცვი, მაყვალი, ასკილი, ჟოლო და სხვ.) მოსახლეობის კერძო მეურნეობებში, ასევე, გვხვდება ვაშლის, უეკლო მაყვლის, ნუშის, სხვადასხვა ჯიშის ქლიავის ნარგავები. მიუხედავად ხელსაყრელი პირობებისა, მოსახლეობა არ არის დაინტერესებული დარგის შემდგომი განვითარებით, რადგან არ არსებობს გასაღების სტაბილური ბაზარი, ადგილზე არ მოქმედებს გადამამუშავებელი საწარმოები, ნაკლებადაა განვითარებული სამაცივრე მეურნეობა, დაბალია სარეალიზაციო ფასი. შედეგად, მოსახლეობა ხილს ძირითადად პირადი მოხმარებისათვის იყენებს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში **მემცენარეობა** ფართოდ არ არის გავრცელებული. ძირითადად მოყავთ მარცვლეული, რომლის მოსავლიანობა ჰექტარზე 1,9-2.0 ტონას შეადგენს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში 2018-2022 წლის ჩათვლით მოქმედებდა შპს „მექანიზატორი“. მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სოფლის განვითარების სააგენტოს საინფორმაციო - საკონსულტაციო ცენტრი.

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში დაფინანსებული და დასრულებული პროექტების დინამიკა:

სახელმწიფო პროექტები	2018	2019	2020	2021	2022
სოფლად ახალგაზრდა მეწარმეების მხარდაჭერის პროგრამა - „ახალგაზრდა მეწარმე“	1	0	0	0	0
მწვანე საგრანტო პროგრამა	0	0	0	0	0
აგროწარმოების ხელშეწყობის პროგრამა	0	0	2	0	0
ვაშლის რეალიზაციის ხელშეწყობის პროგრამა	0	0	0	0	0

მცირემიწიან ფერმერთა საგაზაფხულო სამუშაოების ხელშეწყობის პროექტი	0	0	0	8966	0
--	---	---	---	------	---

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მიერ ხაშურის მუნიციპალიტეტში დაფინანსებული და მიმდინარე პროექტების დინამიკა:

სახელმწიფო პროექტები	2015-2022 წწ	2023წ.
საპილოტე პროგრამა ქალებისთვის https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/196	0	0
ბიოწარმოების ხელშეწყობის პროგრამა https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/197	0	0
სასოფლო-სამეურნეო მექანიზაციის თანადაფინანსების სახელმწიფო პროგრამა https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/193	33	0
მერძვეობის დარგის მოდერნიზაციის და ბაზარზე წვდომის სახელმწიფო პროგრამა https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/198	0	0
დანერგე მომავალი https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/10	141	0
გადამამუშავებელი და შემნახველი საწარმოების თანადაფინანსების პროექტი https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/15	1	0
შეღვათიანი აგროკრედიტი https://mepa.gov.ge/Ge/Projects/Details/14	495	0

მუნიციპალიტეტში ქალები მამაკაცებზე მეტად არიან ჩართულები დაბალშემოსავლიან საქმიანობაში, როგორც არის შიდასამეურნეო წარმოება. კაცებთან შედარებით ქალების მონაწილეობა სასოფლო-სამეურნეო საქმიანობაში მცირემასშტაბიანია. ქალების შრომა სოფლად ხშირად ასოცირდება ოჯახურ პასუხისმგებლობასთან და აუნაზღაურებელი რჩება. დასაქმებულ ქალებს კი სოფლის მეურნეობის ყველა სექტორში უფრო ნაკლები ანაზღაურება აქვთ, ვიდრე კაცებს. ყველაფერ ამას ემატება ქალთა შეზღუდული წვდომა ისეთ რესურსებზე როგორცაა: მიწა და ფინანსები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, დასახელდა სოფლის მეურნეობის დარგის შემდეგი გამოწვევები:

1. სარწყავი სისტემის გაუმართაობა, მათ შორის, სარწყავი წყლის არასაკმარისი რესურსი;
2. სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
3. სასაწყობო და სამაცივრე მეურნეობების სიმცირე/არარსებობა;
4. სასათბურე მეურნეობების სიმცირე;

5. ჩამბარებელი და გადამამუშავებელი პუნქტების არარსებობა/ნაკლებობა;
6. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე ვეტერინალური სერვისების შესახებ;
7. ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე ნიადაგის ანალიზის საჭიროების შესახებ;
8. თანამედროვე სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიებზე მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე (მათ შორის, მეფუტკრეობასა და მეთევზეობაში);
9. მწვანე სოფლის მეურნეობაზე მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე;
10. სოფლად ეკონომიკის დივერსიფიკაციის და კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე;
11. რეგიონის მასშტაბით თაფლის ხარისხის კვლევის ლაბორატორიის არ არსებობა;
12. ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით ქალებისთვის);
13. სუსტი საბაზრო კავშირები მიწოდების ჯაჭვში;
14. მაღალმთიან დასახლებებში ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
15. სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიმცირე და განვითარების დაბალი დონე;
16. ადმინისტრაციული სასაზღვრო ზოლთან დაკავშირებული საფრთხეები სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებისას;
17. სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ეტიკეტირებისა და მარკეტინგის პრობლემა;
18. რძის პროდუქტების წარმოებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურისა და კვალიფიკაციური კადრის არარსებობა/სიმცირე;
19. პირუტყვის ჯიშობრივი განახლების პრობლემა;
20. თევზის მეურნეობისთვის საჭირო საკვების წარმოებისა და სალიფსიტე მეურნეობის არარსებობა;
21. პესტიციდების არარაციონალური გამოყენება და ცნობიერების დაბალი დონე;
22. რიგი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების რეგისტრაციასთან დაკავშირებული პრობლემები;

2.2.2 ტურიზმი

ხაშურის მუნიციპალიტეტის ტურისტულ პოტენციალს მის საზღვრებში შემავალი კულტურულ-ისტორიული და რელიგიური ღირებულებების მქონე ძეგლების სიმრავლე განსაზღვრავს. ხაშურის მუნიციპალიტეტი ოთხივე ტურისტული სეზონისთვისაა საინტერესო. ამიტომ, მუნიციპალიტეტის გრძელვადიანი განვითარებისათვის, ტურისტული პოტენციალი განიხილება, როგორც ერთ-ერთი პერსპექტიული სფერო. 2021 წლის 6 აპრილს დამტკიცდა „ხაშურის მუნიციპალიტეტის დაბა სურამის გენერალური გეგმისა და დაბის ცენტრალური უბნის განაშენიანების გეგმა“, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება #7 6 აპრილი 2021 წელი. სადაც გაწერილია ტერიტორიულ-სტრუქტურული ზონირება, საუბარია ყოფილი რკინიგზის ხაზის ბულვარად გადაკეთების პერსპექტივაზე, საფეხმავლო კავშირებზე ბულვარსა და სურამის ციხეს შორის, საუბარია სურამის ტბის გამოყენების პოტენციალზე, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის უკეთ განვითარებაზე,

ტურისტული მიზიდულობის ობიექტებზე და ა.შ. დაბა სურამის განვითარების გენერალური გეგმა უმნიშვნელოვანესი დოკუმენტია, რომელიც ზრდის მუნიციპალიტეტის საინვესტიციო დაინტერესებას.²⁶


ხაშურის მუნიციპალიტეტი მდიდარია ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობით. მუნიციპალიტეტში მდებარეობს დაახლოებით 180-მდე ტურისტული ძეგლი. ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტული მიმართულებაა. ტურიზმის განვითარება გაზრდის დასაქმების მაჩვენებელს, შემოსავლებს და დამატებით სტიმულს მისცემს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება-გასაღებას.

საქართველოდან და უცხოეთიდან მოცემულია დანართი N1-ში.

არსებული რესურსების გათვალისწინებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში შესაძლოა განვითარდეს ტურიზმის ისეთი მიმართულებები, როგორებიცაა სპორტული ტურიზმი, სამკურნალო ტურიზმი, ეკო-ტურიზმი, აგროტურიზმი, კულტურულ-შემეცნებითი ტურიზმი, გასტრონომიული ტურიზმი, სოფლად ტურიზმი, ჰაიქინგი და ტრეკინგი (შორ მანძილზე ფეხით სიარული), საბანაკოდ გასვლა. წლების განმავლობაში სურამს ყველაზე მეტი დატვირთვა ქონდა საბანაკო მიმართულებით.

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობის 2018-2021 წლებისდინამიკა ასეთია²⁷:

ხაშურის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 14 ოქტომბრიდან შესაბამისი ტექნიკითა და ინვენტარით აღჭურვილი ტურისტული საინფორმაციო ცენტრი დაიწყო ფუნქციონირებას. ცენტრში დასაქმებული იქნება სამი ადამიანი. მოწესრიგდა ტურისტული საინფორმაციო ცენტრის მიმდებარე ინფრასტრუქტურაც.



²⁶საქართველოს საკანონმდებლო მაცნე. <https://www.matsne.gov.ge/document/view/5144558?publication=0>

²⁷ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

სასტუმროები და ღამის გასათევი ადგილები. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში 10 სასტუმრო ფუნქციონირებს²⁸. საოჯახო სასტუმროების უმეტესობა დაბა სურამშია განთავსებული. ქალაქ ხაშურში მდებარეობს სასტუმრო „ივერია“, სოფელ ქვიშხეთში - სასტუმრო „მწერლები“. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში არის საოჯახო სასტუმროების სიმცირე, პარალელურად კი მზარდი მოთხოვნა, რაც ქმნის დასასვენებელი სივრცეების დეფიციტს და ზრდის არსებულის ფასს. ტურიზმის განვითარების ერთ-ერთ ხელისშემშლელ ფაქტორად სწორედ სასტუმროებისა და ღამის გასათევი ადგილების ნაკლებობა შეიძლება ჩაითვალოს.

სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების რაოდენობა და მთლიანი ფართობი ადგილობრივი ერთეულების ჩათვლით ხაშურის მუნიციპალიტეტში²⁹

	2018	2019	2020	2021	2022
რაოდენობა	5	7	5	10	-
ფართობი კვ.მ.	2 179.0	4 661.0	2 651.0	5 159.0	-

ნომრების რაოდენობა სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)³⁰

	2018	2019	2020	2021	2022
ნომრების რაოდენობა სულ	51	92	68	138	-
ლუქსი	-	2	1	4	
ერთ ადგილიანი	5	6	3	6	-
ორ ადგილიანი	38	56	39	83	-
სამი და მეტ ადგილიანი	8	28	25	45	-




ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული სასტუმროების ჩამონათვალი იხილეთ დანართი N2-ში.

²⁸ თუმცა, ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მონაცემებით, სასტუმროების რაოდენობა გაცილებით მეტია

²⁹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

³⁰ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში³¹

ბორჯომ-ხარაგაულის დაცული ტერიტორიები ხაშურის მუნიციპალიტეტს კვეთს ქვიშხეთის ადმინისტრაციული ერთეულის ტერიტორიაზე, სოფ. მონასტრის, სოფ. ბულბულისციხის და ნაწილობრივ სოფ. ტაშისკარის მიმდებარე ტერიტორიაზე.³² ეროვნული პარკის საცხენოსნო მარშრუტებზე გასასვლელად, საჭიროა რეგისტრაციის გავლა ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკის ადმინისტრაციის ვიზიტორთა ცენტრებში: ბორჯომში ან ხარაგაულში. ეროვნული პარკის ტურისტული მარშრუტების ქსელი ერთი და მრავალდღიანი ლაშქრობების საშუალებას იძლევა ტურისტული მარშრუტების ქსელი ზღვის დონიდან 400 მ-დან 2,642 მ-ს აღწევს. ბილიკები მარკირებული და კეთილმოწყობილია. ბილიკების გასწვრივ მოწყობილია ტურისტული თავშესაფრები, საპიკნიკე და საკემპინგე ადგილები. ასევე გამოყოფილია ადგილები ცეცხლის დასანთებად. ეროვნული პარკი ვიზიტორებს სალაშქრო, საცხენოსნო, ველო, თოვლის ფეხსაცმელების კულტურულ და საგანმანათლებლო ტურებს სთავაზობს.³³

რესტორნები და კვების ობიექტები. ხაშურის მუნიციპალიტეტში 20-მდე კვების ობიექტი და ხუთი მარანია განთავსებული. კვების ობიექტების სიმცირე ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევაა. აუცილებელია კვების ობიექტების მმართველი რგოლისა და სექტორში მომსახურე პერსონალის ცნობიერების ამაღლების ხელშეწყობა სურსათის უვნებლობის სტანდარტებთან დაკავშირებით.



ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი კვების ობიექტების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია დანართი N3-ში.

³¹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

³² <https://maps.gov.ge/map/portal#state/point=43.465157863928965,41.965480363784415&projection=EPSG:4326&zoom=13.309463682792563&projection=EPSG:4326>

³³ დაცული ტერიტორიების სააგენტო. <https://apa.gov.ge/ge/protected-areas/cattestone/bordjom-xaragaulis-erovnuli-parkis-administracia>



ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი მარნების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია დანართი N4-ში

გასართობი და დასასვენებელი სივრცეები. ქალაქ ხაშურში, „ზემო სერის“ ტყე-პარკის ტერიტორიაზე გასართობი და დასასვენებელი სივრცის მოწყობის სამუშაოები მიმდინარეობს. პროექტი მოიცავს ტერიტორიაზე ატრაქციონების, საზაფხულო ამფითეატრის, სკეიტ-პარკისა და სხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცის მოწყობას. პროექტის დასრულება დაგეგმილია 2024 წელს. 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა სარბენი და ველო-ბილიკების მოწყობის სამუშაოები პარკის შიდა ტერიტორიაზე. ამასთან, მოეწყო გარე განათების სისტემა. ტერიტორია საშუალებას იძლევა მოეწყოს საბავშვო ქალაქის ტიპის გასართობი და ქართული ხალხური რეწვის ნამუშევრების გამოფენა-გაყიდვის სივრცეები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, დასახელდა ტურიზმის სექტორის განვითარებასთან დაკავშირებული გამოწვევები:

1. ხაშურის მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ობიექტის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე, მათ შორის, რეგიონსა და დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებს შორის;
1. სასტუმროებისა და ღამის გასათევი ადგილების ნაკლებობა;
2. ტურისტულ ღირსშესანიშნაობებამდე მისასვლელი სამანქანო გზების მოუწყვრებლობა;
3. ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმცირე ან არსებულის გაუმართაობა;
4. ონლაინ-რესურსების აუთვისებლობა, ინფორმაციის ნაკლებობა და მასზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
5. ისტორიულ/ტურისტულ ძეგლებთან საინფორმაციო ნიშნულების ნაკლებობა;
6. ისტორიულ/ტურისტულ ძეგლებთან სანიტარულ-ჰიგიენური პირობების არარსებობა/სიმცირე (მათ შორის, ნაგვის ურნები და ეკო ტუალეტები);
7. ტურიზმისა და მომსახურების სექტორში ჩართული კვალიფიური კადრის სიმცირე;
8. ტურისტული რუკების, მარშრუტებისა და ღირსშესანიშნაობების ერთიანი ბაზის არქონა;
9. საინფორმაციო მასალების (ბროშურები, პრომო ვიდეო რგოლი, პოსტერები) ნაკლებობა;
10. საბანაკე და საპიკნიკე ადგილების ნაკლებობა/არარსებობა;
11. საფეხმავლო და ველო-ბილიკების არარსებობა/მოუწყვრებლობა;
12. ტურისტული ძეგლების ზონირების, მარკირების, მონიშვნების, ჯებირების არარსებობა/სიმცირე;
13. მუზეუმებისა და საგამოფენო სივრცეების ნაკლებობა;
14. ტურისტული ფესტივალებისა და გამოფენების არარსებობა/სიმცირე;

15. ტურიზმის სფეროში უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების არარსებობა/ნაკლებობა;
16. ტურიზმის სფეროში მოწყვლადი ჯგუფების ჩართულობის დაბალი მაჩვენებელი;
17. ტურიზმის სფეროში ტრადიციული რეწვის პროდუქტების ჩართულობის დაბალი დონე;

2.2.3 მრეწველობა

ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორი ძირითადად სამშენებლო, სამრეწველო და ფერმერული ორგანიზაციების სახითაა წარმოდგენილი. 2022 წლის მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში 9904 ბიზნეს-სუბიექტია დარეგისტრირებული. ბოლო წლების განმავლობაში, რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა საშუალოდ 400-ით გაიზარდა³⁴.

რეგისტრირებული სუბიექტების რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)³⁵

საკუთრების ფორმა	2018	2019	2020	2021	2022
სულ	8 287	8 650	9 030	9 470	9904
კერძო ადგილობრივი საკუთრება	8 053	8 402	8 775	9 204	9610
კერძო უცხოური საკუთრება	130	142	147	157	163
სახელმწიფო საკუთრება	56	56	57	58	56
მუნიციპალური საკუთრება	23	22	22	22	24
შერეული კერძო საკუთრება ადგილობრივის უპირატესობით	11	12	13	13	13
შერეული კერძო საკუთრება უცხოეთის უპირატესობით	9	10	10	10	11
სხვა	5	6	6	6	21
გაურკვეველი	6	6	6	6	6

რეგისტრირებულ სუბიექტთა რაოდენობა ეკონომიკური საქმიანობის სახეებისა და წლების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)³⁶

ეკონომიკური საქმიანობის დასახელება	2018	2019	2020	2021	2022
სოფლის, სატყეო და თევზის მეურნეობა	95	101	104	108	-
სამთომოპოვებითი მრეწველობა და კარიერების დამუშავება	14	13	13	13	-
დამამუშავებელი მრეწველობა	489	513	526	533	-
ელექტროენერჯის, აირის, ორთქლის და კონდიციონირებული აირის მიწოდება	2	2	2	2	-

³⁴ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

³⁵ წყარო: ეკონომიკური განვითარების სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

³⁶ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

წყალმომარაგება, კანალიზაცია, ნარჩენების მართვა და დაბინურებისაგან გასუფთავების სამუშაოები	5	5	5	5	-
მშენებლობა	208	249	290	305	-
საბითუმო და საცალო ვაჭრობა, ავტომობილების და მოტოციკლების რემონტი	2 153	2 256	2 374	2 412	-
ტრანსპორტი და დასაწყობება	353	372	390	405	-
განთავსების საშუალებებით უზრუნველყოფის და საკვების მიწოდების საქმიანობები	226	241	248	254	-
ინფორმაცია და კომუნიკაცია	18	18	20	20	-
საფინანსო და სადაზღვევო საქმიანობები	28	28	29	29	-
უძრავ ქონებასთან დაკავშირებული საქმიანობები	65	68	69	70	-
პროფესიული, სამეცნიერო და ტექნიკური საქმიანობები	66	67	70	71	-
ადმინისტრაციული და დამხმარე მომსახურების საქმიანობები	43	53	55	57	-
სახელმწიფო მმართველობა და თავდაცვა,სავალდებულო სოციალური დაცვა	10	10	10	10	-
განათლება	70	70	71	71	-
ჯანდაცვა და სოციალური მომსახურების საქმიანობები	64	64	65	69	-
ხელოვნება, გართობა. დასვენება	28	29	29	29	-
სხვა სახის მომსახურება	151	157	158	160	-
საქმიანობა უცნობია	4 199	4 334	4 502	4 847	-
სულ	8 287	8 650	9 030	9 470	-



ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ მოქმედ სუბიექტთა რაოდენობის შესახებ საკუთრების ფორმებისა და ზომების მიხედვით ხელმისაწვდომია დანართი N5-ში.

2021 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტში ბიზნეს-სექტორის დამატებულმა ღირებულებამ 64.7 მილიონი ლარი შეადგინა, ხოლო ბიზნეს-სექტორის ბრუნვამ - 395.6 მლნ ლარი.³⁷



ბიზნეს- სექტორში დასაქმებულთა რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)

წელი	2018	2019	2020	2021	2022
დასაქმებულთა რაოდენობა სულ	3 158	3 462	3 325	3 762	-


³⁷ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბიზნეს-სექტორში დაქირავებულთა რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში (ერთეული)

წელი	2018	2019	2020	2021	2022
დაქირავებულთა რაოდენობა სულ	2 097	2 622	2 465	2 587	-



2021 წელს ბიზნეს-სექტორის მიერ შექმნილი პროდუქციის მაჩვენებელმა 128,4 მილიონი ლარი შეადგინა. ეს მაჩვენებელი წინა წლის მონაცემთან შედარებით (2020 წელი) დაახლოებით 20 მილიონი ლარით მეტია.³⁸



ბიზნეს სექტორის დაქირავებით დასაქმებულთა შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება ხაშურის მუნიციპალიტეტში (ლარი)³⁹

წელი	2018	2019	2020	2021	2022
შრომის საშუალო თვიური ანაზღაურება	562,6	551,0	520,1	656,3	-

³⁸ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

³⁹ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

ბიზნეს სექტორის შუალედური მოხმარება ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ. ლარი)

წელი	2018	2019	2020	2021	2022
შუალედური მოხმარება	40.3	58.1	56.1	63.7	-

ბიზნეს სექტორის საქონლისა და მომსახურების ყიდვები ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ. ლარი)⁴⁰

	2018	2019	2020	2021	2022
საქონლისა და მომსახურების ყიდვები სულ	241.6	331.6	363.8	418.5	-

ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში ხაშურის მუნიციპალიტეტში (მლნ ლარი)⁴¹

წელი	2018	2019	2020	2021	2022
ბიზნეს სექტორის ინვესტიციები ფიქსირებულ აქტივებში სულ	3,1	8,4	6,7	7,2	-

ბაზრების და ბაზრობების რაოდენობა ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (დეკლარირებული მონაცემები, ერთეული)⁴²

წელი	2018	2019	2020	2021	2022
სულ	1	1	1	1	-
აგრარული ბაზარი შპს „ნობათი 2007“	1	1	1	1	-



ბაზრების და ბაზრობების რაოდენობა საკუთრების ფორმების მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში (დეკლარირებული მონაცემები, ერთეული)⁴³

წელი	2018	2019	2020	2021	2022
სულ	1	1	1	1	-
სახელმწიფო	-	-	-	-	-
კერძო	1	1	1	1	-



ინფორმაცია ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი მსხვილი და საშუალო სამრეწველო ორგანიზაციების შესახებ მოცემულია დანართი N6-ში.

⁴⁰ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური

⁴¹ წყარო: იგივე

⁴² წყარო: იგივე

⁴³ წყარო: იგივე

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, მრეწველობის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

1. სუსტი საწარმოო ჯაჭვი, შეზღუდული წვდომა გასაღების ბაზარზე;
2. მსუბუქი მრეწველობის განვითარების დაბალი დონე;
3. ალტერნატიული ენერჯის წყაროების შესახებ ცნობიერების და შესაბამისად გამოყენების დაბალი დონე;
4. ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
5. კვალიფიციური კადრის სიმცირე;
6. უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების სიმცირე;

2.3 მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურა

საგზაო ინფრასტრუქტურა. ხაშურის მუნიციპალიტეტი როგორც ქვეყნის, ასევე, რეგიონის მასშტაბით, საავტომობილო და სარკინიგზო მაგისტრალების ერთ-ერთი საკვანძო პუნქტია.


ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე საერთაშორისო მნიშვნელობის სამი საავტომობილო მაგისტრალი გადის: 1) თბილისი-სენაკი-ლესელიძის მაგისტრალის 33 კმ მონაკვეთი 2) ხაშური-ახალციხე-ვალეს მაგისტრალის 20 მკ მონაკვეთი და 3) გომი-საჩხერე-ჭიათურის მაგისტრალი 14 კმ. ხაშურის მუნიციპალიტეტზე გამავალი სახელმწიფო მნიშვნელობის გზის მოცულობა 35 კმ-ია, ხოლო მუნიციპალური გზების მოცულობა - 249 კმ-ს შეადგენს.

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე ხაშურის მუნიციპალიტეტში (კმ) ⁴⁴

საერთო სარგებლობის საავტომობილო გზების სიგრძე ხაშურის მუნიციპალიტეტში (კმ)	2018	2019	2020	2021	2022
საერთაშორისო	38,1	38,1	38,1	31,7	-
შიდა სახელმწიფოებრივი	66,6	66,6	66,6	63,2	-

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს იმერეთის რეგიონთან დამაკავშირებელი რიკოთის გვირაბი. საზღვაო ტრანსპორტთან დაკავშირება ხდება რკინიგზის მეშვეობით. ხაშურში მთავარ სატრანსპორტო ღერძს (თბილისი-ბათუმი) უერთდება ხაშური-ახალციხის რკინიგზა.

⁴⁴ წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური



უნდა აღინიშნოს, რომ ბოლო წლებში აქტიურად მიმდინარეობს შემოვლითი მაგისტრალის და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რის შედეგადაც ხაშურის მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარების შესაძლებლობები გადაიხედება.

ბოლო ხუთი წლის განმავლობაში, ყოველწლიურად იზრდება შიდა მოხმარების გზების რეაბილიტაცია და მათ ექსპლუატაციასა და მოვლა-შენახვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან დახარჯული თანხების მთლიანი მოცულობა⁴⁵.

ინფორმაცია 2018 – 2022 წლებში საგზაო ინფრასტრუქტურის რეაბილიტირებული გზების სიგრძის (გრძ.მ) შესახებ მოცემულია დანართი N7-ში

ხაშურის მუნიციპალიტეტში 80 ხიდია, რომელთა საერთო სიგრძე 860 მეტრია. 2022 წელს ხიდების რეაბილიტაციასა და მოვლა-შენახვაზე ადგილობრივი ბიუჯეტიდან 65 609 ლარი დაიხარჯა⁴⁶.


წელი	რეაბილიტირებული ხიდების რაოდენობა	ღირებულება ლარებში
2018	5	105 636
2019	5	11 383
2020	1	39 658
2021	3	138 709
2022	5	116 288

მუნიციპალიტეტში უსაფრთხო გადაადგილების მიზნით, სიჩქარის შემზღუდავი ბარიერებისა და საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები ყოველწლიურად ხორციელდება

⁴⁵ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

⁴⁶ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ადგილობრივი ბიუჯეტიდან, თუმცა, გარკვეულ ლოკაციებზე საჭიროა დამატებითი ინფრასტრუქტურის მოწყობა.



სოციალური ინფრასტრუქტურა. ხაშურის მუნიციპალიტეტში არსებული 18 საბავშვო ბაღის შენობა რეაბილიტირებულია და აღსაზრდელებისა და პედაგოგებისთვის შექმნილია ღირსეული და უსაფრთხო გარემო.

- 2018 წელს განხორციელდა სოფელ ტეზერში საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ღირებულება 93 434 ლარი). ამავე წელს, სოფელ წრომში შესრულდა საბავშვო ბაღის შემოღობვის და კეთილმოწყობის სამუშაოები (ღირებულება 18 594 ლარი)..
- 2019 წელს განხორციელდა სოფელ გომის საბავშვო ბაღის რეაბილიტაცია (ღირებულება 45 226 ლარი).
- 2022 წელს განხორციელდა სოფელ ვაყაში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვის სამუშაოები (ღირებულება 11 858 ლარი), დაბა სურამში საბავშვო ბაღის ეზოს შემოღობვის და კეთილმოწყობის სამუშაოები (ღირებულება 35 954 ლარი) და ქ. ხაშურში N6 საბავშვო ბაღის სახურავის რეაბილიტაციის სამუშაოები (ღირებულება 122 983 ლარი).
- 2023-2024 წ-ში იგეგმება დაბა სურამსა, სოფელ ცხრამუხაში და სოფ. ფლევეში საბავშვო ბაღების მშენებლობა.

საჯარო სკოლების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება ბოლო ოთხი წლის განმავლობაში⁴⁷

განხორციელების პერიოდი	სკოლების რაოდენობა	შესრულებული სამუშაოების ღირებულება
2019	23	872 500
2020	12	615 330
2021	1	75 530
2022	1	64 990

⁴⁷ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

2023 წელს მიმდინარეობს სოფელ ქემფერის საჯარო სკოლის რეაბილიტაცია - 1 792 000 ლარის ღირებულებით.

2021 წელს დაიწყო პროფესიული სასწავლებლისთვის ახალი შენობის მშენებლობა (150 სტუდენტზე გათვლილი, პროექტის ღირებულება-9 835 935 ლ.) რომელიც შესაბამისობაშია საერთაშორისო საგანმანათლებლო სტანდარტებთან. შშმ პირთათვის სრულად ადაპტირებულ შენობაში მოეწყობა თანამედროვე ტიპის სასწავლო სივრცეები, მათ შორის მაღალ ტექნოლოგიური სახელოსნოები. გარდა სასწავლო კორპუსისა, სასწავლებლის ეზოში განთავსდება თანამედროვე სტანდარტის ღია სპორტული მოედანი. კოლეჯში შესაძლებელი იქნება რეგიონის საჭიროებებზე მორგებული ისეთი პროფესიების დაუფლება, როგორცაა: ელექტრობა, ინფორმაციული ტექნოლოგიები, შედუღება, იატაკის მოპირკეთება, ქვის სამუშაოების წარმოება, კულინარია, კონდიტერია, ვეტერინარია, მეფუტკრეობა, მეზღვეობა, სატყეო საქმე და სხვ. სასწავლო პროცესის დაწყება დაგეგმილია 2024 წელს.

სასმელი წყალი და მელიორაცია. ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში სასმელი წყლის მიწოდებას უზრუნველყოფს შპს „საქართველოს გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“. დანარჩენ დასახლებებში სასმელი წყლით უზრუნველყოფას, წყლის მიწოდების გაუმჯობესებას, სათავე ნაგებობების რეაბილიტაცია-მოწყობას, არტეზიული ჭების მოწყობასა და წყაროების მოპირკეთებას, მოვლა-პატრონობას ანხორციელებს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია და მის მიერ დაფუძნებული ა(ა)იპ „წყლის და გამწვანების“ კომპანია ანხორციელებს.⁴⁸




მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს შპს „საქართველოს მელიორაციის“ ტაშისკრის სარწყავი არხი - 32 000 გრძ/მ, რომელიც ემსახურება სოფელ ქვიშხეთის, ქალაქ ხაშურის, სოფელ ოსიაურისა და გომის ადმინისტრაციულ ერთეულებს. სარწყავი წყლით უზრუნველყოფისთვის აღსადგენი და მოსაწესრიგებელია სატუმბი სადგურები, წყალსატარი და შიდა სამეურნეო ქსელი.

⁴⁸ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური


საფრანგეთისა და ევროკავშირის მხარდაჭერით ხაშურში დაიწყო წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის განხორციელება. ეს ინფრასტრუქტურული თვალსაზრისით მუნიციპალიტეტისათვის უმნიშვნელოვანესი პროექტია, რომლისთვისაც საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ და საფრანგეთის განვითარების სააგენტომ გააფორმეს ხელშეკრულება ხაშურის წყალმომარაგებისა და წყალარინების სისტემების აღდგენის სამუშაოების დასაფინანსებლად. პროექტი, რომელსაც საფრანგეთის განვითარების სააგენტო, ევროკავშირი და საქართველოს მთავრობა აფინანსებს, ითვალისწინებს ხაშურისა და მისი მიმდებარე დასახლებების (ზემო და ქვემო ოსიაურის, ცხრამუხას) წყალმომარაგებისა და ხაშურის წყალარინების სისტემის სრულ რეაბილიტაციას. პროექტის ფარგლებში, აშენდება 170 კმ ახალი წყალმომარაგების ქსელი და რეაბილიტირდება და აშენდება 40 კმ წყალარინების ქსელი; აშენდება წყალმომარაგების სათავე ნაგებობები, სატუმბი სადგურები, გადამცემი ხაზები და სადისტრიბუციო ქსელები, ასევე, ჩატარდება ქალაქის საკანალიზაციო ქსელის, მათ შორის კოლექტორების რეკონსტრუქციისა და გაფართოების სამუშაოები. პროექტით გათვალისწინებულია ძველი წყალარინების გამწმენდი ნაგებობის დემონტაჟი, რომლის ნაცვლად აშენდება ახალი ნაგებობა. სამუშაოები 5 წელიწადში ეტაპობრივად დასრულდება. შედეგად, ქალაქ ხაშურსა და მიმდებარე დასახლებებში მცხოვრები დაახლოებით 44 000 ადამიანი ისარგებლებს უწყვეტი, ხარისხიანი წყალმომარაგებითა და წყალარინების გამართული სისტემით. პროექტის საორიენტაციო ღირებულება 63 მილიონი ევროა, რომელიც მოიცავს საფრანგეთის განვითარების სააგენტოს 58 მილიონ ევროს დაფინანსებას, ევროკავშირის გრანტს 7,150,000 ევროს ოდენობით და სახელმწიფო დაფინანსებას დაახლოებით 11 მილიონი ევროს ეკვივალენტი ლარის ოდენობით. ამ ეტაპზე მიმდინარეობს ქ. ხაშურის წყალმომარაგების, საკანალიზაციო ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის მოსამზადებელი სამუშაოები.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ხორციელდება პროექტი, რომლის ფარგლებშიც გვერდისუბნისა და ბაინათხევის უბნებისთვის ეწყობა წყალმომარაგების ქსელები და რეზერვუარი. დამატებით, დაბა სურამისთვის მოეწყობა სატუმბი სადგური. პროექტით გათვალისწინებულ სამუშაოებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან 4 მლნ ლარი მოხმარდება. პროექტის განხორციელების შედეგად მოგვარდება დაბა სურამში წყალმომარაგების კომპანიის აბონენტებისთვის სტაბილური და ხარისხიანი წყალმომარაგება. აღნიშნული პროექტების განხორციელება მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის მოწესრიგების თვალსაზრისით სტრატეგიული მნიშვნელობა გააჩნია, და მისი მოგვარება მუნიციპალიტეტის 2030 წლის მიზნების გლობალური შედეგი იქნება.

დაბა სურამში იტრიის დასახლებაში და ჩუმათელეთის დასახლებაში ჭაბურღილის ქსელის და სათავე ნაგებობის მოწყობა 2 589 715 ათასი ლარი 1800 გრ/მ (2500 ბენეფიციარი).



ხშირინა ლექების და მოსალოდნელი წყალმოვარდნის შედეგად საფრთხეების/ზარალის თავიდან აცილების მიზნით, ყოველწლიურად მიმდინარეობს ნაპირსამაგრი და მდინარის კალაპოტის წმენდის, სანიაღვრეების მოწყობის სამუშაოები.⁴⁹



მდინარის კალაპოტის წმენდისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსების მაჩვენებლები (ლარი)

განხორციელების პერიოდი	დაფინანსების რაოდენობა
2018	0
2019	0
2020	447 980
2021	0
2022	179 130

⁴⁹ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, წყლის მიწოდების გაუმჯობესების და მელიორაციის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

1. სასმელი წყალის მიწოდება ხდება გრაფიკით;
2. მოსახლეობის ნაწილს არ მიეწოდება წყალი;
3. სოფლად წყლის სისტემები საჭიროებს რეაბილიტაციას;
4. ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან არსებულ სოფლებში (ჩორჩანა) არ აქვს წყლის მიწოდების სისტემა;
5. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა არ ფუნქციონირებს;
6. სარწყავი სისტემის ინფრასტრუქტურის არასათანადო ხარისხი (ნაწილში არ არსებობა და ნაწილში არაფუნქციონირებადი ძველი სისტემები);

გარე განათება. ხაშურის მუნიციპალიტეტში გარე განათების ქსელი ყველა დასახლებაშია მოწყობილი. მთლიანი ქსელის სიგრძე 28 317 გრძ/მ-ს შეადგენს. ქსელზე დამონტაჟებულია 11 000 გარე განათების ფარი. თუმცა, ფარები საჭიროებს მუდმივ განახლებას. ამასთან, საჭიროა სოფლების შიდა გზებზე მოეწყოს გარე განათების სისტემა. ენერგოეფექტური განათების სისტემის არარსებობა, მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი გამოწვევაა.⁵⁰

განხორციელების პერიოდი	დაფინანსების რაოდენობა
2018	692 300
2019	698 100
2020	741 890
2021	844 710
2022	951 270

მრავალბინიან სახლების სახურავების და ფასადების რეაბილიტაცია. მრავალბინიანი სახლების სახურავებისა და ფასადების რეაბილიტაციისთვის 2022 წელს ადგილობრივი ბიუჯეტიდან 155 610 ლარი დაიხარჯა.⁵¹


განხორციელების პერიოდი	დაფინანსების რაოდენობა
2018	8 700
2019	209 300
2020	128 150
2021	198 670
2022	155 610

მუნიციპალური ტრანსპორტი. ხაშურის მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ტრანსპორტი არ მოძრაობს. სოფლებიდან ადმინისტრაციული ერთეულისკენ და უკან მგზავრთა გადაყვანას 2

⁵⁰ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

⁵¹ წყარო: იგივე

კერძო კომპანია სამარშრუტო ტაქსებით უზრუნველყოფს, ხოლო სარკინიგზო ტრანსპორტით გადაადგილებას სს „საქართველოს რკინიგზა“ უზრუნველყოფს. მუნიციპალიტეტში გადაადგილების და საგზაო უსაფრთხოების მიზნით სიჩქარის შემზღუდავი ბარიერების, საგზაო ნიშნების მოწყობის სამუშაოები ყოველწლიურად იგეგმება, სქემაზე ნაჩვენებია ამ მხრივ შესრულებული სამუშაოების დაფინანსების დინამიკა.⁵²



ნარჩენების მართვა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წარმოქმნილი ნარჩენების შეგროვებასა და გატანას შპს „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის კომპანიის“ ნაგავსაყრელზე ააიპ „ხაშურსერვისი“ უზრუნველყოფს.

მოსახლეობისათვის ნარჩენების შეგროვების სერვისის მიწოდება ხდება როგორც კონტეინერული, ისე ე.წ. “ზარის“ მეთოდით. არსებული 84 დასახლებიდან ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურება მიეწოდება მუნიციპალიტეტის 67 დასახლებულ პუნქტს (ერთი ქალაქი, ერთი დაბა, 65 სოფელი - სულ 52 495 ადამიანი), ასევე, სერვისით სარგებლობს კომერციული ობიექტების 90%.

ნარჩენების შეგროვებისა და გატანის მომსახურების გადასახადის გადახდა ხორციელდება როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირების მიერ. შესაბამისად, მომსახურების გადახდა აღირიცხება და კონტროლდება ბილინგის სისტემით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში ნარჩენების მართვის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

1. ურნების არასაკმარისი რაოდენობა;
2. ტექნიკის ნაკლებობა;

გასართობი/დასასვენებელი და სპორტული ინფრასტრუქტურა. მნიშვნელოვანი და პრიორიტეტული მიმართულებაა ხაშურის მუნიციპალიტეტში გასართობი და დასასვენებელი სივრცეების მოწყობა. ამ მხრივ, განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ქ. ხაშურში „ზემო

⁵² წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

სერის“ ტყე-პარკის ტერიტორიას (77 872 მ²), რომლის რეაბილიტაციაც მიმდინარეობს. ამასთან, დაგეგმილია თანამედროვე სტანდარტების შესაბამის ინფრასტრუქტურის მოწყობა. პროექტი ითვალისწინებს ობიექტამდე მისასვლელი გზის - 1600 გრძ/მ (სერპანტინი) რეაბილიტაციას, სანიაღვრეების მოწყობას, საგზაო ნაწილის დაზიანების პრევენციის მიზნით, დამცავი კედლების ჩასხმას, სასმელი წყლისა და საკანალიზაციო სისტემების მოწყობას, ბუნებრივი აირით მომარაგებისა და ინტერნეტით უზრუნველყოფის სიტემის მოწყობას, ასევე, თანამედროვე, უსაფრთხო ატრაქციონებისა და სხვადასხვა გასართობი სივრცეების მოწყობას. პროექტის მიხედვით, ტყე-პარკის ტერიტორია დაიტვირთება ატრაქციონებით, საზაფხულო ამფითეატრით, კაფე-რესტორნის ობიექტებით, მოეწყობა სკეიტ პარკი და სხვადასხვა სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეები.

დაბა სურამი გამორჩეული კლიმატური კურორტია, რომელსაც წიწვოვანი და ფოთლოვანი ტყის განსაკუთრებული პროპორცია ქმნის. მიუხედავად არსებული რესურსისა, რიგი ინფრასტრუქტურული პრობლემები აფერხებს დაბის განვითარებას - საფეხმავლო და ველო ბილიკების არ არსებობა, ასევე, სურამის ციხის მიმდებარე ტერიტორიის, ცენტრალური სტადიონის, რუსთაველისა და აღმაშენებლის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი და კომერციული ფართების ფასადების, სანიაღვრე არხების ქსელის მოწყობის საჭიროება.

დაბა სურამის განვითარების მიზნით, შემუშავებულია სურამის განვითარების გენერალური გეგმა, რომლის საფუძველზეც, უნდა განხორციელდეს დაბა სურამში, რუსთაველისა და აღმაშენებლის ქუჩების მიმდებარე სათანადო ინფრასტრუქტურული სამუშაოები, კერძოდ: ტროტუარებისა და სამანქანო გზის რეაბილიტაცია, ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია, ფასადების რეაბილიტაცია, სურამის ციხის მისასვლელი გზისა და მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობა, ველო ბილიკების მოწყობა, ცენტრალური პარკის რეაბილიტაცია (აღმაშენებლის და რუსთაველის ქუჩების მონაკვეთი მოიცავს დაბა სურამში შესასვლელ გზას თბილისის-სენაკი-ლესელიძის კვეთამდე - 2 500 გრძ/მ).

პარკებისა და სკვერების რეაბილიტაცია; ტრენაჟორების, ატრაქციონების მოწყობისთვის განხორციელებული დაფინანსების მაჩვენებელი.⁵³


განხორციელების პერიოდი	პროექტების რაოდენობა	დაფინანსების რაოდენობა
2018	0	0
2019	7	78 300
2020	16	156 600
2021	18	294 100
2022	14	682 830

სპორტული სახეობების განვითარებისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების/ხელშეწყობის მიზნით, ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის სპორტული ინფრასტრუქტურის განვითარება პრიორიტეტული მიმართულებაა, რამაც განაპირობა 2019 წელს ახალი სპორტული სკოლისთვის ახალი შენობის ექსპლოატაციაში მიღება, 2022 წელს

⁵³ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

ხაშურის ცენტრალური სტადიონის „ივერიის“ ახალი/რეაბილიტირებული შენობის და მოედნის ამოქმედება. საუბნო ფეხბურთის და სხვადასხვა სპორტული სახეობების განვითარების მიმართულებით აქტიურად მიმდინარეობს სხვადასხვა დასახლებულ პუნქტებში სათანადო ინფრასტრუქტურის მოწესრიგება, წარმოგიდგინოთ ინფორმაციას ბოლო 5 წლის განმავლობაში ამ მხრივ დაფინანსებული პროექტების შესახებ.⁵⁴

განხორციელების პერიოდი	პროექტების რაოდენობა
2018	4
2019	7
2020	17
2021	9
2022	21



მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2 დაცლილ სოფელში მიმდინარეობს ახალი დასახლების მშენებლობა (სოფლები: ალექსანდრეს წყარო/ალწყარო და კოდისწყარო) და ერთი სრულიად ახალი დასახლების მშენებლობა დაგეგმილი (დასახელება ჯერ უცნობია).

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, გამოვლინდა ინფრასტრუქტურის ძირითადი გამოწვევები:

⁵⁴ წყარო: ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურის განვითარების და კეთილმოწყობის სამსახური

1. ადმინისტრაციულ ცენტრამდე მისასვლელი გზების არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა (გზების დაახლოებით 10%);
2. მუნიციპალიტეტის სოფლების შიდა საგზაო ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
3. ქალაქ ხაშურში გზების მიმდებარე სადრენაჟე სისტემის მოუწესრიგებლობა;
4. ადგილობრივ გზებზე უსაფრთხოების ნიშნებისა და შესაბამისი ინფრასტრუქტურის ნაკლებობა;
5. ხიდების ინფრასტრუქტურის გაუმართაობა (შემდეგ სოფლებში: ხალები, თაგვეთი, სათივე და რბონა);
6. სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების არასაკმარისი რაოდენობა (დაბა სურამსა და ცხრამუხას ადმინისტრაციულ ერთეულში, ასევე, ადმინისტრაციულ გამყოფ ზოლთან მდებარე სოფლებში);
7. არსებული სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში გარე ინფრასტრუქტურის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
8. შშმ პირებზე ადაპტირებული საგანმანათლებლო დაწესებულებების სიმცირე;
9. სასმელ წყალზე დაბალი ხელმისაწვდომობა (მათ შორის, სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდება; ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში არ არის წყლის მიწოდების სიტემა);
10. ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის უფუნქციო მდგომარეობა;
11. სამელიორაციო სისტემის მოუწესრიგებლობა;
12. მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა;
13. გაუმართავი სატრანსპორტო სქემა (განრიგი);
14. შშმ პირებზე არაადაპტირებული ტრანსპორტი და დრო;
15. ურნების არასაკმარისი რაოდენობა;
16. ნარჩენების შეგროვების ტექნიკის ნაკლებობა;
17. სპორტული საწვრთნელი ბაზების ნაკლებობა;
18. სურამის სტადიონის არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა;
19. ახალაშენებული/რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნების სირთულე (ხარჯები; ვანდალიზმი; კონტროლი-კამერები);

2.4 ჯანდაცვა და სოციალური მდგომარეობა

2.4.1 ჯანდაცვა

ხაშურის მუნიციპალიტეტში ხუთი სამედიცინო დაწესებულება ფუნქციონირებს:

- 1) შპს „ახალი კლინიკა“, - ხაშურის ჰოსპიტალი;
- 2) შპს „გორმედი“ - ხაშურის ცენტრალური საავადმყოფო;
- 3) შპს „აღმოსავლეთ საქართველოს ფსიქიკური ჯანმრთელობის ცენტრი სურამის ფსიქიატრიული საავადმყოფო
- 4) სსიპ „საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი,

ხაშურის ფილიალი

5) შპს „მზია ნიკოლეიშვილის სახელობის სურამის სადაბო პოლიკლინიკა“.

ხუთივე სამედიცინო დაწესებულება აღჭურვილია თანამედროვე აპარატურით და მაღალკვალიფიციური ექიმებით არის დაკომპლექტებული. ხაშურის მუნიციპალიტეტში 19 ამბულატორიაა. ქალაქ ხაშურში 20-მდე სტომატოლოგიური კლინიკა ფუნქციონირებს.⁵⁵ უნდა აღინიშნოს, რომ ხაშურის მუნიციპალიტეტში არ არის სამშობიარო სახლი, რაც სამედიცინო სერვისების თვალსაზრისით სერიოზულ გამოწვევას წარმოადგენს და დიდ საზოგადოებრივ ინტერესს იწვევს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოქმედ სამედიცინო დაწესებულებებში ექიმთა საერთო რაოდენობა არის 155, ფაქტობრივად გაშლილ საწოლთა რაოდენობა კი 128-ს შეადგენს. მუნიციპალიტეტში ძირითადად გავრცელებულია შაქრიანი დიაბეტი, კარდიოლოგიური (იშემია, ინფარქტი, არითმიები) და ჰიპერტენზიული დაავადებები.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას სასწრაფო სამედიცინო დახმარების ოთხი ბრიგადა, 16 ექიმი, 16 მედდა, 12 მძღოლი, 1 უმცროსი მედპერსონალი და 1 ტექნიკური თანამშრომელი ემსახურება. დღე-ღამის განმავლობაში, ერთ ბრიგადაზე, საშუალოდ, 17 გამოძახება ფიქსირდება. მოთხოვნის შემთხვევაში აღნიშნული სამსახური გადაუდებელ დახმარებას უწევს მეზობელი მუნიციპალიტეტების მოსახლეობას. სახელმწიფო საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით გათვალისწინებული დაფინანსების პარალელურად, მუნიციპალიტეტში ხორციელდება მკურნალობის, მედიკამენტების, მაღალტექნოლოგიური გამოკვლევების დაფინანსება.


ხაშურის მუნიციპალიტეტის 7 ადმინისტრაციული ერთეულის მოსახლეობას არ აქვს წვდომა სააფთიაქო მომსახურებაზე. მათ შორისაა, ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე ფლევისა და წაღვლის ადმინისტრაციული ერთეულები. სპეციალური დანიშნულების მედიკამენტებს (ბრონქიალური ასთმით, გულსისხლძარღვთა, პარკინსონით, ეპილეფსიით, ცერებრიალური დამბლით დაავადებულთათვის, ონკოლოგიური პაციენტებისათვის, და ა.შ.) გასცემს აფთიაქი „ავერსი ფარმა“, რომელიც ქალაქ ხაშურში მდებარეობს.

#	ადმინისტრაციული ერთეული	რომელი სააფთიაქო ქსელია განლაგებული (ავერსი,ჯი პი სი, PSP, ფარმადეპო, იპმექსი... თუ სხვა)	შენიშვნა
1	ალი	კერძო აფთიაქი	ალის გადასახვევზე
2	წაღვლი	არ არის	
3	ფლევი	არ არის	
4	ოსიაური	არ არის	
5	გომი	36/6	სოფ.ვაყაში

⁵⁵ ხაშურის მუნიციპალიტეტში 19 ამბულატორიაა, რომელთაგან 6 ერთეული უძრავი ქონება ა(ა)იპ საქართველოს სამედიცინო ჰოლდინგს გადაეცა უსასყიდლო უზურფრუქტით, 5 ერთეული ამბულატორია გადაეცემა საკუთრებაში, ხოლო 8 უძრავ ქონებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება შემდგომში ჰოლდინგისთვის საკუთრებაში გადაცემის მიზნით. სოფ. ქვიშხეთში და ხცისში მიმდინარეობს ახალი ამბულატორიების მშენებლობისათვის პროექტირების პროცესი.

6	წრომი	არ არის	
7	ხცისი	კერძო აფთიაქი	პროდუქტების მალაზია „შერეული“
8	ცხრამუხა	არ არის	
9	ქვიშხეთი	კერძო აფთიაქი	ამბულატორიის მიმდებარედ
10	სურამი	კერძო აფთიაქი, 36/6	დაბა სურამი
11	ცოცხნარა	არ არის	
12	ხალეზი	არ არის	
13	ხაშური	36/6 (ინსულინი), ავერსი, გეფა(ფარმადეპო, ჯი პი სი), PSP, იმპექსფარმი და 4 კერძო აფთიაქი	

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სამსახური სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ახორციელებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული საზოგადოებრივი მნიშვნელობის დაწესებულებებში სანიტარიული ნორმების დაცვის ზედამხედველობას, იმუნიზაციას, ცხოვრების ჯანსაღი წესის განვითარების ხელშეწყობას, დაავადების მაღალი რისკის ქვეშ მყოფი მოსახლეობის ჯგუფების გამოვლენასა და აღრიცხვას.



სამსახური, ასევე, ახორციელებს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ზედამხედველობასა და პრევენციული ღონისძიებების განხორციელების ხელშეწყობას; ახდენს დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებასა და კონტროლს, აწესებს სისტემატურ კონტროლს ქალაქის ნაგავსაყრელისა და ნარჩენების შესაგროვებელი კონტეინერების სანიტარულ ნორმებთან შესაბამისობაზე, საჭიროების შემთხვევაში ახდენს დერატიზაციის, დეზინსექციისა და დეზინფექციის ღონისძიებათა ორგანიზებასა და კანონით გათვალისწინებული ობიექტების სანიტარულ-ჰიგიენურ

მონიტორინგს. მონიტორინგი სისტემატიურად ხორციელდება 18 ბაგა-ბაღში, 28 საჯარო სკოლასა და დევნილთა საერთო დასახლებებში.

2.4.2 სოციალური მომსახურება

ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედებს სოციალური პროგრამები, რომლის მიზანია რეგისტრირებული ან/და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის მკურნალობის ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდა, სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესების ხელშეწყობა. პროგრამით მოსარგებლე პირთა წრეს წარმოადგენს ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ან/და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობა, რომელთა მკურნალობის/გამოკვლევის/მედიკამენტების ხარჯები არ ფინანსდება ან სრულად არ ფინანსდება კერძო დაზღვევით ან საყოველთაო ჯანდაცვის სახელმწიფო პროგრამით (კერძოდ, უმწეო მდგომარეობაში მყოფნი, ხელმოკლე და სოცილურად მოწყვლადი მოსახლეობა, სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი მოსახლეობა, სტუდენტები, დევნილები, ომის მონაწილენი და ომში დაღუპულთა ოჯახები, მრავალშვილიანი დედები, შშმ პირები. და ა.შ.

2023 წლის პირველი მთავარი მონაცემებით, ხაშურის მუნიციპალიტეტში სოციალური პაკეტის მიმღებ პირთა რაოდენობა 3 069 ბენეფიციარს შეადგენს, მათ შორის, 2755 შშმ პირია, ხოლო 314 - მარჩენალდაკარგული.⁵⁶



ხაშურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები მოსახლეობის ფულადი სოციალური დახმარების 2023 წლის მუნიციპალური პროგრამა ხელმისაწვდომია დანართნი N8-ში.


ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები უმწეო მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომია უფასო კვება, იმ ბენეფიციართა რაოდენობა, რომლებიც სარგებლობენ უფასო კვებით დღეში ერთხელ სამ-კომპონენტის საკვებით, კვირაში 7 დღის განმავლობაში- შეადგენს 185 ადამიანს.

ა(ა)იპ საზოგადოება ბილიკის ინიციატივითა და ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარდაჭერით ადრეული განვითარების რეაბილიტაცია აბილიტაციის პროგრამა ამუშავდა, დღეის მდგომარეობით ფართი გამოყოფილია, გარემონტებულია და უზრუნველყოფილია საჭირო ინვენტარით. ცენტრში მომსახურებას უწევენ 0 -დან 7 წლამდე ბავშვები, რომელთაც გამოხატული აქვთ ფიზიკური თუ გონებრივი განვითარების შეზღუდვა, ხდება ფსიქოლოგის მომსახურება, მასაჟისტის, მეტყველების თერაპევტის, ოკუპაციური თერაპევტის. მოხდება ბავშვთა მსხვილი და წვრილი მოტორიკული უნარების შენარჩუნება განვითარება.



ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებადი სხვადასხვა რისკი ქვეშ მყოფი ბავშვთა და მშობელთა ცენტრები დანართი N9-ში

⁵⁶ წყარო: სოციალური მომსახურების სააგენტო (ხაშურის მუნიციპალიტეტი)



ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, ჯანდაცვისა და სოციალურ მდგომარეობის მიმართულებით გამოვლინდა შემდეგი გამოწვევები:

1. თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის პროგრამის არასაკმარისი დაფარვა;
1. 18 წელს ზემოთ შპმ პირების მხარდაჭერის პროგრამების ნაკლებობა;
2. სამშობიარო სახლის არარსებობა;
3. სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების არასაკმარისი რაოდენობა;
4. ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის მიმდებარე თემების მოსახლეობის სამედიცინო სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა;
5. სააფთიაქო სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა სოფლად;

2.5 განათლება, კულტურა და სპორტი

2.5.1 განათლება

სკოლამდელი აღზრდა. ხაშურის მუნიციპალიტეტში სკოლამდელი აღზრდის 18 დაწესებულებაა, სადაც 2023 წლის მაისის თვის მონაცემებით 1650 ბავშვი სწავლობს (მათ

შორის, 836 გოგო, 814 ბიჭი). ამასთან, 3 წლამდე ბავშვებს აქვთ აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტში ბავის 4 ჯგუფი ფუნქციონირებს.⁵⁷

		2018	2019	2020	2021	2022
საბავშვო ბაღების რაოდენობა		14 ⁵⁸	16 ⁵⁹	18 ⁶⁰	18 ⁶¹	18 ⁶²
პერსონალის რაოდენობა	საბავშვო ბაღებში	309	311	326	328	327
	გაერთიანების ადმინისტრაცია	12	12	12	14	14
პერსონალის საერთო რაოდენობიდან	ქალი	279	190	292	298	297
	კაცი	42	42	44	44	44
აღსაზრდელების რაოდენობა		1 875	1 990	2 006	2 000	1 860
აღსაზრდელების რაოდენობიდან	გოგო	956	1 015	1 023	1 020	826
	ბიჭი	919	975	983	980	814
კვების თანხა 1 აღსაზრდელზე		1,56 ლ	1,72 ლ	1,92 ლ	2,08 ლ	2,23 ლ

ცხრილში ნაჩვენებია 2022 წელს სკოლამდელი განათლების აღსაზრდელების პროცენტული გადანაწილება ქალაქად/სოფლად:⁶³

2022 წელს რეგისტრირებული აღსაზრდელი	1 741	მათ შორის	გოგო	49,6%
			ბიჭი	50,4%
კონტიგენტი ქალაქად	1 140	მათ შორის	გოგო	49,5%
			ბიჭი	50,5%
კონტიგენტი სოფლად	601	მათ შორის	გოგო	49,6%
			ბიჭი	50,4%

ხაშურის მუნიციპალიტეტის სკოლამდელ დაწესებულებებში სულ დასაქმებულია 351 თანამშრომელი, მათ შორის 87 კაცი და 756 ქალი.

#	რაოდენობა	პოზიცია
1	65	აღმზრდელი
2	71	აღმზრდელის თანამშემწე
3	5	სპეცმასწავლებელი
4	215	დანარჩენი პერსონალი

⁵⁷ წყარო: საბავშვო ბაღების გაერთიანება (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

⁵⁸ 8 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (სოფ. ხცისი, ნაბახტევი, ფლევი, ქვიშხეთი, ბიჯნისი, ტეზერი, წრომი, წაღვლი)

⁵⁹ 4 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (სოფ. ფლევი, ბიჯნისში, ტეზერში, წაღვლში)


⁶⁰ 3 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (წაღვლი, ბიჯნისი, ფლევი)

⁶¹ 3 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (წაღვლი, ბიჯნისი, ფლევი)

⁶² 3 ალტერნატიული სააღმზრდელო ჯგუფი (წაღვლი, ბიჯნისი, ფლევი)

⁶³ წყარო: საბავშვო ბაღების გაერთიანება (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

შეზღუდული შესაძლებლობის და/ან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისათვის 2022 წლის 17 მაისს ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ფუნქციონირება დაიწყო საერთაშორისო სტანდარტების მქონე რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრმა, სადაც მუშაობს ხუთი სპეციალისტი, სხვადასხვა მიმართულებით, ესენია: მუსიკალური თერაპია, ფსიქოლოგი, ფიზიო თერაპია და მასაჟი, სენსო მოტორიკა და მეტყველების თერაპევტი. ცენტრი ემსახურება მუნიციპალიტეტის 18 საბავშვო ბაღის აღსაზრდელებს უსასყიდლოდ. აბილიტაციის ცენტრში აღსაზრდელები მოდიან სპეციალისტების მიერ ჩატარებული კვლევით (ფორმა 100) აღიარებული დიაგნოზით და რეკომენდაციებით, თუ რომელი აღსაზრდელი რომელი თერაპიით უნდა დაკავდეს. ცენტრში თითოეულ ბავშვზე იქმნება პორტფოლიო და მიმდინარეობს მუშაობა. ფუნქციონირების დასაწყისში ირიცხებოდა 8 აღსაზრდელი, 2023 წლის ივნისის მდგომარეობით ცენტრი ემსახურება 60 ბავშვს, რაც ბუნებრივი ქმნის საჭირო ფართის სივიწროვეს, რაც სამომავლო გამოწვევაა.



2023 წლის მაისის თვის მონაცემებით მუნიციპალიტეტში 18 სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებაში 1 650 ბავშვი სწავლობს (მათ შორის 836 გოგო, 814 ბიჭი), 3 წლამდე ბავშვებს აქვთ აღზრდის დაწესებულებებზე ხელმისაწვდომობა, მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს ბაგის 4 ჯგუფი. გასული 5 წლის განმავლობაში სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა 9 საბავშვო ბაღს, აშენდა 2 ახალი ბაღი.⁶⁴

	2018	2019	2020	2021	2022
აშენდა	#6 ბაღის ახალი შენობა	#8 ბაღი მინისტრის დასახლება	-	-	-

⁶⁴ წყარო: საბავშვო ბაღების გაერთიანება (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

რეაბილიტაცია ჩაუტარდა	#2, #7, # 16 (წრომის) საბავშვო ბაღებს სოფ.ტეზრის #17 საბავშვო ბაღს	სოფ.გომის #13 სოფ.სატივის #18 საბავშვო ბაღებს	-	-	სოფ ვაყის ბაღის შემოღობვა #6 ბაღის სახურავის რეაბილიტაცია #9 ბაღის ეზოს კეთილმოწყობა
--------------------------	---	--	---	---	--

2023 წელს დაიწყება დაბა სურამში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, გამოწვევას წარმოადგენს პედაგოგების გადამზადება და არსებულ ბაღებში მატერიალური ბაზის განახლება-გაუმჯობესება.

ზოგადი განათლება. ხაშურის მუნიციპალიტეტში 32 საჯარო სამართლის იურიდიული პირი (სსიპ) - ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება და 1 არასამეწარმეო არაკომერციული იურიდიული პირი ა(ა)იპ - კერძო ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ფუნქციონირებს. მუნიციპალიტეტში მაცხოვრებელი სასკოლოს ასაკის ნებისმიერი პირის სასკოლო განათლების მიღების შესაძლებლობა სრულად არის უზრუნველყოფილი; ყველა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა-სწავლების პროცესი ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი წესით მიმდინარეობს. მასზე ზედამხედველობასა და მხარდაჭერას ახორციელებს საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტრო თავისი ტერიტორიული ორგანოს-საგანმანათლებლო რესურს-ცენტრის მეშვეობით.

2018-2023 წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აშენდა 2 სკოლა, სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 1 ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას და ნაწილობრივი სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩატარდა 12 სკოლაში.

2023-2026 წლები მნიშვნელოვანი პერიოდი იქნება მუნიციპალიტეტში სკოლების აგება-რეაბილიტაციის კუთხით. წინასწარი მონაცემებით დაგეგმილია 3 საჯარო სკოლისთვის ახალი შენობის მშენებლობა და 20 საჯარო სკოლის სრული რეაბილიტაცია⁶⁵.

ბოლო 5 წლის განმავლობაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები დაამთავრა	ოქროს მედალოსანი	424
	ვერცხლის მედალოსანი	69
ბოლო 5 წლის განმავლობაში ხაშურის მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების კურსდამთავრებულებიდან	სახელმწიფო გრანტი მოიპოვა	416

მიუხედავად იმისა, რომ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებები ცენტრალური ხელისუფლების კონტროლს დაქვემდებარებული იურიდიული პირებია, ადგილობრივი თვითმმართველობა, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფს 17

⁶⁵ წყარო: ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში ჩარიცხული მოსწავლეების უფასო ტრანსპორტირებას „საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით უზრუნველყოფის“ პროგრამის ფარგლებში. გარდა ამისა, 2019-2021 წლებში მუნიციპალიტეტის მერია, დელეგირებული უფლებამოსილების ფარგლებში, უზრუნველყოფდა რიგი პრიორიტეტული ინფრასტრუქტურული პროექტების განხორციელებას (სახურავი, კარ-ფანჯარა, სველი წერილების მოწყობა და სხვ.).

მუნიციპალიტეტის საკრებულო და მერიის შესაბამისი სამსახურები მუდმივ კოორდინაციაში არიან ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების მხარდასაჭერად მოქმედი კანონმდებლობისა და მათი უფლებამოსილების ფარგლებში(მაგ. ახალგაზრდული პროგრამის ფარგლებში ექსკურსიების მოკლე ტურების დაფინანსება, ერთობლივი საგანმანათლებლო პროექტების განხორციელება და სხვ.).

		2019	2020	2021	2022	15.05.2023
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების რაოდენობა		33	33	33	33	33
პერსონალის რაოდენობა (მათ შორის მასწავლებელი)	სკოლებში	1185	1198	1200	1210	1266
	საგანმანათლებლო რესურსცენტრის თანამშრომელთა რაოდენობა	7	7	7	7	7
პერსონალის საერთო რაოდენობიდან (მათ შორის მასწავლებელი)	ქალი	995	1008	1007	1017	1072
	კაცი	190	190	193	193	194
მოსწავლეების რაოდენობა		7900	7955	7998	8001	8 087

ადმინისტრაციული გამყოფ ხაზთან მდებარე სოფლებში, ჩორჩანასა და წაღვლში მაცხოვრებელი სასკოლო ასაკის პირები განათლებას ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ბროლოსნისა და წაღვლის საჯარო სკოლებში იღებენ. 2008 წლის აგვისტოს რუსეთ-საქართველოს ომის შემდეგ, მოსწავლეთა რაოდენობის კლებას ადგილი არ ჰქონია, დაწყებით კლასებში რიგ შემთხვევაში ხდება სხვა სკოლებიდან მოსწავლეთა მობილობა (გადმოყვანა), რისი ძირითადი მიზეზი საცხოვრებელი ადგილის შეცვლაა. ბოლო წლების სტატისტიკა აჩვენებს, რომ საბაზო-საშუალო საფეხურზე მოსწავლეთა სხვა სკოლებიდან მობილობამ იმატა, განსაკუთრებით მაღალია სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვა საშუალო საფეხურზე.⁶⁶

ხაშურის მუნიციპალიტეტის შემადგენლობაში მყოფ 37 სოფელს მაღალმთიანი სოფლის სტატუსი აქვს მინიჭებული. მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლების სკოლაში დასაქმებული პირების, მათ შორის, მასწავლებლების, მაჩვენებელი სტაბილურია. მაღალმთიან დასახლებათა ნუსხაში აღრიცხული სოფლებიდან სკოლა მდებარეობს ხაშურის

⁶⁶ წყარო: ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტის შემდეგ სოფლებში: წაღვლი, ტკოცა და ფლევი. თითქმის არც ერთ მასწავლებელს დაუტოვებია სკოლა ქალაქში ან სხვა დასახლებაში საცხოვრებლის შეცვლის მიზეზით. პირიქით, სკოლაში დასაქმებულები არიან მასწავლებლები, რომლებიც შეთავსებით ქალაქის სკოლებიდან მაღალმთიან დასახლებაში მდებარე სკოლებში მუშაობენ. აღსანიშნავია, რომ მასწავლებელთა უმეტესობა ადგილობრივი კადრია.⁶⁷ მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში მდებარე სკოლების მოსწავლეთა გადაადგილების დინამიკასთან დაკავშირებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას საცხოვრებელი ადგილის შეცვლასთან ანდა სხვა მიზეზით მოსწავლეები არ ტოვებენ. ამ მხრივ ძირითადად სტაბილური მდგომარეობაა. ბოლო ორი წელია, რაც შეინიშნება 1-ელ კლასში შემსვლელ მოსწავლეთა რაოდენობის ზრდა. მაგალითად, თუ 5 წლის წინ პირველ კლასში სკოლაში რეგისტრირდებოდა საშუალოდ 4-5 მოსწავლე, მიმდინარე წლისთვის საშუალო რიცხვია - 13.

არაფორმალური და პროფესიული განათლება. ხაშურის მუნიციპალიტეტში 2024 წელს ფუნქციონირებას დაიწყებს 150 სტუდენტზე გათვლილი პროფესიული კოლეჯი „ქართლი“, რომლის მიზანია ახალგაზრდების თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი კომპეტენციებით აღჭურვა და მათი პროფესიული და პიროვნული განვითარების ხელშეწყობა. კოლეჯში სახელმწიფოს დაფინანსებით ისწავლება შემდეგი პროფესიები: ელექტროობა, შედუღება, სანტექნიკური სამუშაოები, მსუბუქი ავტომობილის ძრავის შეკეთება, მეფუტკრეობა, სატყეო საქმე, ბუღალტერია, აღმზრდელი, კომპიუტერული ქსელი და სისტემები. სხვა მოთხოვნად პროფესიულ მიმართულებებზე პროგრამები პერმანენტულად შემუშავდება.

2022 წლის 14 ნოემბერს ხაშურის მუნიციპალიტეტში შეიქმნა ახალგაზრდული ორგანიზაცია „ახალგაზრდები-ხაშურის განვითარებისათვის“. ორგანიზაცია ახორციელებს პროგრამებს ახალგაზრდების არაფორმალური განათლებისა და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მათი აქტიური ჩართვისათვის.

2.5.2 კულტურა


ხაშურის მუნიციპალიტეტი კულტურის სფეროს ხელშეწყობის მიზნით, ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოყოფს ასიგნებებს. კულტურული პროგრამები და ღონისძიებები მოიცავს ტრადიციული და სახალხო დღესასწაულების ჩატარებას, კონცერტების, გამოფენებისა და თეატრალური წარმოდგენების მოწყობას, კულტურის სფეროს წარმატებული მოღვაწეებისთვის ფულადი ჯილდოს გადაცემასა და სხვა.


	2018	2019	2020	2021	2022	2023
კულტურის ღონისძიებების დაფინანსება, საკასო ხარჯი ⁶⁸ (ათასი ლარი)	147,6	181,6	35,8	25,9	160,59	204,3

⁶⁷ წყარო: ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ხაშურის მუნიციპალიტეტი)
⁶⁸ წყარო: საფინანსო სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს კულტურის და ბავშვთა/მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანება, რომლის მიზანია ხელოვნების სხვადასხვა დარგის პოპულარიზაცია, ახალგაზრდების დაინტერესება და მათი შესაბამის წრეებში ჩართვა. ცენტრი 50-მდე თანამშრომელს აერთიანებს და 200-ზე მეტ ახალგაზრდას ემსახურება.⁶⁹

N			2018	2019	2020	2021	2022
1	კულტურის და ბავშვთა/მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრების გაერთიანების თანამშრომელთა რაოდენობიდან	ქალი	43	43	46	46	47
		კაცი	71	71	75	74	74
2	მოსარგებლე ბავშვთა რაოდენობა	გოგო	200	247	320	164	146
		ბიჭი	140	128	471	249	230

 ხაშურის მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრში, საქალაქო კულტურის სახლში, სურამის კულტურის სახლში და ქვიშხეთის კულტურის სახლში მოქმედი წრეების აქტივობის დინამიკა წლების მიხედვით ხელმისაწვდომია დანართ N 10-ში

 ხაშურის მუნიციპალიტეტში ბავშვთა და მოზარდთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრში მოქმედი წრეების აქტივობის დინამიკა წლების მიხედვით ხელმისაწვდომია დანართ N 11-ში

ხაშურის მუნიციპალიტეტში ფუნქციონირებს სამი მუზეუმი:

1. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმი;
2. სურამის ლესია უკრაინკას მუზეუმი;
3. ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის მუზეუმი.

მუზეუმებში ჯამში 106 000-მდე ექსპონატია. 2022 წლის მონაცემებით, მუზეუმებს 2059 მნახველი სტუმრობდა. მუზეუმების მიმღე ინფრასტრუქტურული მდგომარეობა მუნიციპალიტეტში კულტურული ტურიზმის განვითარების გზაზე ერთ-ერთი გამოწვევაა. საჭიროა ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის შენობის სრული რეაბილიტაცია და ლესია უკრაინკას მუზეუმის შენობისა და ეზოს სარეაბილიტაციო სამუშაოების დასრულება.⁷⁰

N			2018	2019	2020	2021	2022
1	სამუზეუმო გაერთიანება (თანამშრომელთა რაოდენობა)	ქალი	24	24	24	24	25
		კაცი	11	11	12	12	12
2	დამთავალიერებელთა რაოდენობა	სულ	1 263	1 997	865	-	2 059
		ქალი	1 050	1 550	623	-	1 700
		კაცი	213	447	242	-	359

⁶⁹ წყარო: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

⁷⁰ წყარო: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)



ხაშურის მუნიციპალიტეტის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის, სურამის ლესია უკრაინკას სახელობის მუზეუმის, ქვიშხეთის დიმიტრი ყიფიანის სახელობის სახლ-მუზეუმის თანამშრომელთა და დამთვალეირებელთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით ხელმისაწვდომია დანართ N 12-ში

ხაშურის მუნიციპალიტეტში სამი სამუსიკო სკოლა ფუნქციონირებს: ხაშურის, სურამისა და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლები. სკოლებში 74 ადამიანია დასაქმებული. 2022 წელს სკოლებში 478 მოსწავლე სწავლობდა. 2021 წლიდან ადგილობრივი თვითმმართველობა უზრუნველყოფს ხაშურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მოქმედი სამუსიკო სკოლების მოსწავლეთა 100%-იან დაფინანსებას. სკოლებში ფუნქციონირებს სიმებიანი კვარტეტი და გალობის შემსწავლელი ჯგუფი. სამუსიკო სკოლის მოსწავლეები არაერთ საერთაშორისო თუ ადგილობრივ კონკურსში მონაწილეობენ.⁷¹

N			2018	2019	2020	2021	2022
1	სამუსიკო სკოლების გაერთიანება (თანამშრომელთა რაოდენობა)	სულ	82	78	77	74	74
		ქალი	72	68	66	62	62
		კაცი	10	10	11	12	12
2	მოსწავლეთა რაოდენობა	სულ	492	496	465	478	478
		ქალი	344	342	322	338	347
		კაცი	148	154	143	140	131



ხაშურის სამუსიკო სკოლის, სურამის სამუსიკო სკოლის და ქვიშხეთის სამუსიკო სკოლის თანამშრომელთა და მოსწავლეთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით ხელმისაწვდომია დანართ N 13-ში

ხაშურის მუნიციპალიტეტში 7 ბიბლიოთეკაა: ხაშურის ცენტრალური, საბავშვო, სურამის, ხცისის, ცხრამუხის, „მინისტარის დასახლებისა“ და სოფელ ჩორჩანის ბიბლიოთეკები. გაერთიანებაში ფუნქციონირებს ამერიკის კუთხე. ბიბლიოთეკებში არსებული წიგნის ფონდი 60 000 ათასია. საბიბლიოთეკო გაერთიანებაში 32 ადამიანია დასაქმებული. 2022 წელს ბიბლიოთეკებს ჯამში 1964 მკითხველი სტუმრობდა.

საჭიროა საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის ახალი, თანამედროვე მოთხოვნების გათვალისწინებით (მედიათეკის) მშენებლობა.

ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში ბიბლიოთეკა ფუნქციონირებს ადგილობრივი მცხოვრების საცხორებელ სახლში, წიგნადი ფონდი გადაცემული აქვთ საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკის ხელმწივანელობისაგან. მუნიციპალიტეტის გამოწვევას წარმოადგენს სოფ. ჩორჩანასა და სოფ. წაღვლში მუნიციპალური ბიბლიოთეკების შენობების არ არსებობა.

⁷¹ წყარო: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)



ხაშურის ცენტრალური ბიბლიოთეკის, საბავშვო ბიბლიოთეკის, სურამის ბიბლიოთეკის, ხცისის ბიბლიოთეკის, ცხრამუხის ბიბლიოთეკის, მინისტარის დასახლების ბიბლიოთეკის და სოფ. ჩორჩანის ბიბლიოთეკის თანამშრომელთა და მოსარგებლეთა რაოდენობის დინამიკა წლების მიხედვით ხელმისაწვდომია დანართ N 14-ში

2.5.3 სპორტი

2019 წელს ქალაქ ხაშურში კომპლექსური სასპორტო სკოლა გაიხსნა. სკოლაში ვარჯიშები სპორტის 13 სახეობაში ტარდება: ქართული ჭიდაობა, ჭიდაობა ძიუდო, ჭიდაობა სამბო, ბერძნულ-რომაული ჭიდაობა, თავისუფალ სტილში ჭიდაობა, ბატუტზე ხტომა, ჩოგბურთი, ძალოსნობა, ჭადრაკი, კალათბურთი, ფეხბურთი, რაგბი, მკლავჭიდი.⁷²

სხვადასხვა დონის ტურნირებში მონაწილე სპორტსმენების რაოდენობა 2022 წელს (კაცი, ქალი)	სულ 750	ქალი	50	20%
		კაცი	700	80%
2022 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიების რაოდენობა		300		
2022 წელს სპორტულ აქტივობებში ჩართული (ფეხბურთი) გუნდების რაოდენობა (კაცი, ქალი)	სულ 43	ქალი	18	20%
		კაცი	25	80%
2022 წელს დაჯილდოებული სპორტსმენებისა და მწვრთნელების რაოდენობა (ქალი/კაცი)	სულ 34	ქალი	0	0
		კაცი	8	23,5%
დაჯილდოებული სპორტსმენების რაოდენობა გამარჯვებული საერთაშორისო ტურნირებზე (ქალი/კაცი)		2022 წელს სპორტსმენი 3 მსოფლიოს ჩემპიონი, 6 ევროპის ჩემპიონი და პრიზიორი, 2 გრანსლემი, 6 საქართველოს ჩემპიონი		

ხაშურის კომპლექსურ სპორტულ სკოლაში დასაქმებულია 119 ადამიანი და 2022 წელს მას 1420 ბენეფიციარი ჰყავდა. პროგრამა ხელს უწყობს სპორტულ აქტივობებში გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის განხორციელებას და სპორტული წრეების საქმიანობაში გოგონებისა და ბიჭების განსხვავებული საჭიროებების გათვალისწინებას. ქვეპროგრამების ფარგლებში გათვალისწინებულია სერვისების იმგვარად შეთავაზება, რომ გამოირიცხოს ნებისმიერი ფორმის დისკრიმინაცია.⁷³

⁷² წყარო: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

⁷³ წყარო: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

2022 წელს პროგრამით ფუნქციონირებდა	13 წრე	1360 წევრი	გოგო	126	გოგო	10%
			ბიჭი	1 234	ბიჭი	90%

ადგილობრივი ბიუჯეტიდან ყოველწლიურად გამოიყოფა ასიგნებები სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობის პროგრამისთვის.

	2018	2019	2020	2021	2022	2023
კულტურის დონისძიებების დაფინანსება, საკასო ხარჯი ⁷⁴ (ათასი ლარი)	270,0	250,8	72,9	257,3	305,3	356,8

გარდა ქალაქ ხაშურის კომპლექსური სპორტული სკოლისა, მუნიციპალიტეტის სხვადასხვა დასახლებაში სპორტული დარბაზები და სტადიონებია მოწყობილი.

2022 წელს სხვადასხვა დონის ტურნირებში ხაშურის მუნიციპალიტეტიდან 750 სპორტსმენმა მიიღო მონაწილეობა. ამავე წელს, 3 სპორტსმენი გახდა მსოფლიო ჩემპიონი, 6 - ევროპის ჩემპიონი და 6 - საქართველოს ჩემპიონი.



ხაშურის მუნიციპალიტეტში მოქმედი სპორტის სახეობების ჩამონათვალი ხელმისაწვდომია დანართი N15-ში.

2022 წელს სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა და გაიხსნა თანამედროვე სტანდარტების მქონე საფეხბურთო სტადიონი „ივერია“, სადაც ვარჯიშობენ როგორც ვაჟების, ასევე, გოგონათა საფეხბურთო გუნდები.⁷⁵ (ხაშური, წმინდა ნინოს #

ხაშურის კომპლექსური სასპორტო სკოლა		2018	2019	2020	2021	2022	15.05.2023
პერსონალის საერთო რაოდენობა	სულ	69	92	94	94	119	119
	ქალი	10	17	18	18	22	23
	კაცი	59	75	76	76	97	96
ადსაზრდელების საერთო რაოდენობა	სულ	1 377	1 400	1 300	1 350	1 360	1 420
	გოგო	160	184	95	142	137	186
	ბიჭი	1 217	1 216	1 205	1 208	1 223	1 234

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, დასახელდა განათლების, კულტურისა და სპორტის მიმართულებით შემდეგი გამოწვევები:

1. კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეების სიმცირე;
2. მუზეუმების/საგამოფენო სივრცეების ნაკლებობა;
3. თანამედროვე სტანდარტების საბიბლიოთეკო სივრცის არარსებობა;

⁷⁴ წყარო: საფინანსო სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

⁷⁵ წყარო: განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

4. დაბა სურამში ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა, პედაგოგების გადამზადება, მატერიალური ბაზის განახლება-გაუმჯობესება;
5. ხაშურის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის არსებული შენობის სრული რეაბილიტაცია;
6. საექსპოზიციო სივრცის შექმნა მუზეუმის ფონდებში დაცული 105 886-ზე მეტი ექსპონატისათვის;
7. ლესია უკრაინკას მუზეუმის და ეზოს რეაბილიტაციის პროცესის დასრულება;
8. მუნიციპალიტეტში ახალი, თანამედროვე სტანდარტების მქონე მედიათეკის აშენება და მოწყობა;
9. ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლებში ახალი ბიბლიოთეკების გახსნა და ძველის რეაბილიტაცია;
10. სურამის ცენტრალური სტადიონის რეაბილიტაცია;
11. სურამის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია;
12. ქვიშხეთის კულტურის ცენტრის რეაბილიტაცია;
13. ბავშვთა შემოქმედებითი განვითარების ცენტრის რეაბილიტაცია;
14. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა;
15. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში კომპიუტერული ტექნოლოგიების სიმცირე;
16. მანდატურის სამხურის მიერ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში ათვისების საჭიროება;
17. მუნიციპალიტეტის სოფლებში ინტერნეტზე დაბალი ხელმისაწვდომობა

2.6 გარემოს დაცვა

ხაშურის მუნიციპალიტეტის ფართობი 585.26 კმ²–ია და საქართველოს მთლიანი ფართობის 0.84%–ს შეადგენს. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მიედინება შემდეგი მდინარეები: მტკვარი, სურამულა, შოლა, ტილიანა და ჭერათხეულა; ყელეთის ქედზე ნასოფლარ კოდისწყაროსთან მდებარეობს მცირე ტბა. მუნიციპალიტეტის მდინარეები საზრდოობენ თოვლის, მიწისქვეშა და წვიმის წყლით. მდინარეებზე წყალდიდობა გაზაფხულზეა, წყალმცირობა - ზაფხულსა და ზამთარში. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სათავეს იღებს ტაშისკრის არხი, რომელიც სარწყავ წყალს აწვდის როგორც ხაშურის მუნიციპალიტეტის, ასევე, ქარელის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 45% ტყეებითაა დაფარული. ტყის ფართობი შეადგენს 23 460 ჰა-ს, აქედან 6000 ჰა წიწვოვანი, ხოლო 4500 ჰა ფოთლოვანი ჯიშებია. ნაწილის გამოყენება ხდება ტყეკაფებად მოსახლეობის სამასალე და საშემე მერქნით მომარაგების მიზნით. ტყეების ნაწილი სუბალპურ ზონაშია. ქვიშხეთის ადმინისტრაციულ ერთეულში მდებარეობს ბორჯომ-ხარაგაულის ეროვნული პარკი. ტყეებში ძირითად ჯიშებს წარმოადგენს წიფელი,

მუხა, ნაძვი და რცხილა, რომელთაც უფრო მცირე რაოდენობით ერევა ფიჭვი, წაბლი, ვერხვი, მურყანი და სოჭი.

სამკურნალო მცენარეებიდან გავრცელებულია მოცვი, კრაზანა, ტყის ქონდარი, თეთრი გვირილა, უკვდავა, თავშავა, ძახველი, დიდილო, ასკილი.

გარეული ცხოველებიდან გავრცელებულია დათვი, მგელი, მელა, კვერნა, ირემი, ტურა, მაჩვი, ხალთა. ხოლო ფრინველებიდან ქორი, მიმინო, მწყერჩიტა, მყივანა არწივი, კაკაბი, ჩიტბატონა, მთის არწივი, შავი ყარყატი, ქედანი, ღალლა, კოდალა, ნიბლია, ჩხიკვი, შაშვი, როჭო და სხვა. წითელ წიგნში შეტანილია გარეული ღორი, კურდღელი, ციყვი, შველი.

მდინარეებში გავრცელებულია შემდეგი ჯიშის თევზები: ხრამული, მურწა, ფეტვია, ქაშაპი, კალმახი, ციმორი.

მინერალური რესურსები ხაშურის მუნიციპალიტეტში⁷⁶

#	რესურსი	საბადოს სახელი	მუნიციპალიტეტი	ადგილმდებარეობა	რაოდენობა	ერთეული	გამოყენება
1	ტალკი	ჩორჩანის ჯგუფის ტალკი	ხაშური	ჩორჩანა	245000	ტ	ქიმიური მრეწველობა
2	კირქვა	ბრილი	ხაშური	ბრილი		ტ	კირისტვის
3	სუსპენტიტი	თეთრი მინდორი	ხაშური			მ ³	ღორღი
4	გაბრო	უწლევი II	ხაშური	უწლევი		მ ³	მოსაპირკეთებელი ქვა
5	კვარცმინდვრის შპატანი ქვიშა	ქემფერი	ხაშური	ქემფერი		მ ³	სამშენებლო ნედლეული
6	კირქვა	ალი	ხაშური	ალი	2114000	ტ	კირისტვის
7	სააგურე თიხა	ხცისი	ხაშური	ხცისი		მ ³	სააგურე თიხა
8	დოლომიტი, საფლუსე კირქვა	აბანო	ხაშური	სოფელი წაღვლი		მ ³	მასალების დასამზადებლად
9	რკინა	ძამა	ხაშური	ძამის ხეობა			მეტალურგია
10	მოლიბდენი	ღართა	ხაშური	ღართა			მეტალურგია

თერმული და მინერალური წყლები⁷⁷

#	თერმული/ მინერალური წყალი	ადგილმდებარეობა	სასარგებლო თვისებები
1	მინერალური წყალი (რკინის წყალი)	სურამი	გამოიყენება ანემიისა და სისხლნაკლებობის სამკურნალოდ
2	მინერალური წყალი	ჩუმათელეთი	სახსრების დაავადების სამკურნალოდ

⁷⁶ წყარო: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

⁷⁷ წყარო: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

3	მინერალური-თერმული წყალი	ქვიშხეთი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ
4	მინერალური წყალი (დარიბაღლე)	სურამი/ხაშური	კუჭის წყლულის და კანის დაავადებების სამკურნალოდ
5	თერმული წყალი	წრომი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ
6	თერმული წყალი	მიწობი	ანთებითი და კანის დაავადებების სამკურნალოდ

ცხრილში მოცემულია ინფორმაცია სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტოს მიერ გაცემული ლიცენზიების შესახებ ხაშურის მუნიციპალიტეტში.⁷⁸

N	რესურსების სახეობა	ლიცენზიის მფლობელთა რაოდენობა
1	ქვიშა-ხრემის მოპოვება	19.00
2	თერმული წყლის მოპოვება (სათბურისთვის)	2.00
3	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება (სამეწარმეო დანიშნულებით)	116.0
4	კვარცმინდვრისშპატიანი ქვიშის მოპოვება	6.00
5	დიაბაზის მოპოვება (მოსაპირკეთებლად)	1.00
6	მიწისქვეშა მტკნარი წყლის მოპოვება (ჩამოსხმის მიზნით)	1.00
	სულ	145.00

ბუნებრივი საფრთხეებიდან ხაშურის მუნიციპალიტეტისთვის დამახასიათებელია ძლიერი ქარი და წვიმა, ხანმოკლე სეტყვა, წყალდიდობები და მეწყერი, არის გვალვის შემთხვევებიც.. ბუნებრივი კატასტროფები საფრთხეს უქმნის საცხოვრებელ სახლებს, სახნავ-სათეს ფართობებს და საზოგადოებრივ ინფრასტრუქტურას. წყალდიდობა განსაკუთრებით აზიანებს მდინარე სურამულასა და შოლას ნაპირებზე განთავსებულ სახლებს, საკარმიდამო ნაკვეთებსა და გზებს. იშვიათად ფიქსირდება წყალდიდობები მდინარე ჭერათხეულაზეც. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ნაპირსამაგრი სამუშაოების მოცულობის გაფართოების და ინტენსივობის გაძლიერების შედეგად, ბოლო წლებში მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალდიდობის გამო მნიშვნელოვანი ზარალი არ დაფიქსირებულა.

ხაშურის მუნიციპალიტეტის მასშტაბით იდენტიფიცირებულია ტერიტორიები, სადაც მეწყრული პროცესები მიმდინარეობს: კლდისწყარო, წელვერი, ცოცხნარა, ქემფერი, ტკოცა, ქვიშხეთი, სავანისუბანი, ყიფიანთუბანი, მონასტერი, სარმანიშვილისკარი, ქინძათი, ცხეთიჯვარი, ოსიაური, ურთხვა, დაბა სურამი, ბეკამი, ხაშური. მეწყრულ კერებზე დაკვირვებას ახორციელებს გარემოს ეროვნული სააგენტოს გეოლოგიის დეპარტამენტი, რომლის საინჟინრო გეოლოგიური კვლევების საფუძველზე, პრევენციის მიზნით, დაიგეგმა და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ განხორციელდა რიგი სამუშაოები. კერძოდ, დაბა სურამში, ზინდისის უბანში, სადაც დასახლებულია 200 -ზე მეტი ოჯახი, ჭარბი წყლების

⁷⁸ წყარო: სსიპ მინერალური რესურსების ეროვნული სააგენტო

მომორების მიზნით და ზედაპირული წყლების ჩაჟონების სალიკვიდაციოდ, მოეწყო სადრენაჟე ქსელი; ტექნიკური წყლების განტვირთვის მიზნით, გაყვანილია საკანალიზაციო სისტემა, რომელზეც უკვე მიერთებულია მოსახლეობის დიდი ნაწილი; განხორციელდა ლესია უკრაინკასა და მშვიდობის ქუჩის მობინადრეთა წყალმომარაგების ქსელის გაყვანა, რამაც შეამცირა საყოფაცხოვრებო ჭების უკონტროლო ექსპლუატაცია. ჩატარებული სამუშაოების შედეგად, საგრძნობლად შემცირდა მეწყრული პროცესების აქტიურობა. ასევე, მოეწყო ცოცხნარის ადმინისტრაციული ერთეულის (სოფელ ქემფერთან) მისასვლელი გზის მეწყერით დაზიანებული მონაკვეთის შემოვლითი გზა.



მაღალი ტემპერატურისა და რიგ შემთხვევაში მოსახლეობის დაუდევრობის შედეგად, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ყოველწლიურად ფიქსირდება ტყის მასივების მიმდებარედ ბუჩქნარების, ხმელი ბალახის მცირე მასშტაბიანი ხანძრის და სასოფლო-სამეურნეო მიწების ნაწვერალისაგან გათავისუფლების მიზნით გადაწვის 150-ზე მეტი სახანძრო შემთხვევა.

სტიქიის პრევენციისა და მისი შედეგების სალიკვიდაციო სამუშაოების გატარების მიზნით, მუნიციპალიტეტი ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობას ახორციელებს. ყოველწლიურად დიდი ოდენობის თანხები იხარჯება ნაპირდამცავი ნაგებობების მოწყობასა და მდინარე სურამულას კალაპოტის გაწმენდაზე. მაგალითად, ნაპირსამაგრი სამუშაოების შესრულებაზე 2021 წელს - 818 832 ლარი, ხოლო 2022 წელს კი 42 516 ლარი დაიხარჯა; ხოლო მდინარე სურამულას კალაპოტის გასაწმენდად 2020 წელს 425 595 ლარის, 2022 წელს კი - 147 000 ლარის სამუშაოები შესრულდა. პრობლემებს ძირითადად ძლიერი წვიმების შედეგად ადიდებული მცირე მდინარეები და მცირე ზომის ღელეები ქმნიან, რის გამოც მოსახლეობის საკარმიდამო ნაკვეთების გარკვეული რაოდენობა ყოველწლიურად ზიანდება.

მუნიციპალიტეტში არ არის საკანალიზაციო კოლექტორები და წყალგამწმენდი ნაგებობები, რის გამოც ჩამდინარე წყლები გაუწმენდავად ჩაედინება მდინარეებში. აღნიშნული პრობლემების მოგვარებისათვის ევროკავშირის და საფრანგეთის მთავრობის მხარდაჭერით ხაშურში დაიწყო წყალმომარაგებისა და წყალარინების პროექტის განხორციელება. სამუშაოები შესრულდება ქალაქ ხაშურის, სოფელ ოსიაურისა და ცხრამუხის ტერიტორიებზე, რის შემდეგაც გათვალისწინებულია მითითებულ დასახლებებში მოსახლეობის სრული უზრუნველყოფა სასმელი წყლით, ხოლო გამწმენდი ნაგებობა მოემსახურება მთლიანად ქალაქ ხაშურში არსებულ საკანალიზაციო ქსელს.

ხაშურის მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება/გატანა/განთავსებას ახორციელებს ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“. მუნიციპალიტეტში 2013 წლიდან ფუნქციონირებს ლიცენზირებული ნაგავსაყრელი (7,5312.44მ²), რომლის ამოქმედების შემდეგ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მნიშვნელოვნად შემცირდა სტიქიური ნაგავსაყრელები. პრევენციის მიზნით, ააიპ „ხაშურსერვისი“ რეგულარულად ახდენს ნარჩენებით გარემოს დაბინძურების საკითხის მონიტორინგს, დანაგვიანებული კერის აღმოჩენისთანავე ამ ადგილებიდან ხდება ნარჩენების შეგროვება/გატანა და ტერიტორიაზე გაწმენდვითი სამუშაოების განხორციელება.

დღეისათვის ნარჩენების გატანა ხდება 65 სოფლიდან, დაბა სურამიდან და ქალაქ ხაშურიდან. ნარჩენების გატანა ხდება ქ. ხაშურში გორგასალის ქუჩაზე არსებულ ნაგავსაყრელზე.⁷⁹



⁷⁹ წყარო: ა(ა)იპ „ხაშურსერვისი“ (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

2014 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობა შეადგენს 52603 ადამიანს, საიდანაც კომუნალური სამსახური ემსახურება დაახლოებით 90%-ს. ერთ სულ მოსახლეზე წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობა შეადგენს 1,68 მ³-ს. შეგროვებული და ნაგავსაყრელზე განთავსებული მყარი საყოფაცხოვრებო ნარჩენების რაოდენობა შეადგენს წელიწადში 85000-90000 მ³. საშუალოდ ყოველდღიურად ნაგავსაყრელზე ხდება 230-255 მ³ ნარჩენების განთავსება. მუნიციპალური ნარჩენების მართვის სისტემა არ ითვალისწინებს ნარჩენების დახარისხებულ შეგროვებას ცალკეულ (ქალაქის/ კარდონი, მინის ტარა, პლასტმასი/პოლიმერული ნარჩენები, ჯართი და სხვ.) ფრაქციებად. მუნიციპალიტეტში არ ფუნქციონირებს ნარჩენების შეგროვების პუნქტები და არც დაკომპოსტების პრაქტიკა არის დანერგული. შესაბამისად, აუთვისებელია ორგანული ნარჩენების საკმაოდ დიდი მასა.

ცხრილში მოცემულია ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ საკუთრებაში არსებული სპეცტექნიკის და ურნების დინამიკა წლების მიხედვით⁸⁰

	2018	2019	2020	2021	2022	2023
ურნა	745	735	921	857	722	822
თვითმცლელი	2	2	2	2	2	2
სპეცმანქანა	6	6	6	6	5	5

მუნიციპალიტეტში ნარჩენების შეგროვება ხდება კონტეინერების საშუალებით დაბა სურამში, ქალაქ ხაშურსა და 5 სოფელში (გომი, ოსიაური, ცხრამუხა, ქვიშხეთი, ტაშისკარი), დანარჩენ დასახლებულ პუნქტებში კი ზარის მეთოდით. კონტეინერების საერთო რაოდენობაა 822 ერთეული. კონტეინერები იცლება ყოველდღიურად. მუნიციპალიტეტს ემსახურება მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ორი თვითმცლელი ნაგავმზიდი მანქანა და სამი დაქირავებული მანქანა. მუნიციპალიტეტს ჰყავს 5 სპეციალიზებული მანქანა. მყარი ნარჩენების მართვის მიმართულებით ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილია 1 163 500 ლარი, რაც საკუთარი შემოსულობების 40.43%-ს შეადგენს.⁸¹

თვეში ერთხელ ქალაქ ხაშურსა და დაბა სურამში ხდება საავტომობილო მაგისტრალის მიმდებარე ტერიტორიების დასუფთავება- გაწმენდა (638 000 კვ.მ.)

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, დასახელდა გარემოს დაცვისა და დასუფთავების მიმართულებით შემდეგი გამოწვევები:

1. მეწყრული ზონების მრავალრიცხოვანი კერების არსებობა;
2. დაუდევრობის შედეგად ტყის ხანძრის რისკი;
3. სატრანსპორტო ნაკადების შედეგად ჰაერის დაბინძურების გაზრდილი რისკი;
4. ალტერნატიული ენერჯის გამოყენების დაბალი დონე;
5. ნარჩენების შეგროვებისა და განთავსების არასეპარირებული მეთოდი;

⁸⁰ წყარო: ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

⁸¹ წყარო: ა(ა)იპ „ხაშურსერვისის“ (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

6. საკანალიზაციო კოლექტორების არარსებობა;
7. სპეცტექნიკისა და ურნების არასაკმარისი რაოდენობა / გაუმართაობა;

2.7 მუნიციპალური სერვისები

ხაშურის მუნიციპალიტეტში ხელისუფლება ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის მეშვეობით, რომელიც შედგება წარმომადგენლობითი (საკრებულო) და აღმასრულებელი (მერია) ორგანოებისაგან.

ხაშურის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანო და მუნიციპალიტეტის უმაღლესი თანამდებობის პირი არის მერი, რომელიც წარმოადგენს მუნიციპალიტეტს, უზრუნველყოფს მუნიციპალიტეტის უფლებამოსილებების განხორციელებასა და მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოს გადაწყვეტილებების აღსრულებას.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლობითი ორგანოა კოლეგიური ადმინისტრაციული ორგანო - მუნიციპალიტეტის საკრებულო, რომელსაც ხელმძღვანელობს საკრებულოს თავმჯდომარე. საკრებულო აირჩევა 4 წლის ვადით მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული საქართველოს მოქალაქეების მიერ პირდაპირი არჩევნებით საყოველთაო თანასწორი საარჩევნო უფლების საფუძველზე ფარული კენჭისყრით. ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონი განსაზღვრავს საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებებს, რომელთა გადაწყვეტა მხოლოდ საკრებულოს პრეროგატივაა და მათი დელეგირება თვითმმართველობის სხვა ორგანოებზე დაუშვებელია. აღნიშნული უფლებამოსილებებიდან შეიძლება გამოიყოს: ადგილობრივი ბიუჯეტის პროექტის განხილვა და დამტკიცება; საკრებულოს თავმჯდომარის, რომელიც თვითმმართველი ერთეულის უმაღლესი თანამდებობის პირია, არჩევა; ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და სხვა. თუმცა, განსაკუთრებული უფლებამოსილებებიდან, შეიძლება ითქვას, უმთავრესია საკრებულოს უფლებამოსილება დაამტკიცოს როგორც საკუთარი, ისე აღმასრულებელი ორგანოს, მისი სამსახურებისა და ტერიტორიული ორგანოების დებულებები, ანუ მოახდინოს თვითმმართველი ერთეულის საკუთარი უფლებამოსილებების გადანაწილება თვითმმართველობის წარმომადგენლობით და აღმასრულებელ ორგანოებსა და თანამდებობის პირებს შორის.



დანართი N 16 მერიის სტრუქტურა და საშტატო

მუნიციპალიტეტში ნებისმიერი ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის ხელმისაწვდომია სახელმწიფო სერვისები. ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობას შეუძლია მიიღოს მათთვის საჭირო მომსახურებები შემდეგ დაწესებულებებში:

1. სსიპ სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ხაშურის სამოქალაქო რეესტრის სამსახური - (ქ. ხაშური, ტაბიძის ქუჩა N 2);
2. სსიპ არასაკატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს ხაშურის პრობაციის ბიურო - (ქ. ხაშური, კოსტავას ქუჩა N7);
3. იუსტიციის სახლი - სოფელი გომი
4. "მოზილური იუსტიციის სახლი" - სერვისების მიწოდება მუნიციპალიტეტში - (მოდრავი სერვისი);
5. ქონების რეგისტრაციის დეპარტამენტის რეგიონული რეგისტრაციის მართვის სამსახურის ხაშურის ფილიალი - (ქ. ხაშური, ტაბიძის ქუჩა N 2);
6. შინაგან საქმეთა სამინისტროს საგანგებო სიტუაციების მართვის სააგენტოს ხაშურის საგანგებო სიტუაციების მართვის განყოფილება - (ხაშური, აგარის ქუჩა N 10);
7. საქართველოს „გაერთიანებული წყალმომარაგების კომპანია“ შიდა ქართლის და მცხეთა-თიანეთის რეგიონალური ფილიალის ხაშურის სერვის ცენტრი - (ხაშური, იმერეთის ქუჩა N 105^ა);
8. სს „ენერგო პრო ჯორჯია“ - (ქ. ხაშური, იმერეთის ქუჩა N72);
9. სს „სოკარ ჯორჯია გაზი“ ცენტრალური რეგიონალური ოფისი ხაშურის სერვისცენტრი - (ქ. ხაშური ფარნავაზის N7);
10. საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს ხაშურის მუნიციპალიტეტის საინფორმაციო საკონსულტაციო სამსახური - (ხაშური, ტაბიძის ქუჩა N 2);
11. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხაშურის ტურისტული ცენტრი (ხაშური, ბორჯომის ქუჩა) (დროებით არ ფუნქციონირებს);
12. სსიპ სოციალური მომსახურების სააგენტო ხაშურის რაიონული განყოფილება - (ხაშური, ტაბიძის ქუჩა N2);
13. სსიპ სურსათის ეროვნული სააგენტოს ხაშურის სამსახური - (ხაშური, ტაბიძის ქუჩა N 2);
14. განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხაშურის საგანმანათლებლო რესურსცენტრი (ხაშური, ტაბიძის ქუჩა N2);
15. შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რაიონული სამმართველო (ხაშური, ბორჯომის ქუჩა # 194);
16. შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რაიონული სამმართველო დაბა სურამის პოლიციის განყოფილება (დაბა სურამი დავით აღმაშენებლის ქუჩა N21);
17. შსს შიდა ქართლის პოლიციის დეპარტამენტის რაიონული სამმართველო წაღვლის პოლიციის განყოფილება - (სოფელი წაღვლი);
18. ხაშურის რაიონული სასამართლო - (ხაშური, კოსტავას ქუჩა N15);
19. საქართველოს მთავარი პროკურატურის ხაშურის რაიონული პროკურატურა (ხაშური, ლომოურის ქუჩა N15^ა);
20. ეროვნული სატყეო სააგენტოს შიდა ქართლის სატყეო სამსახური (ხაშური, ბორჯომის ქუჩა N18);

21. საქართველოს ფოსტის ხაშურის სერვის ცენტრი (ხაშური, რუსთაველის N1);
22. შემოსავლების სამსახურის მომსახურების დეპარტამენტის ხაშურის სერვისცენტრი (ხაშური, კოსტავას ქუჩა N7);
23. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური - საქსტატი ხაშურის განყოფილება (ქალაქი ხაშური ნოე ჟორდანიას ქუჩა N3);
24. საქართველოს ეროვნული არქივის ტერიტორიული ორგანოს ხაშურის რეგიონალური არქივი -(ქალაქი ხაშური იმერეთის ქუჩა N32);
25. საგანგებო სიტუაციების კოორდინაციისა და გადაუდებელი დახმარების ცენტრი ხაშურის ფილიალი ქალაქი (ხაშური ფარნავაზის ქ. N4);
26. სს „სილქნეტი” - ქართლის რეგიონალური მომსახურების ცენტრის ხაშურის სერვისცენტრი (ხაშური შოთა რუსთაველის ქN1);
27. N35 ხაშურის საოლქო საარჩევნო კომისია - (ხაშური, კოსტავას ქუჩა N 7);
28. ხაშურის რადიო-სატელევიზიო გამაძგემი სადგური (ანმა) (დაბა სურამი, სოფელი პატარა ბეკამი);

ქალაქ ხაშურში მიმდინარეობს იუსტიციის სახლის მშენებლობა, სადაც „ერთი ფანჯრის პრინციპით” თავმოყრილი იქნება იუსტიციის სამინისტროსადმი დაქვემდებარებული უწყებები, რაც კიდევ უფრო გააადვილებს ხელმისაწვდომობას სახელმწიფო სერვისებზე.


მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებულ საჯარო სერვისებზე ხელმისაწვდომობა ხორციელდება ადგილზე ვიზიტით, სატელეფონო კავშირით (ცხელი ხაზი) ან/და ელექტრონული ფოსტის საშუალებით, ხოლო 12 ადმინისტრაციულ ერთეულში, მათ შორის, მაღალმთიან სოფლებში, მოქალაქეებს შესაძლებლობა აქვთ მუნიციპალიტეტის მერიაში მოქმედი მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს - ელექტრონული სისტემის მეშვეობით, მუნიციპალიტეტის ცენტრში ჩაუსვლელად, ადგილიდან, მერის წარმომადგენლის მეშვეობით გააგზავნონ განცხადებები და მიიღონ შესაბამისი მომსახურება. ასევე, სისტემაში მოქმედებს მოქალაქის პორტალი my.gov.ge, რომლითაც მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მოქალაქეს შეუძლია, კონტაქტი დაამყაროს მერიის შესაბამის სამსახურებთან და მიიღოს საჭირო მომსახურება.

2015 წლიდან ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია გადასულია ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. 2018 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის სამსახურები მთლიანად გადასულია დეს-დოკუმენტ-ბრუნვის ერთიან ელექტრონულ სისტემაზე, რომლის პროვაიდერია სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო. სახელმწიფო სტრუქტურები ძირითადად გადასულია ამავე პროგრამაზე (გარდა სასამართლო უწყებებისა) და მერიის საქმის წარმოება ძირითადად ელექტრონულად ხორციელდება.

2019 წლის 1 იანვრიდან, შემსყიდველი ორგანიზაციები და შესყიდვებში მონაწილეობის მსურველები/პრეტენდენტები/მიმწოდებლები „ელექტრონული დოკუმენტისა და ელექტრონული სანდო მომსახურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-3 მუხლის მე-3 და მე-4 პუნქტების საფუძველზე ვალდებულები არიან, სახელმწიფო

შესყიდვებში ერთიან ელექტრონულ სისტემაში ასატვირთ ელექტრონულ დოკუმენტებზე შეასრულონ კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა ან/და ეს დოკუმენტები დაამოწმონ კვალიფიციური ელექტრონული შტამპით.


კვალიფიციურ ხელმოწერის განხორციელებას, კოორდინირებას და ხელშეწყობას აქტიურად უზრუნველყოფს მერიის შესაბამისი სამსახური. დღეის მდგომარეობით ხაშურის მუნიციპალიტეტის მერია, მისი სამსახურებით, ადმინისტრაციული ერთეულებით და ადმინისტრაციულ ერთეულებში დასაქმებული პირებით მთლიანად გადასულია ელექტრონულ საქმის წარმოებაზე. 2021 წლის ივნისიდან ხაშურის მუნიციპალიტეტისა და ა(ა)იპ „მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს“ შორის გაფორმდა ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი. დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტში დაიწყო **მუნიციპალური ელექტრონული სერვისების ერთიანი პლატფორმის დანერგვა**. მემორანდუმის მიზანს წარმოადგენდა თვითმმართველობის ეფექტიანობის და გამჭვირვალობის გაზრდა მუნიციპალური სერვისების გაუმჯობესების საშუალებით, რომელიც გულისხმობს ელექტრონული მმართველობის ერთიანი სტანდარტის შექმნას პროგრამული უზრუნველყოფის სისტემის განვითარების გზით. პროექტის ფარგლებში მნიშვნელოვანი გახდა ტრენინგების ჩატარება მერის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებული მოხელეებისთვის. პირველ ეტაპზე ელექტრონულ პლატფორმაზე გადავიდა მერიის ყველა მოხელე, სამი ადმინისტრაციული ერთეული (ხაშურის, სურამის და ცხრამუხის) და მუნიციპალიტეტის მერიის მიერ დაფუძნებული ორი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, (საბავშვო ბაღების გაერთიანება და ხაშურსერვისი). პროექტის



ფარგლებში ჩატარდა 70 მდე ტრენინგი, აღიჭურვენ კომპიუტერული ტექნიკით და 2021 წლის ბოლოს მერია, სამი ადმინისტრაციული ერთეული და ორი ა(ა)იპ უკვე გამართულად მუშაობს საქმისწარმოების ერთიან ელექტრონულ სისტემაში. ამ პერიოდისათვის სსიპ „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო“-ს დეს პროგრამაზე ხელშეკრულების ფარგლებში, არქივზე წვდომის უზრუნველყოფის მიზნით კვლავ გვაქვს რამდენიმე იუზერზე წვდომა.

პროგრამის ფარგლებში დაიწყო მერიის ადმინისტრაციული ერთეულების წარმომადგენლების და მათ ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებულ პირების დატრენინგება ელექტრონულ საქმისწარმოებაში ჩართვის მიზნით. გადამზადდა 10 ადმინისტრაციული ერთეულის წარმომადგენელი და 18 ადმინისტრაციული ხელშეკრულებით დასაქმებული პირი. მათთან ჩატარდა 53 ტრენინგი. ადმინისტრაციული ერთეულები აღიჭურვენ კომპიუტერული ტექნიკით. იმის გათვალისწინებით, რომ ადმინისტრაციული ერთეულების ადმინისტრაციული შენობები საჭიროებენ სარემონტო სამუშაოებს მერიის ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის მიერ შედგენილი ხარჯთაღრიცხვების საფუძველზე ეტაპობრივად დაიწყო ადმინისტრაციული შენობების რეაბილიტაცია. თითოეულ ადმინისტრაციულ ერთეულს ჩაერთო კანცელარიის მოდულზე წვდომა, რაც იმას ნიშნავს, რომ ადმინისტრაციული ერთეულებში შემავალი სოფლების მცხოვრებლებს საშუალება მიეცა ადგილზე (ადმინისტრაციულ ერთეულებში) შეიტანონ განცხადება, რომელიც რეგისტრაციის და შესაბამისი პროცედურების გავლის შემდგომ აღმოჩნდება მერიის კანცელარიაში. ხაშურის მუნიციპალიტეტის 82 სოფლის მცხოვრებს საშუალება მიეცა ამ სერვისით სარგებლობის. ამან საშუალება მისცა სოფლის მოსახლეობას დაზოგოს დრო და ტრანსპორტის ხარჯი. პროგრამის ფარგლებში მოქალაქის პორტალით my.gov.ge მსოფლიოს ნებისმიერი კუთხიდან მოქალაქეს შესაძლებლობა აქვს დარეგისტრიროს ნებისმიერი შინაარსის განცხადება და პასუხიც მიიღოს იგივე პორტალის მეშვეობით.


2022 წელს საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ-სოციალური მომსახურების სააგენტოს, ა(ა)იპ მუნიციპალური სერვისების განვითარების სააგენტოს და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს სახელმწიფო კონტროლს დაქვემდებარებული სსიპ- ინფორმაციული ტექნოლოგიების სააგენტოს შორის გაფორმდა მემორანდუმი და ამ მემორანდუმის ფარგლებში საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე „სააგენტოს“ მიერ ადმინისტრირებადი „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში“ რეგისტრირებული ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ოჯახების შესახებ ინფორმაციაზე (მონაცემებზე) წვდომა- ინფორმაციის მიწოდების შესაძლებლობა ჩართო მუნიციპალიტეტის მერიას. მუნიციპალიტეტის მერია და შესაბამისი სამსახურები პასუხისმგებლები არიან „მონაცემთა ბაზიდან“ დაამუშაოს მხოლოდ იმ მოცულობის ინფორმაცია (მონაცემები), რომელიც აუცილებელია შესაბამისი კანონიერი მიზნის მისაღწევად და ვალდებულია „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი მოთხოვნების მკაცრი დაცვით განახორციელოს მათი გამოყენება. წინააღმდეგ შემთხვევაში სრული



პასუხისმგებლობა ეკისრება მუნიციპალიტეტს. მემორანდუმის მიხედვით მხარეები ვხელმძღვანელობთ ურთიერთპატივისცემის პრინციპით, თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით და „სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზასთან“ ელექტრონული ურთიერთობის პროტოკოლით.

MSDA პროგრამის ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის პროფესიულ საჯარო მოხელეებს შესაძლებლობა აქვთ გამოიყენონ მუნიციპალური ნარჩენების მართვის, მუნიციპალური ქონების მართვის, ინფრასტრუქტურული პროექტების, კანცელარიის, დოკუმენტბრუნვის, „შეკითხვა მერს“ და ადამიანური რესურსების მართვის მოდულები. ამ მოდულების ფარგლებში ხაშურის მუნიციპალიტეტის ინფრასტრუქტურული პროექტების, ქონების მართვის და ნარჩენების მართვის კუთხით ნებისმიერ მოქალაქეს შესაძლებლობა ექნება მიიღოს ინფორმაცია აღნიშნული საკითხების შესახებ ელექტრონული პორტალის მეშვეობით.

2022 წლის ბოლოდან მერიაში დაიწყო პროცედურები მერიის მიერ დაფუძნებული არასამეწარმეო(არაკომერციული) იურიდიული პირების ელექტრონულ საქმისწარმოებაზე გადაყვანასთან დაკავშირებით. ჩატარდა 78 ტრენინგი ა(ა)იპ-ების თანამშრომლებთან და 2022 წლის დეკემბრის ბოლოს მუნიციპალიტეტის მერიის ყველა სტრუქტურული ერთეული, ყველა ადმინისტრაციული ერთეული და მათთან დასაქმებული პირები და მერიის მიერ დაფუძნებული ყველა ა(ა)იპ-ი გადასულია ელექტრონული საქმისწარმოების ერთიან პლატფორმაზე. ამან შესაძლებლობა მოგვცა დაზოგილიყო თანხები დოკუმენტების „საქართველოს ფოსტის“ საშუალებით გაგზავნასთან დაკავშირებით. გაზრდილიყო მოქალაქეთა ხელმისაწვდომობა მერიაში არსებულ სერვისებზე. მოქალაქეს მიეღო



ელექტრონულად პასუხი ნებისმიერ საკითხზე (წერილობითი ფორმით პროგრამულად) სოფლიდან გაუსვლელად. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით ესარგებლა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ყველა მოქალაქეს. მუნიციპალიტეტში მცხოვრებ მოქალაქეს საშუალება აქვს სოციალური სერვისები მიიღოს ადგილზე, სახელმწიფოს მიერ დაფინანსების თაობაზე (უარის წერილების ადგილზე მიღებით), ასევე ქულების ამონაწერების მიღების შესაძლებლობით.

ხაშურის მუნიციპალიტეტის 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტში გენდერული ასპექტების გათვალისწინების თაობაზე⁸²:

გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის მიზნით, 2023 წელს ხაშურის მუნიციპალიტეტის ფინანსური დოკუმენტების შემუშავების დროს, 2023-2026 წლის პრიორიტეტების დოკუმენტსა და 2023 წლის პროგრამული ბიუჯეტის პროექტის (პროგრამული დანართი) გათვალისწინებული იქნა გენდერული ასპექტები. ხაშურის მერის 2022 წლის 1 მარტის ბრძანების შესაბამისად შექმნილი პრიორიტეტების დოკუმენტის სამუშაო ჯგუფის ჩართულობით შეირჩა პროგრამები და ქვეპროგრამები, რომელიც გენდერული ანალიზიც ჩატარდა მუნიციპალიტეტის მერიის დარგობრივი სამსახურებისა და პროგრამების განმახორციელებელი ა(ა)იპ-ების მიერ, GIZ ტექნიკური მხარდაჭერით. გენდერული ანალიზის შედეგების საფუძველზე 2023 წლის ბიუჯეტის პროექტში აღნიშნული პროგრამების/ქვეპროგრამების მოდიფიცირება მოხდა. კერძოდ, შესაბამისი გენდერული

⁸² წყარო: საბიუჯეტო სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

პოლიტიკა და მიდგომები ასახულია პროგრამის აღწერისა და შედეგების ნაწილში, ამასთან პროგრამებს/ქვეპროგრამებს აქვთ გენდერული ინდიკატორები.

ერთ სულ მოსახლეზე ბიუჯეტის ხარჯვის მაჩვენებელი⁸³:

საანგარიშო პერიოდი	2020 წელი (ფაქტი)	2021 წელი (ფაქტი)	2022 წელი (ფაქტი)	2023 წელი (გეგმა)
ბიუჯეტის მოცულობა	22860.1	25419.8	33458.4	40071.6
დაფინანსება ერთ სულ მოსახლეზე/ ხაშურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის რაოდენობა -52603 კაცი	434.58	483.24	636.05	761.77

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე მუშაობის პროცესში, სახელმწიფო სერვისების გაუმჯობესების მიმართულებით დასახელდა შემდეგი გამოწვევები:

1. იუსტიციის სრული სერვისებზე შეზღუდული ხელმისაწვდომობა (არ გვაქვს იუსტიციის სახლი);
2. მართვის მოწმობის საგამოცდო ცენტრის არარსებობა;
3. შსს მომსახურების სააგენტოს არარსებობა (გორში ხდება მიმართვა ცნობებისთვის);
4. ტურისტული მომსახურების ცენტრის არარსებობა;
5. მუნიციპალური ტრანსპორტი;

2.8 მონიტორინგი და შეფასება

აუცილებელია პოლიტიკის დოკუმენტის მონიტორინგი და შეფასება, რათა პროცესში ჩართულმა პასუხისმგებელმა უწყებებმა დროულად შეძლონ ინტერვენცია დასახული მიზნის მისაღწევად, ფულადი და ადამიანური რესურსების სწორი გადანაწილებით. შეფასების თვალსაზრისით აუცილებელია დოკუმენტში გაწერილი მიზნებისა და ამოცანების შესრულების სისტემური გადახედვა და ანალიზი, რათა გამოვლინდეს მათი შესაბამისობა, ეფექტიანობა და მდგრადობა.

პოლიტიკის დოკუმენტის მონიტორინგსა და შეფასებაზე პასუხისმგებელია მუნიციპალიტეტის მერია და საკრებულო.

პერიოდულობის თვალსაზრისით, რეგულარული წლიური ანგარიშგებების საფუძველზე მოხდება პოლიტიკის დოკუმენტის შუალედური (დოკუმენტის დამტკიცებიდან ორი წლის შემდეგ) და საბოლოო შეფასება (დოკუმენტის ოთხწლიანი ვადის გასვლისას).

საშუალოვადიანი განვითარების დოკუმენტის განხორციელების პერიოდში შეფასების ანგარიში მომზადდება ორჯერ, დოკუმენტის დამტკიცებიდან ორი წლის თავზე, ხოლო საბოლოო შეფასება-დოკუმენტის ვადის გასვლისას.

⁸³ წყარო: საბიუჯეტო სამსახური (ხაშურის მუნიციპალიტეტი)

მონიტორინგის წლიურ ანგარიშს ამზადებს სამუშაო ჯგუფი, მერიის შესაბამისი სამსახურების მიერ მოწოდებული ანგარიშების საფუძველზე, რომლის სტრუქტურა იქნება ლოგიკური, თანამიმდევრული და მარტივად აღსაქმელი.

პოლიტიკის დოკუმენტის მონიტორინგი და შეფასება მოხდება მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს (საქართველოს მთავრობის განკარგულება #264, 2022 წლის 15 თებერვალი) შეფასების მეთოდოლოგიისა და ანგარიშის სტრუქტურის გათვალისწინებით.

2.8 SWOT ანალიზი

ძლიერი მხარე	სუსტი მხარე
<ul style="list-style-type: none"> • ხაშურის მუნიციპალიტეტის მდებარეობა (ხაშურის მუნიციპალიტეტი, როგორც სატრანზიტო კვანძი აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოს შორის) • მაღალმთიანი დასახლების სტატუსის მქონე სოფლების არსებობა და ამ სტატუსთან დაკავშირებული სოციალურ-ეკონომიკური ბენეფიტები • არსებული ეკოსისტემა, რაც სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგისა და ტურიზმის განვითარების საშუალებას იძლევა • ბიზნეს სექტორში ეკონომიკური პარამეტრების (გამომწვევები პროდუქცია, დამატებული ღირებულება, ბრუნვა) ზრდის ტენდენცია • რეგისტრირებული და აქტიური ბიზნეს სუბიექტების ზრდის ტემპი ბოლო წლების განმავლობაში • მაღალი ტურისტული პოტენციალი (ისტორიული და კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების სიმრავლე, საკურორტო ზონების არსებობა, სამუზეუმო ექსპონატების სიმრავლე) • ჯანდაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მუნიციპალური მხარდი პროგრამა (მათ შორის, დაფინანსებისა და მრავალფეროვნების ზრდა) • არსებული მუნიციპალური და კერძო უფასო სასაბავშვო • სარეაბილიტაციო და სხვადასხვა პროფილის სამედიცინო ცენტრების არსებობა (დიალიზისა და რეაბილიტაცია-აბილიტაციის ცენტრი) • საბავშვო ბაღებში აღსაზრდელებისთვის უფასო კვების პროგრამა • საბავშვო ბაღებში გამართული შიდა ინფრასტრუქტურა და მიმდინარე ინტერნეტიზაციის პროგრამა • სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტითა და უფასო სახელმძღვანელოებით უზრუნველყოფის სახელმწიფო პროგრამა 	<ul style="list-style-type: none"> • დემოგრაფიული პრობლემები, მათ შორის მოსახლეობის რაოდენობის კლება, შობადობის შემცირება და მიგრაციის მაღალი მაჩვენებელი • სოფლის მეურნეობაში, ტურიზმისა და მომსახურების სექტორში ჩართული კვალიფიციური კადრის სიმცირე • სარწყავი სისტემის მოუწესრიგებლობა, მათ შორის, სარწყავი წყლის არასაკმარისი რესურსი • სასოფლო-სამეურნეო ტექნიკაზე დაბალი ხელმისაწვდომობა • სასაწყობო, სამაცივრე და სასათბურე მეურნეობების სიმცირე, ასევე ჩამბარებელი და გადამამუშავებელი პუნქტების ნაკლებობა, სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივების სიმცირე განვითარების დაბალი დონე • ადგილობრივი მოსახლეობის ცნობიერების დაბალი დონე სოფლის მეურნეობის გარკვეულ ასპექტებზე (მაგ. ვეტერინარული სერვისები, ნიადაგის ანალიზი, თანამედროვე ტექნოლოგიები სოფლის მეურნეობაში) • სოფლად ეკონომიკის დივერსიფიცირებისა და კონკურენტუნარიანობის დაბალი დონე • სუსტი საწარმოო ჯაჭვი, შეზღუდული წვდომა გასაღების ბაზარზე • სასოფლო-სამეურნეო პროდუქტის ეტიკეტირებისა და მარკეტინგის პრობლემა • ფინანსურ რესურსებზე დაბალი ხელმისაწვდომობა (განსაკუთრებით ქალებისთვის) • მეფუტკრეობის, მეთევზეობისა და მეცხოველეობის განვითარებისთვის საჭირო ლაბორატორიებისა და ინფრასტრუქტურის სიმცირე • სამეწარმეო ინფრასტრუქტურისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განვითარების დაბალი დონე

<ul style="list-style-type: none"> • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტები • განათლების, კულტურისა და სპორტის დაწესებულებებში მაღალკვალიფიციური კადრი • პროფესიული კოლეჯი „ქართლის“ არსებობა • არაფორმალური განათლების ხელშეწყობის პროგრამებისა და ახალგაზრდული ცენტრის და ორგანიზაციის არსებობა • კულტურისა და სპორტის უფასო წრეების არსებობა • რეაბილიტირებული და საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი სპორტული ინფრასტრუქტურა - „ივერია“, ასევე მინი სტადიონების მზარდი რაოდენობა დასახლებულ პუნქტებში • მაღალი სპორტული და სახელოვნებო მიღწევები • მუნიციპალური პროგრამები სპორტა და კულტურაში (წარმატებული სპორტმენების და მწვრთნელების წახალისების პროგრამა, საერთაშორისო სპორტულ და კულტურულ ღონისძიებებში მონაწილეობის დაფინანსების პროგრამა) • სტიქიური ნაგავსაყრელების რაოდენობის მნიშვნელოვანი კლება • მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი რესურსები (მათ შორის თერმული და მინერალური რესურსები) • მინერალური რესურსების მოპოვებაზე მოქმედი და გაცემული ლიცენზიების შესახებ დეტალური ბაზის ხელმისაწვდომობა • ნარჩენების მართვის ოპერირების მუნიციპალური კომპანიის ყოველწლიური გაძლიერება (ფინანსური-მატერიალური) • ელექტრონული საქმისწარმოების პროგრამის გამართული ფუნქციონირება (მათ შორის ადმინისტრაციულ ერთეულებსა და მუნიციპალური ა(ა)იპ-ებში) • ყოველწლიურად მზარდი ადგილობრივი ბიუჯეტი და მუნიციპალური პროგრამების რაოდენობა • მონაწილეობითი და გენდერული ბიუჯეტის არსებობა • My.gov.ge ზე მოქმედი 8 პროგრამა (სერვისი), რომელიც ამარტივებს მოსახლეობასთან ურთიერთობას 	<ul style="list-style-type: none"> • მსუბუქი მრეწველობის განვითარების დაბალი დონე • ალტერნატიული ენერჯის წყაროების შესახებ ცნობიერების დაბალი დონე და შესაბამისად გამოყენების დაბალი დონე • უცხოური და ადგილობრივი ინვესტიციების სიმცირე • ხაშურის მუნიციპალიტეტის, როგორც ტურისტულად მიმზიდველი ობიექტის შესახებ ცნობიერების დაბალი დონე, მათ შორის, რეგიონსა და დედაქალაქში მოქმედ ტურისტულ სააგენტოებს შორის • სასტუმროებისა და ღამის გასათევი ადგილების ნაკლებობა • ტურისტული ინფრასტრუქტურის სიმცირე • ტურისტული რუკებისა და საინფორმაციო მასალების სიმცირე • ტურისტული ფესტივალებისა და გამოფენების სიმცირე • საგზაო ინფრასტრუქტურის ნაწილის გაუმართაობა • სასმელ წყალზე დაბალი ხელმისაწვდომობა (მათ შორის, სასმელი წყლის გრაფიკით მიწოდება; ადმინისტრაციულ სასაზღვრო ზოლთან მდებარე სოფელ ჩორჩანაში არ არის წყლის მიწოდების სიტემა) • მუნიციპალური ტრანსპორტის არარსებობა, კერძო სატრანსპორტო კომპანიის გაუმართავი სატრანსპორტო სქემა (განრიგი) • რიგ სამედიცინო სერვისებზე დაბალი ხელმისაწვდომობა, მათ შორის სამშობიარო სახლის არარსებობა, სასწრაფო სამედიცინო დახმარების ბრიგადების არასაკმარისი რაოდენობა და სააფთიაქო სერვისზე დაბალი ხელმისაწვდომობა (სოფლად) • სკოლამდელი აღზრდის დაწესებულების არასაკმარისი რაოდენობა და გარკვეულ შემთხვევებში, არსებული შენობებისა და გარე სივრცის არაადაპტაციული ინფრასტრუქტურული მდგომარეობა (მათ შორის, შშმ პირებისთვის ადაპტაციის პრობლემა)
--	---

<ul style="list-style-type: none"> • მუნიციპალიტეტის ვებგ-გვერდზე და სოც ქსელებში ინფორმაციის პროაქტიული განთავსება და აქტიური უკუკავშირი 	<ul style="list-style-type: none"> • ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა • კულტურულ-საგანმანათლებლო და სპორტულ-გამაჯანსაღებელი სივრცეების სიმცირე / არსებულის არადამაკმაყოფილებელი ინფრასტრუქტურული მდგომარეობა (მათ შორის ინვენტარის და ინსტრუმენტების სიძველე და სიმცირე) • ნარჩენების გატანის სპეცტექნიკისა და ურნების არასაკმარისი რაოდენობა / არსებულის გაუმართაობა • წყალარინების პრობლემა, მათ შორის ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის უფუნქციო მდგომარეობა • იუსტიციის სახლის სრულ სერვისებზე შეზღუდული ხემისაწვდომობა • შინაგან საქმეთა სამინისტროს გარკვეულ სერვისებზე ხელმისაწვდომობის პრობლემა (მართვის მოწმობის აღება, მომსახურების სააგენტო)
<p>შესაძლებლობები</p>	<p>საფრთხეები</p>
<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო მნიშვნელობის ახალი გზის მშენებლობის შედეგად ახალი მიზიდულობის ცენტრების გაჩენა • მაღალმთიანი დასახლებების განვითარების მხარდამჭერი პროგრამები • დემოგრაფიის ხელშემწყობი სახელმწიფო პროგრამების არსებობა და გაფართოება • იმიგრაციის მიმართულებით მომუშავე სახელმწიფო და საერთაშორისო პროგრამები • საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების პროგრამები • სოფლის მეურნეობისა და მეწარმეობის განვითარების კუთხით არსებული სახელმწიფო პროგრამები (სოფლის განვითარების სააგენტო, აწარმოე საქართველოში და სხვ) 	<ul style="list-style-type: none"> • საერთაშორისო მნიშვნელობის ახალი გზის მშენებლობის შედეგად კონკრეტულ ტერიტორიებზე ეკონომიკური აქტივობის ცვლილება • ადმინისტრაციული გამყოფი ხაზის არსებობა და მასთან დაკავშირებული საფრთხეები (მათ შორის, სასოფლო-სამეურნეო მიწების გამოყენებისას) • მკაცრი კლიმატი • ბუნებრივი საფრთხეები: გვალვა, წყალდიდობა, მეწყერი, ტყის ხანძრის რისკი • პესტიციდების არარაციონალური გამოყენება და ცნობიერების დაბალი დონე • ქარსაცავი ზოლის არარსებობის გამო მიწის ეროზიის საფრთხე

<ul style="list-style-type: none"> • ტურისტული საინფორმაციო ცენტრის ფუნქციონირების დაწყება 2023 წლის მეორე ნახევრიდან • ქალაქ ხაშურის წყალმომარაგების, წყალარინების ქსელისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მშენებლობის პროექტი • მუნიციპალური განვითარების ფონდის მიერ მუნიციპალიტეტში განსახიერცილებელი პროექტები და ყოველწლიურად დაფინანსების მზარდი მოცულობა • სახელმწიფო ჯანდაცვის პროგრამების არსებობა • სპორტულ ფედერაციებთან მჭიდრო თანამშრომლობა • გარემოს საკითხებზე მაღალი დაინტერესება სახელმწიფო, საერთაშორისო და ადგილობრივი ორგანიზაციების მიერ 	<ul style="list-style-type: none"> • კვალიფიციური კადრების გადინება მუნიციპალიტეტიდან • პადემიური და გლობალური საფრთხეების გამო ტურისტების რაოდენობის შემცირება ქვეყნის მასშტაბით • სურსათის წარმოების და მიწოდების პროცესში ხარისხის კონტროლი • ახალაშენებული/რეაბილიტირებული ინფრასტრუქტურის შენარჩუნების სირთულე (ხარჯები; ვანდალიზმი) • სატრანსპორტო ნაკადების შედეგად ჰაერის დაბინძურების გაზრდილი რისკი; • ტყის ფონდის დეგრადირება • ალტერნატიული ენერგომომარაგების არარსებობა (მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ შენობაში), რამაც შესაძლებელია გამოიწვიოს მუნიციპალური სერვისების მიწოდების შეფერხება
---	--


სხვადასხვა თემატიკის მიხედვით SWOT ანალიზი მოცემულია დანართის სახით.

3. მიზნები და ამოცანები

ხედვა

ხაშურის მუნიციპალიტეტი ყალიბდება, როგორც მძლავრი რეგიონალური სატრანსპორტო „ჰაბი“, ყველასთვის ხელმისაწვდომი ხარისხიანი საჯარო სერვისებით და ინფრასტრუქტურით, მზარდი ადგილობრივი წარმოებით დ მაღალი ტურისტული პოტენციალით, კერძო სექტორთან გამჭვირვალე, ინკლუზიური და მეგობრული გარემოთი, ინოვაციური ეკონომიკური აქტივობების ხელშეწყობით, საინვესტიციო პოტენციალის გაუმჯობესებით, დასაქმების ხელშეწყობით, დამატებით ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობის და დონორი ორგანიზაციების შემოთავაზებული შესაძლებლობების ზრდით, რაც თავის მხრივ გაზრდის ეკონომიკურ დოვლათს და გააუმჯობესებს მოსახლეობის სოციალურ მდგომარეობას.

ხედვის რეალიზების მიზნით გამოიკვეთა ექვსი პრიორიტეტული მიმართულება:



2.9.1 საჯარო მმართველობა

მიზანი - მუნიციპალური სერვისების და მმართველობის გაუმჯობესებით გამჭვირვალობის, თვითმმართველობის ეფექტიანობის და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევა.

ამოცანა 1

მუნიციპალური სერვისების პრიორიტეტიზაციაში (ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამა, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, გარე ვაჭრობის რეგულირება და ა.შ) ინფორმირებულების და ჩართულობის გაზრდის გზით მოსახლეობის თანამონაწილეობის მაღალი ხარისხის მიღწევა.

ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის ინდექსი⁸⁴ (ბლოკი 3 - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება)

საბაზისო - 2021 38%

სამიზნე - 2027 (+16) – 54%

ამოცანა 2

მულტიფუნქციური სივრცის შექმნით სააგანმანათლებლო აქტივობებისათვის, ტრენინგების, შემეცნებითი დისკუსიების და საჯარო შეხვედრებისათვის ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესება

ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის ინდექსი (ბლოკი 3 - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება)

საბაზისო - 2021 38%

სამიზნე - 2027 (+16) – 54%

⁸⁴ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შედგება 3 თემატური ბლოკისაგან, რომელიც შეფასების 101 კრიტერიუმს აერთიანებს:

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება (მოიცავს 11 ქვებლოკს და 53 კრიტერიუმს);
- ელექტრონული მმართველობა (მოიცავს 4 ქვებლოკს და 27 კრიტერიუმს);
- მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება (მოიცავს 2 ქვებლოკს და 21 კრიტერიუმს);

ინფორმაცია ფასდება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ანალიზის გზით და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილზე დაკვირვებით.

<http://www.lsgindex.org/>

ინდექსი შემუშავდა პროექტის „ღია და ანგარიშვალდებულებული თვითმმართველობებისათვის – მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ეროვნული შეფასება“ ფარგლებში.

ამოცანა 3

ელექტრონული მმართველობის კომპონენტის გაძლიერებით მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის და ხარისხის ზრდა

ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის ინდექსი (ბლოკი 2 - ელექტრონული მმართველობა)

საბაზისო - 2021 24%

სამიზნე - 2027 (+16) – 40%

მიზნის შესრულების ინდიკატორი (გავლენის) - მუნიციპალიტეტის ინდექსი

ხაზურის მუნიციპალიტეტი	2019	2020	2021	2022	2023	2024	2025	2026	2027
შედეგი	31%	-	27%	დათვლილი არა	4%-იანი მატემა	4%-იანი მატემა	4%-იანი მატემა	4%-იანი მატემა	4%-იანი მატემა

წყარო: ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი <http://www.lsgindex.org/ge/dynamic/>

საბაზისო - 2021 წელს 27%

სამიზნე - 2024-2027 (+16 ერთეული) 43%

2.9.2 ინფრასტრუქტურა

მიზანი: მუნიციპალური ინფრასტრუქტურის (წყალმომარაგება/წყალარინება, ქალაქად და სოფლად უსაფრთხო გადაადგილების შესაბამისი ინფრასტრუქტურა, სატრანსპორტო, სოციალური ინფრასტრუქტურა, საბინაო კომუნალური მეურნეობა, ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების ხელშემწყობი ინფრასტრუქტურა, სარიტუალო მომსახურების გაუმჯობესება, სტიქიის პრევენციის მიზნით დაცული და უსაფრთხო ინფრასტრუქტურა) ხარისხის და ხელმისაწვდომობის ზრდა

ამოცანა 1: მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მუნიციპალური გზის (მათ შორის, ხიდების, ტროტუარების და სხვა საგზაო ინფრასტრუქტურასთან დაკავშირებული ნაგებობების) რეაბილიტაცია, ადგილობრივი საგზაო ინფრასტრუქტურის და მოსახლეობის გადაადგილებისთვის შექმნილი კომფორტული და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

ინდიკატორი: მყარსაფარიანი მუნიციპალური გზების წილი მუნიციპალური გზების მთლიან მოცულობაში

267.9 კმ - მუნიციპალიტეტის საერთო გზების სიგრძე

125.9 კმ - მყარსაფარიანი გზების სიგრძე

საბაზისო - 47%

სამიზნე - 60%

ამოცანა 2 : მუნიციპალურ უფლებამოსილების ფარგლებში, წყლის მიწოდების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ინდიკატორი: მოსახლეობის ის რაოდენობა რომლებსაც გაუმჯობესდათ წყლის მიწოდება მუნიციპალურ უფლებამოსილების ფარგლებში ჩატარებული სათავე ნაგებობების და წყალსადენების სარეაბილიტაციო სამუშაოების ჩატარების შემდეგ

საბაზისო - 10 863 ბენეფიციარი

სამიზნე - 12 000 ბენეფიციარი

ამოცანა 3: - გარე განათების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა და გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების ხარისხის შემცირება

ინდიკატორი: თანამედროვე ენერგოდამზოგი სანათების % გარე სანათების საერთო რაოდენობასთან მიმართებით

საბაზისო - 3351 სანათი, სულ 11218-დან არის ენერგოდამზოგი (30 %)

სამიზნე - 10 096 სანათი, სულ 11218, ენერგოდამზოგი (90 %)

ამოცანა 4 :- მუნიციპალიტეტის მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების გარემოს გაუმჯობესება (კორპუსების ფასადები, სახურავები, ეზოები, სადარბაზოები)

ინდიკატორი: მრავალბინიანი კორპუსების რაოდენობა, რომელთაც ისარგებლეს მუნიციპალიტეტის თანადაფინანსების პროგრამით

საბაზისო - 2022 წელს ორმა ამხანაგობამ ისარგებლა პროგრამით

სამიზნე - 2027 წლისთვის (ოთხ წელიწადში) – 12 ამხანაგობა ისარგებლებს

ამოცანა 5: ხაშურის მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაცია და დამკვიდრება საწვრთნელი ბაზების, მინისტადიონების ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებით

ინდიკატორი: რეაბილიტირებული და მოწყობილი მინი სტადიონების და სპორტული მოედნების წილი საერთო რაოდენობაში %

საბაზისო - 2022 წელს 20%

სამიზნე - 2027 წელს 40%

ამოცანა 6 - მოსახლეობისთვის ხელმისაწვდომი და კომფორტული მომსახურების უზრუნველყოფის მიზნით დასასვენებელი და გასართობი სივრცეების რეაბილიტაცია/მშენებლობა,

ინდიკატორი: რეაბილიტირებული და მოწყობილი ობიექტის რაოდენობა;
საბაზისო - 2022 წელს 20%
სამიზნე - 2027 წელს 40%

ამოცანა 7 - მოქმედი სასაფლაოების ტერიტორიების მოვალა/ შენახვა დადგენილი ნორმების მიხედვით

ინდიკატორი: დაკრძალვასთან დაკავშირებული მომართვიანობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი (იგულისხმება საკრებულოს მიერ დადგენილი წესის დაცვით მომართვა) და სასაფლაოების გათიბული, შეწამლული და ამორტიზებული ხეებისაგან გაწმენდილი ფართობი
საბაზისო - 100 %, სასაფლაოები საერთო ფართობი 28 663 კვ.მ.
სამიზნე - 100 % ფართობი-წელიწადში 1 000 კვ.მ.

ამოცანა 8 - სტიქიის პრევენციის მიზნით ღონისძიებების განხორციელება (გაბიონების მოწყობა და ა. შ.)

ინდიკატორი: ნაპირსამაგრი ჯებირების სიგრძე
საბაზისო - 2022 წელს 8,7 კმ.
სამიზნე - 2027 წელს 13 კმ. წელიწადში მინიმუმ 5 კმ.

2.9.3 ეკონომიკა

მიზანი: მუნიციპალური უფლებმოსილებებითა და გადაწყვეტილებებით ეკონომიკური საქმიანობის ზრდის ხელშეწყობა

ამოცანა 1 - დიალოგის პლატფორმის შექმნა მუნიციპალიტეტს, პროფესიულ სასწავლებელს, დამსაქმებელსა და სამუშაოს მაძიებელს შორის (მათ შორის PPP თანამშრომლობა⁸⁵)

ინდიკატორი: შექმნილი პლატფორმა და ფუნქციონირება
საბაზისო: არ არის
სამიზნე: შეიქმნება

⁸⁵ PPP საჯარო აქტივისა თუ მომსახურების უზრუნველყოფის შესახებ კერძო მხარესა და სახელმწიფოს შორის გრძელვადიანი შეთანხმებს, რომელშიც კერძო მხარე თავის თავზე იღებს მნიშვნელოვან რისკსა და პასუხისმგებლობას პროექტის მართვაზე და ანაზღაურება დაკავშირებულია შესრულებასთან. <https://www.myadvokat.ge/ka/blog/10297/sajaro-da-kerzo-tanamshromlobis-shehexeb-%28PPP%29-kanonis-detalebi>

ამოცანა 2 - მუნიციპალურ დონეზე ინოვაციური ბიზნესიდეების დაფინანსების ხელშეწყობი პროგრამების და პროექტების არსებობა, ადგილობრივი მეწარმეების მხარდაჭერა, ქალი მეწარმეების წახალისება მათთვის საჭირო აქტივობების შეთავაზებით;

ინდიკატორი: პროგრამების და პროექტების რაოდენობა

საბაზისო - 1 პროგრამა⁸⁶

სამიზნე - 3 პროგრამა (მათ შორის მეწარმე ქალთა ხელშეწყობისთვის და ახალგაზრდა მეწარმეთა ხელშეწყობისთვის)

ამოცანა 3 - გარე ვაჭრობის რეგულირება (სამართლებრივი დოკუმენტაცია გარე ვაჭრობის რეგულირების შესახებ)

ინდიკატორი: გარე ვაჭრობის რეგულირების წესი

საბაზისო: არ არის

სამიზნე: შეიქმნება

ამოცანა 4 : მუნიციპალიტეტში შიდა ვაჭრობის სიცოცხლისუნარიანობის გაძლიერება და გაყიდვის ჯაჭვის მართვის ხელშეწყობი სისტემების ფორმირება.

ინდიკატორი: კერძო შინამეურნეობების რაოდენობა საქალაქო-სასოფლო დასახლებების და მათში მცხოვრებთა რიცხვის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში

საბაზისო - 30% სოფლად, 29,3 % ქალაქად

სამიზნე - 3,3% სოფლად, 3,4% ქალაქად

ამოცანა 5: ხაშურის მუნიციპალიტეტში სოფლის მეურნეობის პოტენციალის მაქსიმალურად ათვისება და მიზნობრივად გამოყენება

ინდიკატორი: კონკურენტუნარიანი წარმოებისაკენ მიმართული (ეკოლოგიური პროდუქციის წარმოების ხელშეწყობის მიზნით) მუნიციპალური აგროპროგრამის შემუშავება

საბაზისო - 0

სამიზნე - 1

ინდიკატორი: ინფო და პრეს ტურები, ჩატარებული ფესტივალები და ბიზნეს-ფორუმები,

⁸⁶ ხაშურის მუნიციპალიტეტში 2023 წლის 1 იანვრიდან მოქმედებს „შპს პირების დასაქმების ხელშეწყობის პროგრამა“, რომლის ბიუჯეტიდან 6 000 ლარი გათვალისწინებულია ინოვაციური ბიზნეს იდეების დასაფინანსებლად.

საბაზისო - 1⁸⁷

სამიზნე - 5

ინდიკატორი: კოლეჯ „ქართლის“ სასწავლო პროგრამები

საბაზისო - 0

სამიზნე - 4

2.9.4 გარემოს დაცვა

მიზანი: გარემოზე უარყოფითი ზემოქმედების თავიდან აცილება, უკვე არსებული უარყოფითი ზემოქმედების დასაშვებ დონემდე შემცირება და გარემოს მდგომარეობის გაუმჯობესება ნარჩენების მართვის, გამწვანების უზრუნველყოფით და მიუსაფარი ცხოველების მოვლა პატრონობის გზით.

ამოცანა 1 - თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში დასუფთავების, სანიტარული წესრიგის, საყოფაცხოვრებო ნარჩენების მართვის ორგანიზების, სამუშაოთა წარმოების დაგეგმვის და ადმინისტრირების გაუმჯობესება

ინდიკატორი: ნარჩენების მართვის ახალი გეგმის არსებობა

საბაზისო - ნარჩენების მართვის ახალი გეგმის სამუშაო ვარიანტი

სამიზნე - დამტკიცებული ნარჩენების მართვის ახალი გეგმა

ინდიკატორი: ნარჩენების ურნების რაოდენობა

საბაზისო - 642

სამიზნე - 1100

ინდიკატორი: ნარჩენების გატანისათვის საჭირო მანქანების (სპეცტექნიკა) რაოდენობა

საბაზისო - 3

სამიზნე - 6

ამოცანა 2 - თვითმმართველი ერთეულის დასახლებებში მცენარეთა მოვლით, არსებული სკვერების, პარკების და მწვანე საფარიანი სპორტული მოედნების, გაზონებისა და ხე-მცენარეების, ბუჩქებისა და ყვავილნარების გაშენება-შენარჩუნებით ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესება

ინდიკატორი: დარგული მრავალწლიანი ნერგების რაოდენობა

საბაზისო - 2022 წელს დარგული ნერგები 156

⁸⁷ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის პროფესორებისა და სტუდენტების აგროტური ხაზურის მუნიციპალიტეტის სოფელ წრომში, ადგილობრივი ფერმერის მეურნეობაში-24 ივნისი 2023 წ.

სამიზნე - 2024-2027 (დაირგვება 600 ნერგი)

ინდიკატორი: სკვერების მოვლა პატრონობა (მოვლილი სკვერების ფართობი)

საბაზისო - 53050 კვ.მ

სამიზნე - 53050 კვ.მ + ახალი (120000 კვ.მ)

ამოცანა 3 – ჰუმანური პრინციპებისა და მეთოდების გამოყენებით უმეტესაღყურეო/უზედამხედველო ცხოველების პოპულაციის მართვის პროცესების გუმჯობესება

ინდიკატორი: ოპერირებული ცხოველების რაოდენობა

საბაზისო - 2022 150 სტერილიზებული ცხოველი

სამიზნე - ყოველწლიურად 150

2.9.5 განათლება

მიზანი: ხელი შეუწყოს სკოლამდელი ასაკის ბავშვთა ნორმალურ აღზრდას, მათ ჰარმონიულ განვითარებას და სკოლისათვის მომზადებას, ბავშვთა აზროვნების და ნებისყოფის ფორმირებას, მათ ფიზიკურ, გონებრივ, ზნეობრივ და ესთეტიკურ აღზრდას, სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებებში ხარისხიანი სააღმზრდელო და საგანმანათლებლო პროცესისათვის ხელშეწყობა;

ინდიკატორი: საბავშვო ბაღებში მოსიარულე ბავშვთა რაოდენობის %-ლი თანაფარდობა მუნიციპალიტეტში მცხოვრებ ანალოგიური ასაკის ბავშვთა რაოდენობასთან;

საბაზისო - 2022 წლისთვის არსებული ბავშვთა რაოდენობა 0-დან სასკოლო ასაკამდე 3 181
2022 წლისთვის საბავშვო ბაღებში რეგისტრირებულ ბავშვთა რაოდენობა 0-დან სასკოლო ასაკამდე 1 741
54%

სამიზნე - 60%

ამოცანა 1: - ბაღების რაოდენობის ზრდა და არსებული ინფრასტრუქტურის (მათ შორის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა) გაუმჯობესება (ადაპტირება)

ინდიკატორი: ბაღების რაოდენობა

საბაზისო - 18

სამიზნე - 22

ინდიკატორი: შესაბამის სტანდრტებთან ადაპტირება

საბაზისო: სრულად ადაპტირებული - 0

სამიზნე: სრულად ადაპტირებული - 22

ინდიკატორი: რეაბილიტირებული ბალების რაოდენობა

საბაზისო: რეაბილიტირებული ბალები - 50%

სამიზნე: რეაბილიტირებული ბალები - 70%

ამოცანა 2 - სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში დასაქმებული პერსონალის
გადამზადება

ინდიკატორი: HACCP-ის მიმართულებით გადამზადებული პერსონალის რაოდენობა

საბაზისო - ნორმის მიხედვით მოთხოვნილის 100%

სამიზნე - ნორმის მიხედვით მოთხოვნილის 100%

ინდიკატორი: აღზრდელ პედაგოგთა სტატუსის მქონე პერსონალის რაოდენობა

საბაზისო - 50/73 68%

სამიზნე - 73/73 100%

ზოგადი განათლება წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას

ინდიკატორი: დელეგირების განმახორციელებელი უწყების შეფასება

საბაზისო - დადებითი

სამიზნე - დადებითი

2.9.6 სპორტი

მიზანი: ქალაქსა და სოფლად მოზარდების სხვადასხვა სპორტულ ჯგუფებში გაერთიანების, ინტენსიური წვრთნის პროცესის მიმდინარეობის ხელშეწყობა, ახალგაზრდა თაობის ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება და პოპულარიზაცია, სპორტის სხვადასხვა სახეობებში ახალგაზრდების ჩართულობის ხელმისაწვდომობის გაზრდა.

ინდიკატორი: სპორტული სექციებით მოსარგებლეთა რაოდენობის შეფარდება მოსახლეობის
ჯამურ რაოდენობასთან

საბაზისო - $1360/52600 = 2,6\%$

სამიზნე - გაიზრდება 3%-მდე

ამოცანა 1- სპორტული (სავარჯიშო) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ინდიკატორი: სპორტული (სავარჯიშო) ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებაზე დახარჯული
საბიუჯეტო სახსრები

საბაზისო - 1 439 674 ლარი
სამიზნე - 16,4%-იანი ზრდა

ამოცანა 2 - ტექნიკური აღჭურვილობის (ინვენტარი) გაუმჯობესება

ინდიკატორი: წლის განმავლობაში შესყიდული აღჭურვილობის (ინვენტარი) ღირებულება
საბაზისო - 2022 წლის მონაცემებით 7 938,80
სამიზნე - 12 000

ამოცანა 3 - პერსონალის გადამზადება-ლიცენზირება

ინდიკატორი: ლიცენზირებას დაქვემდებარებული პერსონალის გადამზადების მაჩვენებელი
საბაზისო - 100%
სამიზნე - 100%

ამოცანა 4 - ახალი წრეების ფუნქციონირების ხელშეწყობა (განსაკუთრებით სოფლად)

ინდიკატორი: წრეების რაოდენობა
საბაზისო - 13 წრე, 63 ჯგუფი
სამიზნე - 15 წრე, 75 ჯგუფი

2.9.7 კულტურა

მიზანი: მოსახლეობის კულტურული ცნობიერების ამაღლება და კულტურის პოპულარიზაცია, მუნიციპალიტეტში კულტურის პროექტების განხორციელების, კულტურისა და ხელოვნების სფეროს ხელმისაწვდომობის, შემოქმედებითი ინდუსტრიების განვითარების ხელშეწყობა.

ამოცანა 1- სახელოვნებო დარგების სწავლების პროცესის უზრუნველყოფა

ინდიკატორი: სამუსიკო სკოლაში ჩართული ბენეფიციარების შეფარდება 6-18 წლამდე მოზარდების რაოდენობასთან 8 423

საბაზისო - 478 ბენეფიციარი 5,6%
სამიზნე - 500 ბენეფიციარი 5,9%

ინდიკატორი: სახელოვნებო წრეებში ჩართული ბენეფიციარების შეფარდება 6-18 წლამდე მოზარდების რაოდენობასთან 8 423

საბაზისო - 230 ბენეფიციარი 2,7%
სამიზნე - 250 ბენეფიციარი 3,0%

ამოცანა 2 - სახელოვნებო, საგანმანათლებლო მუსიკალური სკოლისა და წრეების მატერიალურ ტექნიკური ბაზის გამართვა

ინდიკატორი: განახლებული ინსტრუმენტების რაოდენობა

საბაზისო - 2022 წელს 18 000 ლარი

სამიზნე - საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება

ამოცანა 3 - სხვადასხვა მუსიკალურ ფესტივალ-კონკურსებში წარმატებული მოსწავლეების მონაწილეობის ხელშეწყობა

ინდიკატორი: ჩართული მონაწილეების რაოდენობა

საბაზისო - 2022 წელს 146

სამიზნე - საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება

ამოცანა 4 - მუნიციპალური ფესტივალების და ღონისძიებების ორგანიზება და გამართვა

ინდიკატორი: მუნიციპალური ფესტივალების/ღონისძიებების რაოდენობა

საბაზისო - 2022 წელს 6

სამიზნე - 8

ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის კულტურული ღონისძიებების (ყოველწლიური) რაოდენობა

საბაზისო - 36

სამიზნე - საბაზისო მაჩვენებლის გაუმჯობესება

ამოცანა 5 - ხაშურის მუნიციპალიტეტის საბიბლიოთეკო გაერთიანებისათვის შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა (ფუნქციონირებადი მედიათეკა)

ინდიკატორი: ფუნქციონირებადი მედიათეკა

საბაზისო - 0

სამიზნე - 1 შექმნილია

ამოცანა 6 – სამუზეუმო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება

ინდიკატორი: ხაშურის მხრეთმცოდნეობის მუზეუმის ძველი შენობის რეაბილიტაცია

საბაზისო: ხაშურის მხრეთმცოდნეობის მუზეუმის ძველი სარეაბილიტაციო შენობა

სამიზნე: ხაშურის მხრეთმცოდნეობის მუზეუმის რეაბილიტირებული შენობა

ამოცნა 7 - მუზეუმის განვითარების სტრატეგიის შემუშავება

ინდიკატორი: ხაშურის მუნიციპალიტეტის სამუზეუმო გაერთიანების სტრატეგიული განვითარების გეგმა

საბაზისო: სტრატეგიული გეგმის სამუშაო ვარიანტი

სამიზნე: სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცებული ვარიანტი

2.9.8 ტურიზმი

მიზანი: მუნიციპალიტეტში ტურიზმის, როგორც დივერსიფიცირებული დარგთაშორისი კომპლექსის განვითარების ხელშეწყობა (საწარმოო და არასაწარმოო მიმართულებით), რაც გამოიწვევს ახალი მატერიალური ღირებულებების შექმნას და მოახდენს მათ რეალიზაციას.

ამოცნა 1 - მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების ახალი ხედვის (სტრატეგიის) ჩამოყალიბება (ტურისტული ობიექტების, ციხე-სიმაგრეების მონახულების ტურისტულ-სერვისად გამოყენების კონფეცია)

ინდიკატორი: მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების სტრატეგიის არსებობა

საბაზისო: ტურიზმის განვითარების ახალი ხედვის (სტრატეგიის) სამუშაო ვარიანტი

სამიზნე: ფუნქციონირებადი ტურიზმის განვითარების სტრატეგია

ამოცნა 2 - სასტუმროების და სასტუმროს ტიპის დაწესებულებების როდენობის ზრდის ხელშეწყობა, გასართობი და დასასვენებელი სივრცეების მოწყობა, სსიპ საქართველოს ტურიზმის ასოციაციასთან მჭიდრო კომუნიკაცია.

ინდიკატორი: სასტუმროებისა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში დასაქმებულთა რაოდენობა ხაშურის მუნიციპალიტეტში (გენდერულად სეგრეგირებული მონაცემები)

საბაზისო: სულ 39, მათ შორის ქალი-23, კაცი-16

სამიზნე: საბაზისო მონაცემის გაუმჯობესება

ინდიკატორი: სასტუმროებსა და სასტუმროს ტიპის დაწესებულებებში სტუმართა რაოდენობა ჩამოსვლის ადგილისა და მიზნის მიხედვით ხაშურის მუნიციპალიტეტში

საბაზისო: 7 010 2021 წლის მონაცემებით

სამიზნე: საბაზისო მონაცემის გაუმჯობესება

2.9.9 ახალგაზრდობა

მიზანი: ახალგაზრდების ჩართულობის ხელშეწყობა მუნიციპალიტეტის განვითარების პროცესში და ახალგაზრდული ინიციატივების მხარდაჭერა

ამოცანა 1- ახალგაზრდული ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების მხარდაჭერა
ინდიკატორი: ორგანიზაციების და საინიციატივო ჯგუფების რაოდენობა:

საბაზისო - 1

სამიზნე - 3

ინდიკატორი: თანადაფინანსებით განხორციელებული პროექტების რაოდენობა:

საბაზისო - 1

სამიზნე - ოთხ წელიწადში 8

ინდიკატორი: ახალგაზრდული ცენტრის არსებობა

საბაზისო - 1

სამიზნე - ოთხ წელიწადში 2

ამოცანა 2 - ახალგაზრდული საბჭოს შექმნა ჩამოყალიბება

ინდიკატორი: შექმნილი ახალგაზრდული საბჭო

საბაზისო: არ არის

სამიზნე: შექმნილი ახალგაზრდული საბჭო

2.9.10 ჯანდაცვა-სოციალური

მიზანი: მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა (საზოგადოებრივი ჯანდაცვა) და საჭიროების მქონე პირებისთვის სოციალური ტიპის დახმარებების უზრუნველყოფა (მუნიციპალური სოციალური პროგრამები)

ამოცანა 1 - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განხორციელებული პრევენციული ღონისძიებების შედეგად მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა, გაუმჯობესება და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა.

წარმოადგენს დელეგირებულ უფლებამოსილებას

ინდიკატორი: დელეგირების განმახორციელებელი უწყების შეფასება

საბაზისო - დადებითი

სამიზნე - დადებითი

ამოცანა 2 - მუნიციპალური სოციალური დახმარების პროგრამების მრავალფეროვნების და ხელმისაწვდომობის ზრდა

ინდიკატორი: მომართვიანობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი

საბაზისო - წესების დაცვის გაკეთებული მიმართვის მაჩვენებლის 100%

სამიზნე - წესების დაცვის გაკეთებული მიმართვის მაჩვენებლის 100%

ამოცანა 3 - სტიქიური შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელება

ინდიკატორი: მომართვიანობის დაკმაყოფილების მაჩვენებელი


საბაზისო - კომისიასთან დასაბუთებული მიმართვის დაკმაყოფილების მაჩვენებელი (100%)

სამიზნე - კომისიასთან დასაბუთებული მიმართვის დაკმაყოფილების მაჩვენებელი (100%)



ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 53



2023 წლის 07 დეკემბერი


ხაშური

ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის შესაბამისი მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმის დატკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ 54-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ე-გ“ ქვეპუნქტისა და 61-ე მუხლის 1-ლი და მე-2 პუნქტების, საქართველოს მთავრობის 2019 წლის 31 დეკემბრის №678 დადგენილების „დეცენტრალიზაციის 2020-2025 წლების სტრატეგიისა და დეცენტრალიზაციის სტრატეგიის განხორციელების 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ“ და საქართველოს მთავრობის 2022 წლის 15 თებერვლის №264 განკარგულების „მუნიციპალიტეტის განვითარების დაგეგმვის სახელმძღვანელოს დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს;

1. დამტკიცდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის შესაბამისი მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა დანართი N1-ის შესაბამისად.
2. განკარგულება ძალაში შედის ხელმოწერისთანავე.
3. განკარგულება გამოქვეყნდეს ხაშურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ვებ-გვერდზე www.khashuri.org.ge ;
4. განკარგულება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში, სარჩელის წარდგენის გზით, ხაშურის რაიონულ სასამართლოში (მის: ხაშური, მერაბ კოსტავას ქ. № 15).

საკრებულოს თავმჯდომარე



ნინო ლიპარტელიანი

ხაშურის მუნიციპალიტეტის პოლიტიკის დოკუმენტის - საშუალოვადიანი განვითარების (2024-2027 წლების) დოკუმენტის შესაბამისი მუნიციპალიტეტის 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმა

საჯარო მმართველობა

მიზანი (GOAL 1)	მუნიციპალური სერვისების და მმართველობის გაუმჯობესებით გამჭვირვალობის, თვითმმართველობის ეფექტიანობის და ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხის მიღწევა		მდგრადი განვითარების მიზნებთან (SDGs) კავშირი			მიზანი 5 - გენდერული თანასწორობა მიზანი 8 - ღირსეული სამუშაო და ეკონომიკური ზრდა მიზანი 16: მშვიდობიანი და ინკლუზიური საზოგადოების ჩამოყალიბების ხელშეწყობა მდგრადი განვითარებისათვის, მართლმსაჯულების ხელმისაწვდომობა ყველასათვის, ეფექტიანი, ანგარიშვალდებული და ინკლუზიური ინსტიტუციების მშენებლობა ყველა დონეზე.
მიზნის გავლენის ინდიკატორი: (IMPACT Indication)	მუნიციპალიტეტის ინდექსი ¹	წელი	სამიზნე			დადასტურების წყარო: (Sources of Verifikation)
			საბაზისო 2022	შუალედური 2024	საბოლოო 2025	http://www.lsgindex.org/ge/dynamic/
		მაჩვენებელი	2021-27%	4%-იანი მატება ყოველწლიურად	4%-იანი მატება ყოველწლიურად	
ამოცანა 1.1	მუნიციპალური სერვისების პრიორიტეტიზაციაში (ამხანაგობების თანადაფინანსების პროგრამა, სამოქალაქო ბიუჯეტირების პროგრამა, გარე ვაჭრობის რეგულირება და ა.შ) ინფორმირებულების და ჩართულობის გაზრდის გზით მოსახლეობის თანამონაწილეობის მაღალი ხარისხის მიღწევა.					

¹ადგილობრივი თვითმმართველობის ინდექსი შედგება 3 თემატური ბლოკისაგან, რომელიც შეფასების 101 კრიტერიუმს აერთიანებს:

- საჯარო ინფორმაციის პროაქტიური გამოქვეყნება (მოიცავს 11 ქვებლოკს და 53 კრიტერიუმს);
- ელექტრონული მმართველობა (მოიცავს 4 ქვებლოკს და 27 კრიტერიუმს);
- მოქალაქეთა მონაწილეობა დ ანგარიშვალდებულება (მოიცავს 2 ქვებლოკს და 21 კრიტერიუმს);

ინფორმაცია ფასდება მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდის საფუძველზე, საჯარო ინფორმაციის ანალიზის გზით და მოქალაქეთა მონაწილეობის პრაქტიკის ადგილზე დაკვირვებით.

<http://www.lsgindex.org/>

ინდექსი შემუშავდა პროექტის „ღია და ანგარიშვალდებული თვითმმართველობებისათვის – მუნიციპალიტეტებში გამჭვირვალობისა და მოქალაქეთა ჩართულობის ეროვნული შეფასება“ ფარგლებში.

ამოცანა 1.1-ის შედეგის ინდიკტორი: (OUTCOME Indication)	მუნიციპალიტეტის ინდექსი (ბლოკი 3 - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება)	წელი	სამიზნე			დადასტურების წყარო: (Sources of Verifikation)	
			საბაზისო	შუალედური	საბოლოო	http://www.lsgindex.org/ge/dynamic/	
			2022	2024	2025		
მაჩვენებელი	2021-38%	4%-იანი მატება ყოველწლიურად	4%-იანი მატება ყოველწლიურად				
ამოცანა 1.2	მულტიფუნქციური სივრცის შექმნით საგანმანათლებლო აქტივობებისათვის, ტრენინგების, შემეცნებითი დისკუსიების და საჯარო შეხვედრებისათვის ხელსაყრელი გარემოს გაუმჯობესება						
ამოცანა 1.2-ის შედეგის ინდიკტორი: (OUTCOME Indication)	მუნიციპალიტეტის ინდექსი (ბლოკი 3 - მოქალაქეთა მონაწილეობა და ანგარიშვალდებულება)	წელი	სამიზნე			დადასტურების წყარო: (Sources of Verifikation)	
			საბაზისო	შუალედური	საბოლოო	http://www.lsgindex.org/ge/dynamic/	
			2022	2024	2025		
მაჩვენებელი	2021-38%	4%-იანი მატება ყოველწლიურად	4%-იანი მატება ყოველწლიურად				
ამოცანა 1.3	ელექტრონული მმართველობის კომპონენტის გაძლიერებით მუნიციპალური სერვისების ხელმისაწვდომობის და ხარისხის ზრდა						
ამოცანა 1.3-ის შედეგის ინდიკტორი: (OUTCOME Indication)	მუნიციპალიტეტის ინდექსი (ბლოკი 2 ელექტრონული მმართველობა)	წელი	სამიზნე			დადასტურების წყარო: (Sources of Verifikation)	
			საბაზისო	შუალედური	საბოლოო	http://www.lsgindex.org/ge/dynamic/	
			2022	2024	2025		
მაჩვენებელი	2021-24%	4%-იანი მატება ყოველწლიურად	4%-იანი მატება ყოველწლიურად				
რისკი	ტექნიკური ინფრასტრუქტურის სიმცირე, კადრების გადამზადების პრობლემა;						
აქტივობა 1	აქტივობა 1-ის	დადასტუ	პასუხისმგე	პარტნიორი	შესრუ	დაფინანსების წყარო	

(ACTIVITY)	შედეგის ინდიკატორი:	რების წყარო:	ბელი უწყება:	უწყება:	ლების ვადა:	ბიუჯეტი:	მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა (ლ.)	პროგრამული კოდი	ოდენობა	ორგანიზაცია	
პრიორიტეტის დოკუმენტის შემუშავებისა და მომზადების პროცესში განხორციელებული მოსახლეობასთან ინტენსიური შეხვედრები, შესაბამისი პროგრამებისა და ქვეპროგრამების გაცნობა, მათი საჭიროებების კვლევა	საბაზისო : პრიორიტეტების დოკუმენტის მუშა ვარიანტი საბოლოო: -მოსახლეობასთან ჩატარებული შეხვედრების რაოდენობა; -მოსახლეობის საჭიროებების კვლევის ანალიზი;	https://khashuri.gov.ge/	ხაშურის მუნიციპალიტეტი (მერია, საკრებულო)	ადგილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციები და კერძო სექტორი; საერთაშორისო პროგრამები, მათ შორის USAID ძლიერი სოფლის პროგრამა; GIZ „მოქალაქეთა თანამონაწილეობა ბიუჯეტირების პროცესში“ და „კარგი მმართველობა ადგილობრივი განვითარებისთვის (GGLD)“	ყოველწლიურად	დაფინანსდება ბიუჯეტის მმართველობითი ხარჯებიდან					
აქტივობა 2 (ACTIVITY)	აქტივობა 2-ის შედეგის ინდიკატორი:	დადასტურების წყარო:	პასუხისმგებელი უწყება:	პარტნიორი უწყება:	შესრულების ვადა:	ბიუჯეტი:	დაფინანსების წყარო				
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი
							ოდენობა (ლ.)	პროგრამული კოდი	ოდენობა	ორგანიზაცია	
შეიქმნება ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალი, რომლის მეშვეობითაც ამხანაგობების თავმჯდომარე	საბაზისო : ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის ელექტრონული პორტალის მუშა ვარიანტი საბოლოო: ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის შექმნილი	https://khashuri.gov.ge/	ხაშურის მუნიციპალიტეტი	ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობის წარმომადგენლები	2024 წელი	დაფინანსდება ბიუჯეტის მმართველობითი ხარჯებიდან	2 000	0100			

ებს შესამღებლობა ექნებათ „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მიმართონ მერიის სხვადასხვა სტრუქტურებს.	ელექტრონული პორტალი, რომელიც განთავსდება ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიის ოფიციალურ ვებგვერდზე, ცალკე ფანჯარაში.											
აქტივობა 3 (ACTIVITY)	აქტივობა 3-ის შედეგის ინდიკატორი:	დადასტურების წყარო:	პასუხისმგებელი უწყება:	პარტნიორი უწყება:	შესრულების ვადა:	ბიუჯეტი:	დაფინანსების წყარო					
							მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი		სხვა		დეფიციტი	
							ოდენობა (ლ.)	პროგრამული კოდი	ოდენობა	ორგანიზაცია		
